დაინიშნოს ლერი ბესარიონის ძე გირგვლიანი დმანისის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი.**

**ბრძანებულება : ლ. ბ. გირგვლიანის დმანისის რაიონის პრეფექტად დან-იშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 26 აპრილი. - № 81 (101). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ვ. მ. ალელიშვილის ახალქალაქის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ვლადიმერ მარკოზის ძე ალელიშვილი ახალქალაქის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 26 აპრილი.

ბრძანებულება : ვ. მ. ალელიშვილის ახალქალაქის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 27 აპრილი. - № 82 (102). – 1 გვ.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს

რღვევის პირას მისული საბჭოთა იმპერია გააფთრებული ეჭიდება ხელისუფლებას, ცდილობს ერთმანეთს წაჰკიდოს და დამღუპველ უფსკრულში გადაჩეხოს იმპერიის ტყვე ხალხები, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც მრავალი საუკუნეა გვერდიგვერდ ცხოვრობენ სხვადასხვა წარმომავლობისა და რელიგიის, მაგრამ ერთმანეთთან სულიერად და ტრადიციულად მჭიდროდ დაკავშირებული ხალხები.

იმპერია, როგორც ცნობილია, ამაყ და თავისუფლებისმოყვარე კავკასიელთა დასამორჩილებლად ყოველთვის იყენებდა ე.წ. ეთნოკონფლიქტებს, ამასთანავე ეყრდნობოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, თავისი ერის მოღალატეებს - კავკასიელ ხალხთა ჭეშმარიტ მტრებს. ასე იქმნებოდა და დღესაც იქმნება დაძაბულობის კერები, ზოგან უკვე იღვრება სისხლი, ზოგანაც ამჟამად მზადდება მკვიდრი მოსახლეობის გენოციდი.

იმპერია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ყოველმხრივ ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო, თითქოს ცენტრის ჩარევის გარეშე კავკასიის „ველური და კაციჭამია ტომები“ ერთმანეთს მოსპობენ.

კრემლს უკვე შექმნილი „ეთნოკონფლიქტების“ ჯაჭვის მორიგ რგოლად კავკასიაში მიაჩნია, უწინარეს ყოვლისა, საქართველო და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ამაზე აშკარად მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

1. საქართველოს ტერიტორიაზე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1921 წელს უკანონოდ შექმნილ ყოფილ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“, რომელიც ისტორიული შიდა ქართლი გახლავთ, რესპუბლიკის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად შეყვანილია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდძალი ჯარები, რომლებიც პროკომუნისტურად განწყობილ ოს ექსტრემისტებთან ერთად არბევენ, ხოცავენ და

აპატიმრებენ ქართველ მოსახლეობას, ბევრია მოკლული და დაჭრილი; ქართველთა წინააღმდეგ იყენებენ ავტომატურ იარაღს, რაკეტებს, ნაღმებს, ხელყუმბარებსა და სხვ. დაპატიმრებულ ქართველებთან არ უშვებენ ადვოკატებს, საბჭოთა ჯარების მიერ შიდა ქართლში შექმნილი „ეროვნული ხსნის კომიტეტი“ თვითნებურად ნიშნავს „პროკურორს“ და სხვა თანამდებობის პირებს.

უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები: 10 ქართული სოფელი საბჭოთა ჯარების მიერ მოქცეულია მძიმე ბლოკადაში, დაწყებულია შიმშილი, არ არის მედიკამენტები. რეგიონიდან მოდის ქართველ და ოს ლტოლვილთა უწყვეტი ნაკადი, რომელთა რიცხვიც 30 ათასს აჭარბებს. საბჭოთა კავშირის ცენტრალური საინფორმაციო საშუალებები აყალბებენ და ჩქმალავენ საქმის რეალურ ვითარებას, ყოველნაირად ხელს აფარებენ ჯარების და ექსტრემისტთა უკანონო მოქმედებას. ცენტრის მიზანია ქართველი მოსახლეობის გამოძევება რეგიონიდან და ამ ტერიტორიის შეერთება ჩრდილოეთ ოსეთთან.

2. ბოლო ორი წლის განმავლობაში საკავშირო ინფორმაციის საშუალებებით აქტიურად ინერგება შეხედულება ჩეჩენთა და ინგუშთა რუსოფობული განწყობის შესახებ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ე.წ. ველიკორუსული შოვინიზმის კიდევ უფრო გაღრმავებასა და გაშლას. ამ მიზნებით შეგნებულად ვრცელდება ჭორები, თითქოსდა ვაინახები (ჩეჩნები და ინგუშები) ამზადებდნენ თავდასხმებს რუსი ეროვნების მოსახლეობაზე.

მოსკოვსა და იმპერიის სხვა ქალაქებში იქმნება აგრეთვე აზრი, თითქოს იქ მცხოვრები ვაინახები ყბადაღებული „ჩეჩნური მაფიის“ წევრები და რეკეტიორები იყვნენ.

3. „ეთნოკონფლიქტის“ წინ, როგორ საქართველოს რესპუბლიკაში, კერძოდ, შიდა ქართლში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ასევე ვაინახთა წინააღმდეგაც დამსჯელი ომის მოსამზადებლად ცენტრი ინტენსიურად უპირისპირებს ერთმანეთს ვაინახებსა და მათ მეზობელ ხალხებს.

ა) თვით ცენტრალური პრესაც კი აღარ მალავს, რომ

ბოლო ხანს ინტენსიურად იქმნება კავკასიაში მცხოვრებ კაზაკთა სამხედრო ფორმირებები და კულტურული აღორძინების მოტივით ხდება მათი შეიარაღება.

ბ) ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდებარე ვაინახთა ისტორიულ მიწაზე (შიდა ქართლის ანალოგია), რომლის 46 პროცენტი დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკაში შედის, საგანგებოდ მზადდება დიდი, სისხლიანი კონფლიქტი ინგუშ და ოს მოსახლეობას შორის (არის ცდა ასეთივე კონფლიქტის შექმნისა ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზეც). ცენტრი ხელს უწყობს თავისი მორჩილი, ანგარებით შეპყრობილი ოსი ექსტრემისტების შეიარაღებას და სწორედ მათი მეშვეობით ცდილობს სამაგალითოდ დასაჯოს თავისუფლებისმოყვარე „ურჩი" ვაინახები, ხელს უშლის აგრეთვე 1944 წელს შუა აზიაში უსამართლოდ დეპორტირებული ჩეჩნებისა და ინგუშების სამშობლოში დაბრუნებას, რაც კიდევ უფრო აღრმავებს და ამწვავებს დაპირისპირებულობას ვაინახებსა და ოსებს შორის. მის მიერვე ინსპირირებული „ეთნოკონფლიქტის" თითქოსდა მოწესრიგების საბაბით კრემლს დიდი რაოდენიბით შეჰყავს საბჭოთა არმიის და შინაგანი ჯარების ნაწილები ვაინახთა მიწაზე, რათა რაც შეიძლება მალე შემოიღოს და განახორციელოს საპრეზიდენტო მმართველობა და ამით ჩაკლას უძველესი კულტურის მქონე ვაინახთა ამაყი სული, მათი სწრფვა დამოუკიდებლობისაკენ. სხვათა შორის, ამ ხალხმა ამ ერთი საუკუნის განმავლობაში უკვე ორჯერ იწვნია სამშობლოს დაკარგვის მთელი სიმწარე. როგორც ჩანს, აგონიაში მყოფი იმპერია ჩეჩნეთ-ინგუშეთში მესამედაც ამზადებს გაუგონარ სისხლიან ტერორსა და გენოციდს. უკვე დაიწყო შეტაკებები ინგუშებსა და ოსებს შორის, არის მსხვერპლი, უამრავი დაჭრილი. საბჭოთა ჯარები აქაც ოსი ექსტრემისტების მხარეზე არიან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც საგანგებო სხდომაზე იმსჯელა შიდა ქართლსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ, მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს ხალხებსა

და პარლამენტებს დაგმონ იმპერიის ბოროტი ზრახვები, მხარი დაუჭირონ თავისუფლებისმოყვარე, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქართველებს, ამაყ ჩეჩნებსა და ინგუშებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული კრემლის მიერ დაგეგმილი საშინელი ტრაგედია.

იმედი მაქვს თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომისა, ამიტომ გთხოვთ, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გამოგზავნოთ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ექსპერტები, რომლებიც შეისწავლიან ქართველების, ჩეჩნების, ინგუშებისა და სხვა ერების წარმომადგენელთა უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებს და დასახავენ ღონისძიებებს მათს აღსაკვეთად.

**პატივისცემით,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო**
**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**

**თბილისი. 1991 წლის 27 აპრილი.**

**მიმართვა : გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს / საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო., გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 30 აპრილი. - № 83 (103). – 1,2 გვ.**

## საქართველოს პრეზიდენტის

## მიმართვა

## წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისადმი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ღრმად შეშფოთებულია სამაჩაბლოს ტერიტორიაზე შექმნილი ვითარებით, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ქვეგანაყოფებისა და მათი მხარდაჭერით წაქეზებული შეიარაღებული ტერორისტების მიერ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების გამო, მიმართა თხოვნით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს კორნელიუს სომარუგას გაუწიოს საჭირო დახმარება საქართველოს ამ რეგიონში გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს და გამოგზავნოს აქ თავისი წარმომადგენლები.

ასეთი ავტორიტეტიანი და ჰუმანური საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „რამდენიმე თვის განმავლობაში სამაჩაბლოს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის) ტერიტორიაზე მიმდინარეობს გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ინსპირირებულია საბჭოთა მთავრობის მიერ. ამის შედეგად იღუპებიან ყოვლად უდანაშაულო ადამიანები. ქართული ეროვნების 20 ათასი კაცი, ისევე როგორც ოსები, იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და ამით იქცა ლტოლვილად საკუთარ ქვეყანაში. საქართველოს უზენაესი საბჭო და მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა თავიდან აიცილონ ძალადობის შემდგომი ესკალაცია, შეწყვიტონ სისხლის ღვრა რეგიონში“.

შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მექანიზებული და სპეციალური საჯარისო ნაწილების შეყვანასთან დაკავშირებით ვითარება კიდევ უფრო გართულდა. „გრძელდება უდანაშაულო ადამიანების - ქართული სოფლის მცხოვრებთა უსანქციო დაპატიმრება, მათ სასტი-

კად სცემენ, მრავალი მათგანი დააინვალიდეს, უარს ეუბნებიან ადვოკატის დაქირავების უფლებაზე. ვერტმფრინავების მეშვეობით სპობენ, წვავენ სოფლებს“.

ბატონი ზვიად გამსახურდია, რომელიც აღიარებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ავტორიტეტს, გამოთქვამს რწმენას, რომ ამ ორგანიზაციის ოფიციალურ წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში ხელს შეუშლის სამაჩაბლოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. რესპუბლიკა აგრეთვე მწვავედ განიცდის მედიკამენტების უკმარისობას და დახმარების იმედი აქვს. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მის მთავრობას, ქართველ და ოს ხალხებს განსაკუთრებით სჭირდებათ თქვენი დახმარება“.

**საქინფორმი.**

**საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისადმი // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 30 აპრილი. - № 83 (103). – 1,2 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოსა და მთავრობისაგან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას მოჰყვა ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო და მთავრობა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს და ახლობლებს.

**1991 წლის 30 აპრილი.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოსა და მთავრობისაგან // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 1 მაისი. - №84 (104). – 1გვ.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოსა და მთავრობისაგან // თბილისი. - 1991. – 1 მაისი. - №82 (11395). – 1გვ.**

# მიმართვა ქართველი ხალხისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

ქართველმა ხალხმა კარგად უწყის, რომ ეროვნული ძალმოსილება მხოლოდ უდიდესი ჭირსახდელის გავლით მიიღწევა. ბედმა არგუნა ჩვენს ქვეყანას განუწყვეტელი ბრძოლა ფიზიკური არსებობისა და სულიერი მხნეობის შესანარჩუნებლად.

დღეს მორიგი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდით. დაუნდობელმა სტიქიამ შეიწირა ადამიანთა სიცოცხლე, უსახლკაროდ დატოვა მრავალი ქართველი, გააღრმავა ჩვენი იარები.

საქართველოს ხელისუფლება სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და მთელ ქართველ ხალხს და, თავის მხრივ, ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ კატასტროფის ზონაში გატარდეს მაქსიმალურად ეფექტური ღონისძიებები, როგორც საკუთარი ძალებით, ასევე მსოფლიოს ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარების მეშვეობით.

გვწამს, რომ ჭირთათმენის ამ მძიმე ჟამს ქართველი ერი შესძლებს, შეინარჩუნოს სულის სიმტკიცე, გვერდით ამოუდგეს საქართველოს მთავრობას და მისთვის ჩვეული შეუპოვრობით დასძლიოს ეს დიდი განსაცდელი.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**

**1991 წლის 30 აპრილი.**

**მიმართვა : ქართველი ხალხისადმი / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 1მაისი. - №84 (104). – 1გვ.**

**მიმართვა : ქართველი ხალხისადმი / გამსახურდია ზ. // თბილისი. - 1991. – 1 მაისი. - №82 (11395). – 1გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ განსაკუთრებით დააზარალა საჩხერის, ონის, ამბროლაურის, ჯავისა და ცაგერის რეგიონები (5.700 კვ. კმ. ტერიტორია 100.000-ზე მეტი მცხოვრებით).

პირველადი მონაცემებით, მიწისძვრის შედეგად დაინგრა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების 85 პროცენტი. არის ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, არიან დაშავებულები.

ზემოაღნიშნული რეგიონები ცხადდება სტიქიური უბედურების ზონად.

**1991 წლის 30 აპრილი.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება // თბილისი. - 1991. - 1 მაისი. - № 82 (11395). - 1გვ.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 1 მაისი. - № 84 (104). - 1გვ.**

# სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. ლუკიანოვს სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნ. ნიშანოვს სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. კ. პუგოს

თქვენთვის ცნობილია, რომ ამა წლის 24 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სხდომამ მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია შიდა ქართლში, კერძოდ კი ცხინვალსა და მის მიმდებარე რაიონებში მდგომარეობის პოლიტიკური გზით რეგულირებისა და ნორმალიზაციის რეალური საშუალებები. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ამ საკითხზე კონსტრუქციული მსჯელობის შემდეგ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს წევრთა შემადგენლობით შეიქმნება მუდმივი საპარლამენტთაშორისო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს რეგიონში მართლწესრიგის დაცვასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტის სწრაფი ლიკვიდაციის რეალური გზაა.

სწორედ ამ დროს აღნიშნულ რეგიონში მყოფი სსრ კავშირის შიმაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები თავიანთი მოქმედებით იწვევენ ვითარების კიდევ უფრო მეტ დესტაბილიზაციას - თავს ესხმიან სოფლის უიარაღო მოსახლეობას, იტაცებენ მძევლებს. ცნობილია, რომ დღეისათვის დაპატიმრებულია ბევრი ქართველი, რომლებისთვისაც ოფიციალურად არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ. დღეს, 27 აპრილს, დილის 5 საათსა და 30 წუთზე შვიდი ჯავშანტრანსპორტიორი შეიჭრა სოფელ ერედვში, ჯარისკაცებმა ჩაამტვრიეს კარ-ფანჯრები, შეცვივდნენ სახ-

ლებში, გაჩხრიკეს, დააკავეს და ცხინვალში წაიყვანეს ათი ადგილობრივი მცხოვრები, მათ შორის სამოცდაათი წლის ქალი. ათივე მძევლის გვარი დადგენილია. ადგილობრივი მცხოვრებლები აგებენ ბარიკადებს და კეტავენ სოფლისკენ მიმავალ გზას. წინა დღეს, 26 აპრილს, ცხინვალში, ბაგების ქუჩაზე ოსი ბანდიტები თავს დაესხნენ სიმონ ფარცხალაძის ოჯახს, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ოჯახის დიასახლისი ზოია ფარცხალაძე-კობალაძე, - ოჯახის უფროსი სიმონ ფარცხალაძე კი მძიმედ დაჭრეს მუცლის არეში. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მიმნებებლობით ბანდიტები არბევენ და ხოცავენ ქართველი ეროვნების პირებს.

საქართველოს რესპუბლიკისათვის კატეგორიულად მიუღებელია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამა წლის 23 აპრილის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს ყოფილი სამხრთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა ორგანოების სტრუქტურების აღდგენას, რაც არა მარტო სუვერენული საქართველოს, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციის უხეში დარღვევაა.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კატეგორიულ პროტესტს აცხადებს შიდა ქართლში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მოქმედების გამო, რაც ჩაშლით ემუქრება კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის წარმატებით დაწყებულ საქმეს და დაბეჯითებით მოითხოვს:

1. დაუყოვნებლივ გაუქმდეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 23 აპრილის ბრძანება.

2. დაევალოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლში მყოფი ჯარების ხელმძღვანელობას შეწყვიტოს ცალმხრივი ძალადური მოქმედებანი ქართველი მოსახლეობის მიმართ როგორც აღნიშნულ რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

3. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს ქ. ცხინვალსა და მიმდებარე რაიონებში დაკავებული ყველა პირი, რომლებიც პრაქტიკულად უკანონოდ არიან გამოყვანილი საქა-

რთველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან, ან გადასცენ ისინი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას.

4. დაევალოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ შიდა ქართლის რეგიონში მყოფი ჯარების ხელმძღვანელობამ მჭიდროდ ითანამშრომლოს საპარლამენტთაშორისო კომისიასთან.

**საქართველოს რესპუბლიკის**
**უზენაესი საბჭოს დავალებით**
**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**

**თბილისი. 1991 წლის 27 აპრილი.**

**მიმართვა : სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. ლუკიანოვს, სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნ. ნიშანოვს, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. კ. პუგოს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 1 მაისი. - №84 (104). – 1გვ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲘᲬᲘᲡᲖᲔᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის პრეზიდენტისა და კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით რესპუბლიკებს თავსმოხვეული სახალხო მოხმარების საქონელზე საცალო ფასებისა და ტარიფების გადიდება გულისხმობდა აგრეთვე 1991 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და სხვ.) მგზავრობის ღირებულების გადიდებასაც.

რესპუბლიკის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად:

გაუქმდეს სახელმწიფო საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტზე (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და სხვ.) „სატრანსპორტო მომსახურების ტარიფების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 1 აპრილის №246 დადგენილებით დაწესებული გადიდებული ზღვრული ტარიფები;

კატეგორიულად აეკრძალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს, ორგანიზაციებს პროდუქციასა და მომსახურებაზე საცალო ფასებისა და ტარიფების შეცვლა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შესაბამის სამსახურთან შეუთანხმებლად.

ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 1მაისი.**

**ბრძანებულება : საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 2 მაისი. - № 85 (105). – 1 გვ.**

## სსრ კავშირის პრეზიდენტს
## ბატონ მ. ს. გორბაჩოვს
## სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს
## ბატონ ბ. კ. პუგოს

ჯავაში, კვაისაში, თამარაშენში, ხეითში, აჩაბეთში და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სხვა დასახლებულ პუნქტებში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აპირებს გაგზავნოს იქ პროდუქტები, მედიკამენტები, საშენი მასალები და გაუწიოს სხვა ჰუმანიტარული დახმარება, მაგრამ ცხინვალში, ჯავასა და კვაისაში მომავალი გზა ჩაკეტილი აქვთ ოს ექსტრემისტებს, რომლებიც არ უშვებენ ავტოკოლონებს თბილისიდან. რაც იწვევს მათს თვითბლოკადას და ქართული სოფლების ბლოკადას. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები საკმარის ღონისძიებებს არ ახორციელებენ მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

მოვითხოვთ მიიღოთ სასწრაფო ღონისძიებანი დანიშნულებისამებრ ტვირთის მიტანის უზრუნველსაყოფად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზ. გამსახურდია.**
**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე**
**თ. სიგუა**
**თბილისი, 1991 წლის 2 მაისი.**


**მიმართვა : სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. ს. გორბაჩოვს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ბ. კ. პუგოს // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 2 მაისი. - №86 (106). – 1 გვ.**

**მიმართვა : სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. ს. გორბაჩოვს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ბ. კ. პუგოს // თბილისი. – 1991. – 2 მაისი. - № 83 (11396). – 1 გვ.**

**მიმართვა : სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. ს. გორბაჩოვს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ბ. კ. პუგოს // რესპუბლიკა. – 1991. – 7 მაისი. - № 17/50. – 10 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## რესპუბლიკაში პურის საცალო ფასების მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით სახალხო მოხმარების საგნების საცალო ფასების თავსმოხვეულმა მომატებამ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება და გულისწყრომა გამოიწვია. მდგომარეობა იმითაც გამწვავდა, რომ პურის საცალო ფასები ცენტრის მიერ გადიდებული იქნა 3-ჯერ და რესპუბლიკის მცირეშემოსავლიან და მრავალშვილიან ოჯახებს პურის საჭირო ოდენობით შეძენის შესაძლებლობაც არ გააჩნია.

რესპუბლიკაში პურის საცალო ფასების მოწესრიგების მიზნით:

1. 1991 წლის 6 მაისიდან გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება პურის საცალო ფასების გადიდების ნაწილში და აღდგენილ იქნეს 1991 წლის 2 აპრილამდე მოქმედი პურის საცალო ფასები.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ 6 მაისამდე უზრუნველყოს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში პურის 1991 წლის 2 აპრილამდე მოქმედი საცალო ფასების (პრეისკურანტის) თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა.

3. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ სახელმწიფოებრივი წესრიგი დაამყარონ საცალო ქსელში პურით ვაჭრობაში არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით ფასდამახინჯებათა ლიკვიდაციის საქმეში.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინ-

ისტრომ მკაცრი კონტროლი დააწესოს პურის რესპუბლიკ-ის ფარგლებს გატანის საწინააღმდეგოდ.

5. საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მკაცრი კონტროლი დააწესონ პურის სწორად ხარჯვის საქმეში, არ დაუშვან სოფლის მოსახლეობაში პურის პირუტყვის საკვებად გამოყენება.

6. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ გამონახოს დამატებითი ფინანსური რესურსები პურის საცალო ფასების შემცირებით გამოწვეული ზარალის დასაფარავად.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დააწესოს მკაცრი კონტროლი პურის საცალო ფასების სწორად გამოყენების საქმეში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 3 მაისი.**

**ბრძანებულება : რესპუბლიკაში პურის საცალო ფასების მოწესრიგების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 4 მაისი. - № 87 (107). – 1 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ

„საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 1 მაისის ბრძანებულების დამატებით ვადგენ:

გაუქმდეს სახელმწიფო საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით (სარესპუბლიკათაშორისო მიმოსვლის ავტობუსების გარდა) მგზავრობის „სატრანსპორტო მომსახურების ტარიფების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 1 აპრილის № 246 დადგენილებით დაწესებული გადიდებული ზღვრული ტარიფები.

ბრძანებულება ძალაშია 1991 წლის 3 მაისიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 3 მაისი.**

**ბრძანებულება : საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 4 მაისი. - № 87 (107). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკთა შრომითი ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ

საცალო ფასების რეფორმისა და საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკთა სოციალური დაცვის გაძლიერებისა და მწარმოებელი დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების დონიდან მათი ხელფასების ჩამოყალიბებული ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით:

1. 1991 წლის 1 მაისიდან დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების და ორგანიზაციების წამყვანი პროფესიების მუშაკთა ხელფასის ახალი განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1991 წლის 20 მარტის № 70 დადგენილებით გათვალისწინებული პირობებისა და წესების დაცვით.

ამ დაწესებულებების სხვა მუშაკთა შრომის ანაზღაურება მოხდეს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მითითებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოს სათანადო სახსრები.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ დაინტერესებულ

სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად უზრუნველყონ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსება.

3. სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების შესაბამის მუშაკთა შრომის ანაზღაურება ახალი პირობებით.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად დააწესონ სისტემატური კონტროლი ამ ბრძანებულების შესრულებაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 6 მაისი.**

**ბრძანებულება : სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკთა შრომითი ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 7 მაისი. - № 88 (108). – 1 გვ.**

**ბრძანებულება : სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკთა შრომითი ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ / გამსახურდია ზ. // რესპუბლიკა. - 1991. – 7 მაისი. - №17/50. – 3 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## მიწისძვრით დაზარალებულთა მატერიალური დახმარების შესახებ

1991 წლის 29 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა მატერიალური დახმარების მიზნით:

1. „დაწესდეს ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ოჯახებისათვის, მიწისძვრის შედეგად ადამიანთა მსხვერპლის შემთხვევაში, ოჯახის თითოეულ გარდაცვლილ წევრზე - 2000 მანეთი;

ყოველ მოქალაქეზე, რომელმაც მიიღო ტრავმა, - 500 მანეთი;

სახლისა და სხვა ნაგებობათა დანგრევის, ავეჯისა და სხვა ქონების განადგურების შემთხვევაში - ერთ ოჯახზე - 4000 მანეთი და ოჯახის ყოველ წევრზე დამატებით - 500 მანეთი;

საცხოვრებელი სახლის, სხვა ნაგებობათა და საოჯახო ქონების დაზიანებისას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია შეკეთების შემდეგ - ერთ ოჯახზე 1000 მანეთი;

საცხოვრებელი სახლისა და სხვა ნაგებობათა, აგრეთვე საოჯახო ქონების მცირედ დაზიანებისას - ერთ ოჯახზე 500 მანეთამდე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განსაზღვროს აღნიშნულ დახმარებათა დაფინანსების წყაროები.

2. მოქალაქეებს მიწისძვრის შედეგად დანგრეულ შენობა-ნაგებობათა სადაზღვევო ღირებულება აუნაზღაურდეთ 100 პროცენტით.

3. სტიქიური უბედურების ზონაში მცხოვრები მოქალაქეები 1991-1992 წლებში გათავისუფლდნენ სასოფ-

ლო-სამეურნეო და შენობის მფლობელთა გადასახადისა და მიწის გადასახადისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 6 მაისი.**

**ბრძანებულება : მიწისძვრით დაზარალებულთა მატერიალური დახმარების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 7 მაისი. - № 88 (108). – 1 გვ.**

**ბრძანებულება : მიწისძვრით დაზარალებულთა მატერიალური დახმარების შესახებ / გამსახურდია ზ. // რესპუბლიკა. - 1991. – 7 მაისი. - №17/50. – 3 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## სახსრების მიღების წყაროების შესახებ მოქალაქეთა მიერ დეკლარაციის წარდგენის გაუქმების თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, საცალო ფასების მომატებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ინფლაციური პროცესებიდან და რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე:

შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის ტრეიტორიაზე „უშრომელ შემოსავლებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის №575 დადგენილების მე-10 პუნქტის მოქმედება და გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ათი ათას მანეთზე მეტი თანხის გარიგებათა დადებისას, ოცი ათას მანეთზე მეტი ღირებულების საცხოვრებელი სახლის (აგარაკის) აშენებისას, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და პროკურატურის მოთხოვნით სახსრების მიღების წყაროების შესახებ დეკლარაციების წარმოდგენა.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 6 მაისი.**

**ბრძანებულება : სახსრების მიღების წყაროების შესახებ მოქალაქეთა მიერ დეკლარაციის წარდგენის გაუქმების თაობაზე / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 7 მაისი. - № 88 (108). – 1 გვ.**

# რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ბ. ელცინს

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ა. წ. 6 მაისს ქ. ცხინვალში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს უკანონოდ მოწვეულ სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა შედის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაგრამ თურმე „ადმინისტრაციულად ექვემდებარება" რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქციას. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ა. წ. 24 აპრილს კონსტრუქციული მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დადგენილებით პარიტეტულ საწყისებზე იქმნება საბჭოთა კავშირის, რსფსრ-სა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა კომისია შიდა ქართლში მცხოვრები ოსი მოსახლეობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ამ კომისიას ევალება შიდა ქართლში შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებით მოგვარება. გაჩნდა ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და იქ მცხოვრები ოსი მოსახლეობის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დაცვის რეალური პერსპექტივები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება პროვოკაციად არ შევაფასოთ ოსი სეპარატისტების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელთა მიზანია არა მარტო ხელი შეუშალონ დაწყებულ პოლიტიკურ პროცესს, არამედ პრაქტიკულად ჩაშალონ ეს წამოწყება, დაუპირისპირონ ერთმანეთს საქართველოს რესპუბლიკისა და რსფრსრ-ს იურისდიქცია ამ რეგიონში.

არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს სესია ჩატარდა ა. ჩეხოევის - საბჭოთა კა-

ვშირის სახალხო დეპუტატის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან - თავმჯდომარეობით, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ა. ჩეხოევი - საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი - გადაყენებული იყო თვით ოსი მოსახლეობის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, მას არ ჰქონდა უფლება სათავეში ჩასდგომოდა ოს ექსტრემისტთა ახალ პროვოკაციას, რადგანაც კარგად იცოდა, თუ რა მსჯელობა იყო ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე და რაზე შეთანხმდნენ დეპუტატები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. წ. 7 მაისს თავისი დადგენილებით იურიდიული ძალის არმქონედ ცნო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს რეანიმაციის ცდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე ოფიციალურად გაემიჯნებიან ოს ექსტრემისტთა პროვოკაციულ აქტს, რომელიც ყოვლად შეუთავსებელია ორ სუვერენულ რესპუბლიკას შორის წამოწყებულ ჭეშმარიტად თანასწორუფლებიან ურთიერთობასთან. ამ აქტის თქვენი მხრიდან რეაგირების გარეშე დატოვება შეფასდება როგორც მისი ფაქტობრივი აღიარება და საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 7 მაისი.**

**მიმართვა : რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ბ. ელცინს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 8 მაისი. - № 89 (109). – 2 გვ.**

# სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. გორბაჩოვს საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ რ. ნიშანოვს

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ა. წ. 6 მაისს ქ. ცხინვალში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს უკანონოდ მოწვეულ სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა შედის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაგრამ თურმე „ადმინისტრაციულად ექვემდებარება" რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქციას. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ა. წ. 24 აპრილს კონსტრუქციული მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დადგენილებით პარიტეტულ საწყისებზე იქმნება საბჭოთა კავშირის, რსფსრ-სა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა კომისია შიდა ქართლში მცხოვრები ოსი მოსახლეობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ამ კომისიას ევალება შიდა ქართლში შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებით მოგვარება. გაჩნდა ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და იქ მცხოვრები ოსი მოსახლეობის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დაცვის რეალური პერსპექტივები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება პროვოკაციად არ შევაფასოთ ოსი სეპარატისტების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელთა მიზანია არა მარტო ხელი შეუშალონ დაწყებულ პოლიტიკურ პროცესს, არამედ პრაქტიკულად ჩაშალონ ეს წამოწყება, დაუპირისპირონ ერთმანეთს საქართველოს რესპუბლიკისა და რსფრსრ-ს იურისდიქცია ამ რეგიონში.

არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეს სესია ჩატარდა ა. ჩეხოევის - საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან - თავმჯდომარეობით, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ა. ჩეხოევი - საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი - გადაყენებული იყო თვით ოსი მოსახლეობის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, მას არ ჰქონდა უფლება სათავეში ჩასდგომოდა ოს ექსტრემისტთა ახალ პროვოკაციას, რადგანაც კარგად იცოდა, თუ რა მსჯელობა იყო ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე და რაზე შეთანხმდნენ დეპუტატები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა.წ. 7 მაისს თავისი დადგენილებით იურიდიული ძალის არმქონედ ცნო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს რეანიმაციის ცდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მოგმართავთ თქვენ, მიიღოთ სასწრაფო ზომები და ოფიციალურად მხარი დაუჭიროთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას, დაგმოთ ოს სეპარატისტთა დესტრუქციული აქტი; წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება საპარლამენტო კომისიის მუშაობა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პერსპექტივა.

დარწმუნებული ვართ, რომ ოსი სეპარატისტები ვერ შეძლებენ შიდა ქართლში მიმდინარე კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოწესრიგების ჩაშლას.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 7 მაისი.**

**მიმართვა : სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მ. გორბაჩოვს, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ რ. ნიშანოვს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 8 მაისი. - №89 (109). – 2 გვ.**

# ბატონი ზვიად გამსახურდია ესაუბრა ქართველი ებრაელი ეროვნების წარმომადგენლებს

14 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონიზვიად გამსახურდია შეხვდა ქართველი ებრაელი ეროვნების წარმომადგენლებს. მათთან ერთად იყო საქართველოში სტუმრად მყოფი ისრაელის პარლამენტის წევრი, ისრაელის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე, ისრაელ-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის „დერეხის" თავმჯდომარე, ჩვენი თანამემამულე ეფრაიმ გური.

გაიმართა გულთბილი, დაინტერესებული საუბარი ქართველთა და ებრაელთა ისტორიული ურთიერთობისა და მეგობრობის შესახებ. აღინიშნა, რომ იშვიათია ასეთი მრავალსაუკუნოვანი, გულწრფელი და უხინჯო დამოკიდებულება, რაც ოცდაექვსი საუკუნეა აკავშირებს ამ ორ ერს, საქართველო იშვიათი გამონაკლისია მსოფლიო ხალხების ისტორიაში, სადაც ებრაელობას არ განუცდია არავითარი ჩაგვრა, დამცირება, გენოციდი, პირიქით, წარმატებით ვითარდებოდა უმდიდრესი ტრადიციების მქონე ებრაული კულტურა. ამიტომ იყო ქართველი ებრაელობა მუდამ ქართველი ერის გვერდით, მის ლტოლვაში საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ.

შეხვედრაზე სიტყვით გამოსულმა ქართველ ებრაელთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არაფერს არ დაიშურებენ, რათა ხორცი შეესხას მათი მოძმე ერის ამ კეთილშობილურ მიზანსა და მისწრაფებას, შემდგომშიც მათთვის ახლობელი, ორგანული იქნება ქართველი ხალხის მიზნები და ამოცანები, მისი ჭირის და ლხინის გაზიარება.

შეხვედრაზე დაისახა ორ ქვეყანას შორის მეცნიერული, კულტურული კონტაქტების შემდგომი გაძლიერების, ტექნიკურ კვლევათა გაფართოების პერსპექტივები ქართველ ებრაელ მეცნიერთა მდიდარი პოტენციალის გამოყენებით.

დაისვა საკითხი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ქა-

რთველი ებრელებისათვის, რომლებიც ამჟამად ისრაელში ცხოვრობენ, მაგრამ საქართველოსთან დღემდე სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული. გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასურველია და ორმხრივ სასარგებლოა თბილისსა და თელ-ავივში გაიხსნას ვიცე-საკონსულოები. ითქვა იმის შესახებ, რომ გაეწიოს სახელმწიფო ზრუნვა ონში მიწისძვრის შედეგად დანგრეული სინაგოგის აღდგენას, რომელიც არა მარტო სასულიერო ცხოვრების ცენტრია, არამედ საქართველოში გამორჩეული კულტურის ძეგლიცაა.

მეტი ყურადღება დაეთმობა საქართველოში ქართველ ებრაელ მწერალთა ნაწარმოებების გამოცემის საქმეს. დაისახება ღონისძიებანი იმისათვის, რომ აღდგეს ქართველ ებრაელთა ცენტრი და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში. ითქვა იმის შესახებაც, რომ გაიხსნას პირდაპირი ავიახაზი თბილისსა და თელ-ავივს შორის, კვირაში ერთი რეისის პერიოდულობით.

**საქინფორმი.**

**ბატონი ზვიად გამსახურდია ესაუბრა ქართველი ებრაელი ეროვნების წარმომადენლებს // საქართველოს რეპუბლიკა. – 1991. – 15 მაისი. - № 94(114). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტით სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მგზავრობაზე შეღავათების შესახებ

საცალო ფასების რეფორმასა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტით სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მგზავრობაზე მოქმედი შეღავათები გავრცელდეს მთელი წლის განმავლობაში.

ბრძანებულება ძალაშია 1991 წლის 15 მაისიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 15 მაისი.**

**ბრძანებულება : რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტით სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მგზავრობაზე შეღავათების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 16 მაისი. - № 95 (115). – 1 გვ.**

# ᲡᲡᲠᲙ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ Დ. ᲘᲐᲖᲝᲕᲡ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲡ Ვ. ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲘᲔᲕᲡ

13 მაისს ქ. გორში ჯარისკაცები გამოეკიდნენ ბავშვებს, რომლებიც ფეხბურთს თამაშობდნენ სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, შემდეგ კი ავტომატებით ცეცხლი დაუშინეს მათ, რის შედეგადაც მოკლულ იქნა 14 წლის ზაზა კაკაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და ხალხი აღშოთებული არიან ამ გაუგონარი ბარბაროსობის აქტით, მოითხოვენ სასწრაფო გამოძიებას და დამნაშავე პირთა დასჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 16 მაისი.**

**მიმართვა : სსრკ თავდაცვის მინისტრს დ. იაზოვს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს ვ. პატრიკიევს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 17 მაისი. - № 96 (116). – 1 გვ.**

# სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. პუგოს

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ქ. ცხინვალში დისლოცირებული ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც ახორციელებდა „რეიდს“ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ, 13 მაისს შეიჭრა გორის რაიონის სოფელ დისევში და შეკრებილ მცხოვრებთა თვალწინ ჩამოგლიჯა და შეურაცხყო სკოლის შენობაზე აღმართული ეროვნული დროშა.

თქვენდამი რწმუნებული ჯარის ნაწილები, რომლებიც არაერთგზის ავიწროებენ მშვიდობიან მოსახლეობას, სტაცებენ ქონებას, პირუტყვს და სჩადიან სხვა ძალადობას, ახლა უკვე მთელი ქართველი ხალხის თავმოყვარეობისა და ღირსების შეურაცხყოფამდე მივიდნენ.

მოვითხოვთ შეწყდეს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალთა მიერ უმსგავსობათა ჩადენა, პასუხი მოეთხოვოთ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების დარღვევაში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 16 მაისი.**

**მიმართვა : სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. პუგოს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 17 მაისი. - № 96 (116). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან გასულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ

რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების შემდგენლობიდან გასულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა გამოყენების მიზნით:

1. ეროვნულ გვარდიაში ჩარიცხვისას ქართველ ოფიცრებს, პროპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ზევადიანი სმსახურის სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო სტაჟში ჩაეთვალოთ სრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურის წლები.

2. ვადიანი სამსახურის ის ქართველი სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში იმსახურეს ერთი წელი და მეტი, ჩაითვალონ ჯარმოხდილად, ხოლო მათ, ვინც ერთ წელზე ნაკლები იმსახურეს, საქართველოს რესპუბლიკის გამწვევი კომისია გამოიძახებს სასწავლო შეკრებებზე შესაბამის სპეციალობებში მოსამზადებლად.

3. პირველ და მეორე პუნქტებში აღნიშნულ პირებს მიეცეთ პასპორტები იმ საცხოვრებელ ადგილას მუდმივი ჩაწერით, საიდანაც გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 21 მაისი.**

**ბრძანებულება : სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან გასულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 22 მაისი. - № 99-100 (120). – 1 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადის გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებითა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით თავსმოხვეულმა გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადის შემოღებამ მნიშვნელოვნად გააუარესა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა და გამოიწვია მისი სამართლიანი გულისწყრომა.

რესპუბლიკის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1991 წლის 23 მაისიდან რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმდეს მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადი.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 22 მაისი.**

**ბრძანებულება : მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადის გაუქმების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 23 მაისი. - № 101 (121). – 1 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## "საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 1214 მუხლის შესაბამისად:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე".

ამასთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე საკანონმდებლო ინიციატივის წესით დაისვას საკითხი, რათა საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

24-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს სიტყვები:

„... რომლის შესახებაც იგი გადაწყვეტილებას იღებს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს ორი დღისა".

25-ე მუხლში:

მესამე ნაწილს დაემატოს შემდგი ტექსტი:

„იმ უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა

ცნობილი თუ ამომრჩეველთა რიცხვი იმდენდ დიდია, რომ არჩევნებში მათ მონაწილეობას შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა არჩევნების ჩატარებულად ჩათვლაზე, არჩევნებში გამარჯვებულის გამოვლენაზე ან არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების გამოვლენაზე, ამ უბნებში ტარდება ხელახალი ხმის მიცემა არჩევნების დღეს ან ორი კვირის ვადაში.

მე-4 ნაწილში სიტყვები „ორი კვირის" შეიცვალოს სიტყვებით „სამი კვირის";

მე-5 ნაწილს დაემატოს შემდეგი ტექსტი:

„საჩივრები არჩევნების ჩატარებისა და მისი შედეგების დადგენის კანონიერების თაობაზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს სამი დღისა. მათ შესახებ კომისია გადაწყვეტილებას იღებს არჩევნებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და კომისიის მიერ საარჩევნო კანონის დარღვევის გამო საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება აქვთ პრეზიდენტობის კანდიდატს ან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მის პასუხისმგებელ წარმომადგენელს არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს ექვსი დღისა.

სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავს, გადაწყვეტილება გამოაქვს არჩევნების დღიდან არა უგვიანეს ცხრა დღისა. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ცენტრალური საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე აჩერებს არჩევნების შედეგების დადგენას.

თუ პრეზიდენტობის კანდიდატს, მის პასუხისმგებელ წარმომადგენელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, პრეზიდენტობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი რომელიმე პირს ან საარჩევნო უბანში მის რომელიმე წარმომადგენელს დაუმტკიცდება არჩევნების დღეს ამომრჩეველთა

ნებაზე კანონით დაუშვებელი ზემოქმედება, მაშინ შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილებით საარჩევნო კომისია გააუქმებს პრეზიდენტობის ამ კანდიდატისათვის მიცემული ხმების მთელ რაოდენობას ამ უბანში. იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმებულ ხმათა რაოდენობას შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა არჩევნების ჩატარებულად ჩათვლაზე, არჩევნებში სხვა გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენაზე ან არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების გამოვლენაზე, შესაბამის უბნებში ტარდება ხელახალი ხმის მიცემა არჩევნების დღიდან ორი კვირის ვადაში".

მე-6 ნაწილში რიცხვი „5" შეიცვალოს რიცხვით „10";

მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს პრეზიდენტობის კანდიდატების წარმომადგენლებს".

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 23 მაისი.**

**ბრძანებულება : "საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 24 მაისი. - № 102-103 (123). – 1 გვ.**

## 6 შეკითხვა პრეზიდენტობის კანდიდატებს

1. რა ძირითადი თვისებები უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს და პრეზიდენტობის არსებული კანდიდატებიდან, ვის გააჩნია ეს თვისებები მეტ-ნაკლებად?

2. საქართველოში ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების საქმეში ვის მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი არსებული კანდიდატებიდან ან პარტიებიდან, რომლებმაც ეს კანდიდატები წარადგინეს?

3. პარტიამ ან ბლოკმა, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, ან პირადად თქვენ, რა გააკეთეთ იმისათვის, რომ საქართველოში მიგვეღწია მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნებისათვის, რის შედეგადაც გახდა შესაძლებელი საქართველოში დემოკრატიული წესით პრეზიდენტის არჩევნების ჩტარება?

4. შეგეძლოთ თუ არა გეფიქრათ საქართველოში პირველ პოსტზე არჩევა კომუნისტური რეჟიმის დროს?

5. დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტს, ცხადია, უნდა გააჩნდეს დიდი ინტელექტუალური პოტენციალი და მყარი ერონული სულისკვეთება ამასთან, გაცნობიერებული გაქვთ თუ არა, რომ ეს არის ჯვარცმა, გოლგოთას გზა, უდიდესი ისტორიული პასუხისმგებლობა ერის წინაშე. ხართ ამისათვის მზად?

6. რა როლს ასრულებს საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე კონგრესი და რა პოზიცია გიჭირავთ მის მიმართ.

## ზვიად გამსახურდიას პასუხები

1. დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს უნდა გააჩნდეს ძალა და უნარი საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მისი შემდგომი დაცვისა, ე.წ. ცენტრის მიმართ მტკიცე და უკომპრომისო პოზიციის დაკავებისა. თუ ვის ხელეწიფება ეს, არსებული კანდიდატებიდან, დაე, თვით ქართველმა ხალხმა განსაჯოს.

2. არ ვამცირებ რა ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ღვაწლს, მიმაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ცნობიერების საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშეს „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა.

3. „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ბლოკის ინიციატივითა და უშუალოდ ქართველი ხალხის თანადგომით ჩატარდა მრავალი მასობრივი აქცია, მათ შორის სამტრედიის რკინიგზის კვანძის ბლოკირება, რამაც აიძულა იმდროინდელი ხელისუფლება დათანხმებულიყო საქართველოში პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე.

4. საზოგადოებისათვის ცნობილ გარემოებათა გამო, კომუნისტური რეჟიმის დროს ჩემთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი სურვილი და ფიქრი საქართველოში პირველი პოსტის დაკავებისა. პრეზიდენტობა არც დღესაა ჩემთვის თვითმიზანი.

5. მე რომ არ მქონდეს გაცნობიერებული, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობას მაკისრებს საქართველოს პრეზიდენტობა, არც დავთანხმდებოდი ჩემი კანდიდატურის წამოყენებაზე.

6. სამწუხაროა, რომ ე.წ. „კონგრესის“ მოღვაწეობა ჰგავს ბალტიისპირეთში „ინტერფრონტების“ მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია დემოკრატიული გზით არჩეული ეროვნული მთავრობის დამხობისაკენ, რასაც ადასტურებს მათი წინასაარჩევნო აქციები და განცხადებები. დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ „კონგრესი“ და კრემლი ერთნაირი ეპითეტებით ამკობენ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას. აქედან დასკვნების გამოტანა მკითხველისათვის მიმინდვია.

**ესაუბრა „ახალგაზრდა ივერიელის“**
**კორესპონდენტი შოთა შაშიაშვილი**

**6 შეკითხვა პრეზიდენტობის კანდიდატებს / გამსახურდია ზ. // ახალგაზრდა ივერიელი. – 1991. – 25 მაისი. - № 60 (11693). – 1,2 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც შეუწყნარებლად მიაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პატივის და ღირსების შელახვა, ადგენს:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდეექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2061 მუხლი:

„მუხლი2061 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საჯარო შეურაცხყოფა ან მის მიმართ ცილისწამება -

ისჯება ჯარიმით სამი ათას მანეთამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი პრესის ან მასობრივი ინფორმაციია სხვა საშუალებათა გამოყენებით -

ისჯება გამასწორებელ სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე ვადით.

2. მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებას, რომელმაც გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი ან მის მიმართ ცილისწამების შემცველი მასალა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ეკისრება ჯარიმა ოცდახუთიათას მანეთამდე ოდენობით.

მასობრივი ინფრმაციის იმ საშუალების საქმიანობა, რომელიც განმეორებით გაავრცელებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხმყოფელ ან მის მიმართ ცილისწამების შემცველ მასალებს, შეიძლება შეწყდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3. ეს კანონი ძალაშია მისი გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**1991 წლის 23 მაისი.**

**კანონი : საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ // ახალგაზრდა ივერიელი. – 1991. - 25 მაისი. - № 60 (11693). – 2 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესკონფერენცია

- საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური კურსი კვლავაც უცვლელი დარჩება.

იგი დაეფუძნება საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებებისა და ცივილიზებული ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების პატივისცემას. - განაცხადა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მმართველი ბლოკის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ 52 წლის ლიდერმა, სამართლდამცველმა და ყოფილმა პოლიტპატიმარმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს ისტორიაში გამართულ პირველ პირდაპირ არჩევნებში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა და ამ ახალ თანამდებობაზე გამართა პირველი პრესკონფერენცია.

მიიღო რა პრესკონფერენციის მონაწილეთაგან პირველი მილოცვები, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მას ოდნავადაც არ გაკვირვებია არჩევნების შედეგები, რადგან მანამდე, სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო მისი უპირატესობა პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებთან შედარებით. წინასაარჩევნო ბრძოლის წარმართვის უუნარობით, უტაქტობით ოპონენტებმა საშუალება მისცეს მას უფრო მეტი ხმა მოეგროვებინა, რადგან მათ საჯარო შეურაცხყოფას შეუძლებელია არ გამოეწვია უკურეაქცია.

უპასუხა რა კითხვას, თუ რამდენად შესაძლებელია ეროვნული თანხმობისა და კომპრომისების მიღწევა, პრეზიდენტმა თქვა, რომ, როგორც იგი ფიქრობს, საქართველოში უკვე მიღწეულია ეროვნული თანხმობა, ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დაუსაბუთებელია მის მიმართ წაყენებული ბრალდებანი ოპოზიციის მხრივ, და პირდაპირმა არჩევნებმა ცხადყო მათი არგუმენტების უსუსურობა.

- სინამდვილეში ოპოზიცია არც კი არსებობს. ოპოზიციას აფინანსებს მოსკოვი და მისი ლიდერები ან პროვოკატორები არიან, ან პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი

ადამიანები, - დასძინა მან.

შეეხო რა ყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემებს, მან გამოთქვა რწმენა, რომ მათი მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისადმი, და ადგილობრივ სეპარატისტებს არავითარი მყარი ნიადაგი არა აქვთ. იქ წარმოქმნილი კონფლიქტები კი ადგილობრივი კომუნისტურ მაფიისა და კრემლის საქმეა.

პრესკონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, დასვეს კითხვები საქართველოს პრეზიდენტის, მისი მთავრობის მომავალ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაზე. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დამსწრეთ აცნობა, რომ მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბატონ ჯორჯ ბუშთან მისი შეხვედრისთვის მზადება, და დასძინა, რომ 12 ივნისის შემდეგ აპირებს შეხვდეს აგრეთვე ბორის ელცინსა და მიხეილ გორბაჩოვს.

**საქინფორმი.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესკონფერენცია // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 28 მაისი. - № 106 (126). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1973-77 წლებში მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებები რესპუბლიკის რეგიონების რაიონული სქემების დამტკიცების შესახებ. ამ დადგენილებებით 620 სოფელი ჩათვლილი იყო უპერსპექტივოდ, 184 სოფელი - შეზღუდული განვითარების სოფლად.

უპერსპექტივო სოფლებში აკრძალული იყო ახალი საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფა, არ უნდა აშენებულიყო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. ამ სოფლების მცხოვრებლები უნდა გადასახლებულიყვნენ პერსპექტიულ სოფლებში. ასევე შეზღუდული განვითარების სოფლებში აკრძალულია საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა, არსებულზე ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, დაშვებულია მხოლოდ არსებული საცხოვრებელი სახლების რემონტი. ამ დადგენილებით მაშინდელმა მთავრობამ ყბადაღებული კომუნისტური ლოზუნგის „კომუნიზმის დროს ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების მოსპობის" ბოლშევიკური გზა აირჩია და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა დიდი რაოდენობით ქართულ სოფლებს. ამ სოფლებიდან უმრავლესობა უკვე ნასოფლარადაა ქცეული, ხოლო მათ სარგებლობაში არსებული ათასობით ჰექტარი მიწა მიტოვებული და გამოუყენებელია. ასეთივე ბედი მოელის კიდევ 804 სოფელს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვბრძანებ: გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ ყოფილი მინისტრთა საბჭოს ქვემოთ ჩამოთვლილი დადგენილებები:

1. 1973 წლის 20 ივნისის № 398 - შიდა ქართლისა და თბილისის საგარეუბნო ზონების დაგეგმარების სქემების დამტკიცების შესახებ, რითაც უპერსპექტივოდ და შეზღუდული განვითარების სოფლად არის დამტკიცებული 170 სოფელი;
2. 1974 წლის 26 ივლისის № 357 დადგენილება - დუშე-

თის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების დაგეგმარების პროექტების დამტკიცების შესახებ, რითაც უპერსპექტივოდ და შეზღუდული განვითარების სოფლად არის დამტკიცებული 185 სოფელი.

3. 1975 წლის 7 იანვრის № 8 დადგენილება - კახეთის საგეგმარებელი რაიონის სქემის დამტკიცების შესახებ, რითაც უპერსპექტივოდ და შეზღუდული განვითარების სოფლად არის დამტკიცებული 36 სოფელი.

4. 1975 წლის 17 იანვრის № 38 დადგენილება - დასავლეთის (კოლხეთის) დაგეგმარების პროექტების დამტკიცების შესახებ, რითაც უპერსპექტივოდ და შეზღუდული განვითარების სოფლად არის დამტკიცებული 46 სოფელი.

5. 1976 წლის 3 აგვისტოს № 533 დადგენილება - აფხაზეთის რაიონული სქემების დამტკიცების შესახებ, რითაც უპერსპექტივოდ და შეზღუდული განვითარების სოფლად არის დამტკიცებული 129 სოფელი.

6. 1976 წლის 3 აგვისტოს № 543 დადგენილება - აჭარის რაიონული სქემების დამტკიცების შესახებ, რითაც უპერსპექტივოდ და შეზღუდული განვითარების სოფლად არის დამტკიცებული 33 სოფელი.

7. 1977 წლის 16 ნოემბრის № 782 დადგენილება - სამხრეთ ოსეთის რაიონული დაგეგმარების პროექტების მოწონების შესახებ, რითაც უპერსპექტივოდ და შეზღუდული განვითარების სოფლად არის მიჩნეული 205 სოფელი.

დაევალოს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობისა და ეკოლოგიის კომისიის მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ქვეკომისიას უახლოეს პერიოდში წარმოადგინოს დებულება ნასოფლარების აღდგენის შესახებ.

საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ დებულებით განსაზღვრულ ღონისძიებათა დროული გატარება.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 23 მაისი.**

**ბრძანებულება : საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 29 მაისი. - № 107 (127). – 1 გვ.**

# ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲑᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 30 მაისის ინტერვიუ, რომელიც მან მისცა თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი ცენტრალური გაზეთის „თურქიას" რედაქტორს ევროპის დეპარტამენტის ხაზით ბატონ ბილალ ქოჩაკს და ეკონომიკურ მიმომხილველს ბატონ ენგინ შენოლს ამა წლის 30 მაისს

**— ბატონო პრეზიდენტო, გაზეთ „თურქიას" რედაქციის ყველა წევრის სახელით მაქვს პატივი მოგესალმოთ და მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევა. ასეთი უზარმაზარი უპირატესობით გამარჯვება არჩევნებში შესანიშნავია. თქვენ ჭეშმარიტად სახალხო გმირი ბრძანდებით. ბევრი წამება და გაჭირვება გადაიტანეთ, არ შეშინდით საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, დიდი გზა გამოიარეთ და ღირსეულ ადგილას მოხვედით. ჩვენ ეს გვსმენია თურქეთში და ახლა თვალნათლივ დავრწმუნდით. გმადლობთ, რომ მოიცალეთ და დაგვთანხმდით ინტერვიუზე. ვეცდებით დიდად არ მოგაბეზროთ თავი. გვინდა ჩვენი საუბარი ერთგვარად ნაწილებად დავყოთ: იგი შეეხება მსოფლიოს პოლიტიკურ სიტუაციას, საბჭოთა კავშირს და საქართველოს დღევანდელ დღეს.**

**შარშან პარიზის ცნობილი შეხვედრის შემდეგ, სადაც 55 ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობა შეიყარა, საბოლოოდ შეწყდა „ცივი ომი". კიდევ უფრო გამოიკვეთა პოლიტიკური შერბილების პროცესი. თქვენ როგორ აფასებთ მსოფლიოს დღევანდელ ვითარებას და საბჭოთა კავშირის პოზიციას?**

— მართალია, დღეს ვითარება შეიცვალა. მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის ძალისხმევით სალმა აზრმა იმარჯვა. საბჭოთა კავშირი უფრო რეალისტური პოლიტიკის გზაზე დააყენეს (მაგალითად აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის დაშლა, გერმანიის გაერთიანება და ა.შ.), მან შეწყვიტა „ცივი ომი". ახლა ქვეყნის შიგნით წამოიწყო იმ რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომ-

ლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ეს „ცივი ომი“ ნამდვილ ომშიც კი გადაიზრდება ხოლმე კავშირის სხვადასხვა წერტილებში, რაც გამოიხატება საბჭოთა ჯარების თავდასხმებით რესპუბლიკებზე. უშუალო შეიარაღებული ჩარევის ნათელი მაგალითია ბალტიისპირეთის და კავკასიის რეგიონალური კონფლიქტები. მოსკოვი პირდაპირ აგრესიას მიმართავს საქართველოს წინააღმდეგ ჩრდილოეთ საქართველოში, ანუ ყოფილ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოლქში. გრძელდება მუქარა კანონიერად არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ. თუ ბრეჟნევის დოქტრინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ძალით დამორჩილება და მათზე დიქტატი იყო, გორბაჩოვის დოქტრინა შინაკავშირის ქვეყნების ძალით დამორჩილებაა. აი, ასეთია დღეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური კურსი. ცენტრის ძალები ცდილობენ სამხედრო ძალით ჩაახშონ დემოკრატია და დამონებული ერების სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

**– როგორ ფიქრობს ბატონი პრეზიდენტი, ნუთუ უკან დაბრუნებას ნიშნავს ეს ყველაფერი?**

– დიახ, უკან ტოტალიტარიზმისაკენ დაბრუნება სურთ, რისთვისაც თავგამოდებით იბრძვის ე.წ. საბჭოთა პარლამენტში საკმაოდ მძლავრი ფრაქცია „სოიუზი“. იგი სისხლიანი რეპრესიების მომხრეა დემოკრატიის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

**– 70 წლის განმავლობაში კომუნისტური რეჟიმით ცხოვრობდა ქვეყანა. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მთელი შეგნებული ცხოვრება იბრძოდით ამ რეჟიმის წინააღმდეგ. რა შეგიძლიათ გვითხრათ „კომუნიზმის“ შესახებ, რა არის ეს „კომუნიზმი“? საერთოდ, როგორ აღიქვამთ სიტყვა „კომუნიზმს“?**

– როგორც ყოველგვარი სიცრუის და სიყალბის სიმბოლოს! რაც შეეხება თვითონ კომუნიზმის თეორიას, ეს არის უდიდესი საფრთხე კაცობრიობისათვის, მისი მომავლისათვის. „კომუნიზმი“ ნიშნავს ყოველგვარი დემოკრატიის, ყოველგვარი ეროვნული თვითგამორკვევის განადგურებას, იგი ანტიკულტურული და ანტიადამიანური, დემონური მოძღვრებაა.

დღეს კრემლი ინიღბება დემოკრატიული ლოზუნგებით, ვითომცდა „პერესტროიკით" და „გლასნოსტით", მაგრამ კვლავ იგივეს განაგრძობს, რასაც აკეთებდა წინა პერიოდის მთავრობა.

**– ბოლო ექვსი წელია მთელი მსოფლიოს პრესა გორბაჩოვზე, „პერესტროიკაზე" და „გლასტნოსტზე" ლაპარაკობს და თქვენი აზრით, ეს მაინც „ნიღაბია"? და კიდევ, იგივე საბჭოთა პარლამენტში რუსი დემოკრატებიც ამბობენ, რომ კომუნიზმით რუსული შოვინიზმი ინიღბება და ბოგინობს. თქვენც ამას ბრძანებთ?**

– სრული ჭეშმარიტებაა. რასაკვირველია – ნიღაბია. ვინაიდან მსოფლიოში კომუნისტურ იდეებს, ტოტალიტარიზმს საბოლოოდ გაუტყდა სახელი. ამიტომ მოიგონეს საბჭოთა წყობის ეს ახალი ფორმები „პერესტროიკა" და „გლასტნოსტი", რაც არაფერ სიკეთეს არ აძლევს დაპყრობილ ერებს. კრემლი ისევ აგრძელებს თავის შოვინისტურ და დამპყრობლურ პოლიტიკას და ისიც სწორია, რომ რუსული შოვინიზმის ნიღაბია ეს ყოველივე.

დღეს ჯარები გერმანიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან მოჰყავთ ჩვენთან, ვითომდა ადგილი არა გვაქვს და რა ვქნათო. აღმოსავლეთი ევროპა დაკარგეს და ეხლა ეს ერები უნდათ შეინარჩუნონ მონებად. აი გორბაჩოვის დოქტრინის პრაქტიკული განხორციელება.

**– გორბაჩოვსა და ელცინს თუ ადარებთ ერთმანეთს? ამბობენ, ელცინი გორბაჩოვის მიმდევარია, ოღონდ გაცილებით რეაქციულიო?!**

– ძალიან ძნელია ამის თქმა, სანამ ელცინი არჩევნებს არ დაამთავრებს, სანამ არ გაიმარჯვებს და არ გამოკვეთს თავის პოლიტიკურ კურსს.

გორბაჩოვის პოლიტიკა კი, ეს იგივე ძველი ლენინურ-სტალინური იმპერიალისტური პოლიტიკაა, ოღონდ შელამაზებული ამ ე. წ. „პერესტროიკით" და „გლასტნოსტით", ვითომცდა უფრო დემოკრატიული სამოკავშირეო ხელშეკრულებით და ა.შ.

**- საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უკანასკნელი იმპერიაა, რომელიც უკვე ირღვევა. ექვს რესპუბლიკას და მათ**

**შორის გამოკვეთილად საქართველოსაც სურს თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა. შემდგომი მოვლენები როგორ გესახებათ?**

– ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მსოფლიო როგორ დაეხმარება ამ რესპუბლიკებს, რამდენად სცნობს მათ მისწრაფებათა კანონიერებას, დამოუკიდებლობას.

**– მოლდავეთში მოხდა ამ ექვსი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა. რას გვეტყოდით იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე?**

– დიახ, გაიმართა ამ ექვსი რესპუბლიკის ეროვნულ მოძრაობათა წარმომადგენლების შეხვედრა, გადაწყდა, რომ მეტი კოორდინაციაა საჭირო, მეტი კოორდინაცია მოქმედებების, მეტი ურთიერთგაგება და დახმარება კოლონიური, იმპერიალისტური რეჟიმის აგრესიული პოლიტიკისაგან თავდაცვაში.

**– ეს ექვსი რესპუბლიკა რაიმე ოფიციალური ხელშეკრულების დადებას ხომ არ აპირებს?**

– ჯერ, ამას წინ უნდა უსწრებდეს ექვსი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს შეხვედრა უმაღლეს დონეზე.

**– ეს ბლოკი, თქვენი აზრით, კრემლის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნება?**

– საბრძოლველად – არა. თავდაცვისათვის – კი. მოსკოვის აგრესიის წინააღმდეგ კავშირურთიერთობა იქნება კულტურულიც, ეკონომიკურიც, ის კი არა, როცა გავალთ, საბჭოთა კავშირთანაც გვინდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა.

**– 7 წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანას სურს ვალუტით (ლაპარაკია მილიარდობით დოლარზე) დაეხმაროს გორბაჩოვს. ნუთუ ასეთ მძიმე მდგომარეობაშია დღეს საბჭოთა ეკონომიკა?**

– ძალიან მძიმე ვითარებაა. და ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი არ ანებებს თავს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გაძლიერების ცდებს. კვლავაც უნდა, რომ წამყვანი მილიტარისტული ქვეყანა იყოს. სამხედრო ძალის მეშვეობით ჰქონდეს ჰეგემონია მსოფლიოში. ეს მილიარ-

დებიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შენარჩუნები-სათვის უნდათ, თან ხალხის ეკონომიკური მდგომარეობაც კატასტროფულად რომ არ დაეცეს და შეინარჩუნონ შინა-განი სტაბილიზაცია.

**– წითელ არმიას და სუკ-ს იგივე ძალა აქვთ, რაც უწინ?**

– არმიას რასაკვირველია აქვს, სუკი კი პოლიტიკურ ცხ-ოვრებაში ისე აშკარად და აქტიურად ველარ ერევა, უფრო სწორად, ღიად ველარ ერევა, თუმცა, რა თქმა უნდა, მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს ტოტალიტარიზმის შენარჩუნები-სათვის ბრძოლაში.

**– ისევ საქართველოს მინდა დავუბრუნდეთ. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ თარიღი, როდის განთავისუფლდება საქართველო?**

– ასეთი თარიღის დასახელება შეუძლებელია, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ცხრა + ერთი რესპუბლიკის მიერ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ხელ-მოწერის თარიღზე, მათ პოზიციაზე ექვსი „ურჩი“ რესპუბ-ლიკის მიმართ.

**– ბატონო პრეზიდენტო, როგორი მმართველობითი და ეკონომიკური სისტემა გსურთ დღეს საქართველოში?**

– მხოლოდ დემოკრატიული. საქართველო საპრეზიდენ-ტო რესპუბლიკაა. ის კიდევ დაიხვეწება. საქართველოს ჰყავს მრავალპარტიული პარლამენტი, რომელიც აქტიურ როლს ასრულებს. მათში 10 პარტიის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული.

**– კომუნისტური პარტიისაც?**

– დიახ, მაგრამ ამ პარტიას არავითარი პოლიტიკური ძალა აღარ გააჩნია. ხალხმა ზურგი შეაქცია მას.

**– თურქეთი, მოგეხსენებათ, საქართველოს მეზობე-ლი ქვეყანაა. იგი 10 წელია გადავიდა თავისუფალ საბა-ზრო-ეკონომიკურ სისტემაზე. ჩვენი აზრით, სწორედ დღეს, როდესაც იწყება საქართველოს ბრძოლის ახალი ეტაპი თავისუფლებისათვის, ეკონომიკური დამოუკიდებლო-ბისათვის, ჩვენ კი ვიცით, რას ნიშნავს თავისუფალ საბა-ზრო-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, რაკი თვითონ გავ-იარეთ დაახლოებით ასეთივე გარდამავალი რთული ეტაპი**

**დემოკრატიზაციის გზაზე, როგორ უყურებთ მეზობელ თურქეთს და რას მოელით სასიკეთოს მისგან? შეიძლება თურქეთი თქვენთვის ევროპაში გასასვლელი კარი გახდეს?!**

– ეს ნამდვილად ასეც უნდა იყოს. მეზობელი ქვეყნები ვართ, ტრადიციულად მეგობრობით დაკავშირებულნი, და ჩვენს შორის საუკეთესო ურთიერთობა ყველა დონეზე უნდა აღდგეს. მოსკოვის იმპერიული ძალები ყოველნაირად ცდილობენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, რისთვისაც ყოველგვარ დეზინფორმაციას ავრცელებენ როგორც აქ, ასევე თურქეთში, მაგრამ რამდენადაც თურქეთს ვთვლით ევროპულ სახელმწიფოდ, ჰელსინკის ხელშეკრულებაზე ხელმომწერ ქვეყნად, ამდენად იგი საიმედო პარტნიორად მიგვაჩნია.

**– ისარგებლებთ თუ არა თურქეთის გამოცდილებით თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასასვლელად?**

– რასაკვირველია. აუცილებლად მოვიწვევთ ექსპერტებს.

**– თუ არ ვცდები, ამ ცოტა ხნის წინ თქვენთან ჩამოვიდა თურქეთის ელჩი სსრკ-ში?**

– დიახ, გვეწვია. ჩვენ საუბარი გვქონდა მომავალი ურთიერთობის განვითარებაზე ყველა დონეზე.

**– გყავთ თუ არა კადრები და არის თუ არა ბაზისი, რათა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდეს?**

– ალბათ ცოტა გაგვიჭიანურდება ეს პროცესი, ვინაიდან სანამ მთლიანად არ გამოვეყოფით საბჭოთა კავშირს, სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა გაგვიჭირდება. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ნაწილი ვართ მთელი საკავშირო ეკონომიკური სისტემისა. ამ გზაზე თურქეთის მხრივ უდიდესი დახმარება იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ცნობა და ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება.

**– უცხოურ კაპიტალდაბანდებაზე რას ფიქრობთ?**

– რასაკვირველია ინვესტიციებს ფართოდ გავუღებთ

კარს. ცხადია, გარკვეული საიმედოობის გარანტიით, კანონიერად, სახელმწიფო კონტროლის შენარჩუნებით.

**– საქართველოში ხშირად ვაწყდებოდით ამერიკულ დროშებს. რა ურთიერთობა გაქვთ ამ სახელმწიფოსთან, თუ იღებთ მისგან რაიმე დახმარებას?**

– კარგი ურთიერთობა გვაქვს. სწორედ ამ დღეებში მიმდინარეობს მოლაპარაკება ჯორჯ ბუშთან ჩემს მომავალ შეხვედრაზე ვაშინგტონში. მალე გაირკვევა, საბოლოოდ რა პოზიციას დაადგება ჩვენს საკითხში ამერიკის ადმინისტრაცია. ამერიკის კონგრესი ძალზედ მეგობრულად არის საქართველოს მიმართ განწყობილი, ხშირად იხილავენ ჩვენს საკითხს, მალე კონგრესმენთა დელეგაციაც გვეწვევა.

**– მატერიალურად თუ დაგეხმარნენ?**

– არც ისე საგრძნობლად, მაგრამ გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობა გვაქვს.

**– მსოფლიოში ორი სისტემაა – კაპიტალისტური და სოციალისტური. რომელს აძლევთ უპირატესობას?**

– ჩვენი მიზანია ავაღორძინოთ კაპიტალისტური წყობილება, ოღონდ სახელმწიფოს გარკვეული კონტროლის შენარჩუნებით.

**– ნატოს წევრობას თუ ფიქრობთ?**

– ჯერ ეს არ გადაგვიწყვეტია. მომავალი გვიჩვენებს.

**– როგორ დაიცავს საქართველო თავს?**

– ფორმირების პროცესშია ქართული ჯარი. ჩვენ გვინდა სამხედრო მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ მეზობელ ქვეყნებთან.

**– საბჭოთა არმიაში თუ მსახურობენ ქართველები?**

– ჩვენი კანონით გავაუქმეთ საკავშირო კანონი, რომელიც აუცილებელს ხდიდა საბჭოთა არმიაში ქართველი ჭაბუკების გაწვევას. ისინი, ახლა, ქართულ გვარდიაში იხდიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

**– თქვენს საუბარში ახსენეთ რეგიონალური კონფლიქტები. აჭარაზე მინდა გკითხოთ. ათასგვარი ჭორები და ხმებია დარხეული. აქ 400 ათასი მაჰმადიანი ცხოვრობს. თითქოს მათ უკრძალავენ მუსულმანურ სარწმუნოებას, ბავშვებისათვის მუსულმანური სახელების დარქმევას, ქა-**

**რთულად არა აქვთ ყურანი, შევიწროებულებივით არიან. დემოკრატიული რეჟიმის პირობებში აპირებთ თუ არა ამ მხრივ მაჰმადიანთა მხარდაჭერას?**

– სწორი ინფორმაცია არა გქონიათ. ჯერ ერთი, რაოდენობაც ძლიერ გაზერილია, თანაც ხნიერი ადამიანები მისდევენ უმეტესად ამ სარწმუნოებას. მათთვის გარანტირებულია ყველა უფლება, აქვთ მეჩეთები. არავინ დევნის, არავინ უშლის რწმენას, ძალიან ბევრს ჰქვია აჭარაში მუსულმანური სახელი, არსებობს მაჰმადიანთა საზოგადოება და ა.შ. კარგი პირადი ურთიერთობა მაქვს ბათუმის ყადისთან. ყურანი ქართულად არსებობს და მათთვის მისაწვდომია. მუსულმანთა შევიწროება კომუნისტების დროს შეიძლება იყო, ახლა - აღარ! მაგრამ ჩვენ აგრეთვე წინააღმდეგი ვართ ქრისტიანთა შევიწროებისა მუსულმანთა მხრივ.

**– თურქეთის პრეზიდენტმა ბატონმა თურგუთ ოზალმა წამოაყენა შავიზღვისპირეთის სახელმწიფოთა ეკონომიკური კავშირის წინადადება, ჯერჯერობით თეორიულად, საქართველოც ფიგურირებს ამ წინადადებაში.**

– ჩვენ მოგვწონს ეს და აქტიურ მონაწილეობასაც მივიღებთ წინადადებების შემუშავებაში. მით უმეტეს, რომ ახლა ძალზე მწვავედ დგას შავი ზღვის ეკოლოგიის პრობლემა. საერთოდ, გვინდა თურქეთში წარმომადგენლობის გახსნა. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ბევრ ქვეყანას სურს ჩვენთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული თანამეგობრობა, მაგრამ ჯერჯერობით მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებიან.

**– და ბოლოს, ხომ არ მიმართავდით თურქ ხალხს, როგორც საქართველოს პრეზიდენტი?**

– თურქეთის ხალხს მინდა ვუსურვო ყოველივე საუკეთესო, და გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის სანიმუშო კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდება. იმედი გვაქვს თურქი ხალხი დაგვეხმარება, რომ თქვენმა სახელმწიფომ დიპლომატიურად ცნოს საქართველოს რესპუბლიკა.

**– ბატონო პრეზიდენტო, დიდ მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსათვის, რომელიც ჩვენი გაზეთის პირველ**

გვერდზე დაიბეჭდება. გისურვებთ ბედნიერებას და მშვიდობას პირადად თქვენ და თქვენს სამშობლოს.

ინტერვიუ იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით
პუბლიკაცია მოამზადა
ზაზა დარასელმა

*რედაქციისაგან: გაზეთ თურქიას ჟურნალისტებმა, რომლებიც საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდნენ, 4 დღეს დაჰყვეს თბილისში. ისინი კოლხურ კოშკშიც ეწვივნენ ბატონ ზვიად გამსახურდიას, ესაუბრნენ მასპინძელს სახელოვანი მამის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაზე, ბევრი რამ ახალი შეიტყვეს საქართველოს პრეზიდენტის და მისი ოჯახის ბიოგრაფიიდან.*

*თბილისში მათ შეხვედრები ჰქონდათ ასევე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ხალმძღვანელებთან, საგარეო საქმეთა სამინისტროში, მშვიდობის დაცვის კომიტეტში.*

*გაზეთი „თურქია“ ივნისის რამდენიმე ნომერში ვარაუდობს საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი ცხოვრების ამსახველი ამბების გაშუქებას.*

„დამყარდება კეთილმეზობლური ურთიერთობა“ : ინტერვიუ გაზეთ „თურქიას რედაქტორს / გამსახურდია ზ. ; [ჩაიწერა] ბილალ ქოჩაკმა // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. - 7 ივნისი. - №112 (132). – 1 გვ.

# ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვედრა უცხოელ მათემატიკოსებთან

11 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეხვდა მსოფლიოს ცნობილ მათემატიკოსთა ჯგუფს. იმ ჯგუფში შედიოდნენ, ბერლინის, ვარშავის სტრედკლაიდის, კემლიცის, სტენფორდის უნივერსიტეტების პროფესორები, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის ხსოვნისადმი პატივის მისაგებად.

სტუმრებმა მიულოცეს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევა, შემდეგ კი პრეზიდენტმა პასუხი გასცა შეკითხვებს. მან ისაუბრა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აგრეთვე პოლიტიკურ ვითარებაზე რუსეთში და საერთოდ სსრ კავშირში.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ხშირად უცხოელი კორესპონდენტები ნებსით თუ უნებლიეთ, ებმებიან ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ინფორმაციულ ომში, რის მიზეზიც არის მათი არასერიოზული, ზერელე დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი. მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ საქართველოში არსებობს ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების დიდი პერსპექტივები, ხაზი გაუსვა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფართო კონტაქტების დამყარების აუცილებლობას.

შეხვედრის დასასრულს პროფესორმა ზიგფრიდ პრესდორფმა სტუმრების სახელით მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს საინტერესო შეხვედრისათვის და აღნიშნა, შეკითხვებზე პასუხი ნათელი და პირდაპირი იყო, ამ შეხვედრამ დამსწრენი დაარწმუნა, რომ საქართველო საბოლოოდ გათავისუფლდება და გამონახავს განვითარების დამოუკიდებელ გზებსო.

**საქართველოს რესპუბლიკის**
**უზენაესი საბჭოს პრესცენტრი**

**ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვედრა უცხოელ მათემატიკოსებთან // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 13 ივნისი - №115 (135). – 1 გვ.**

# საუბარი იაპონელ ჟურნალისტებთან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო და ინტერვიუ მისცა თვალსაჩინო იაპონელ ჟურნალისტებს მსოფლიოს უდიდესი საინფორმაციო სააგენტოების - იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის, ასაპის, „ენ-ეიჩ-კეი“ ტელეკომპანიის, ჟურნალ „ტოკუმას“, წიგნის გამომცემლობების წარმომადგენელს იუტიკა საკაის - საქინფორმის სტუმარს.

ბატონ საკაის წიგნები, ფოტოალბომები ცნობილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ნიუ-იორკში, პარიზში, რომში, პეკინში, ხოლო სულ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისშიც წარმატებით მოეწყო მისი პერსონალური ფოტოგამოფენები.

იუტაკა საკაიმ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა პრეზიდენტს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვა უცხოელ კორესპონდენტებთან ერთად იყო რამდენიმე საარჩევნო უბანში და დარწმუნდა, რაოდენ დემოკრატიულად, თავისუფლად მიმდინარეობდა არჩევნები.

იუტაკა საკაი ამზადებს საქართველოს შესახებ წიგნს, რომელშიც შევა თბილისში, სამაჩაბლოში, აჭარაში, მინისძვრის ზონაში შეგროვილი და გაკეთებული მასალები და ფოტოჩანახატები, შეხვედრები რესპუბლიკის ბევრ საინტერესო ადამიანთან.

საუბრისა და ცხოველი დიალოგის დროს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უპასუხა ჟურნალისტის მთელ რიგ შეკითხვებს, გააცნო მას რესპუბლიკის პოლიტიკური ვითარება.

**საუბარი იაპონელ ჟურნალისტებთან // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 13 ივნისი. - №115 (135). – 1 გვ.**

# შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან

12 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო საქართველოში მყოფი ლიტვის დეპეშათა სააგენტოს - ელტას დირექტორი ვიდმანტას პუტელისი და ლატვიის დეპეშათა სააგენტოს - ლეტას დირექტორი აივარს ბაუმანისი. ისინი ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოსთან" - საქინფორმთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ჩამოვიდნენ. ხელშკრულება ითვალისწინებს მჭიდრო შემოქმედებითს კონტაქტებს ჟურნალისტური საქმიანობის ყველა სფეროში. ინფორმაციის დამოუკიდებელი გაცვლის თაობაზე სტუმრებს აქვთ რწმუნებანი ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ესტონეთის დეპეშათა სააგენტოს - ეტას სახელითაც. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მაღალი შეფასება მისცა საქინფორმისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დეპეშათა სააგენტოების მისწრაფებას საკდესისგან დამოუკიდებელი თანამშრომლობისაკენ. მან აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უტყუარი ინფორმაციის გატანისათვის მოძმე ქვეყნებში, რომლებიც ადგანან დამოუკიდებლობის გზას, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, ვინაიდან დღეს ობიექტური ინფორმაცია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებიდან, რომლებიც უარს ამბობენ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, საკმაოდ დიდ დეფიციტად იქცა და აქაც აშკარად იგრძნობა ცენტრის ხელი. ოთხი საინფორმაციო სააგენტოს ხელშეკრულება, - აღინიშნა შეხვედრაზე, - ეს არის პირველი დოკუმენტი საკდესისაგან დამოუკიდებელ სააგენტოებს შორის თანამშრომლობის შესახებ, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ. ობიექტური, სისტემატური ინფორმაცია მთლიანად ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობის მოპოვების ერთ-ერთი ხელშემწყობი საშუალებაა.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს პრეზიდენტს გულთბილი მიღებისა და საქმიანი საუბრისათვის.

შეხვედრას ესწრებოდა საქინფორმის დირექტორი არჩილ მანჯგალაძე.

**საქინფორმი.**

**შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 13 ივნისი. - №115 (135). – 1 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## გ. ვ. აბსანძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ - საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გურამ ვალიკოს ძე აბსანძე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ - საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

ბრძანებულება : გ. ვ. აბსანძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ - საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 ივნისი. - №117 (137). – 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## კ. შ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს კახი შალვას ძე ასათიანი საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.**

**ბრძანებულება : კ. შ. ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 ივნისი. - №117 (137). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გაუქმების და მათ ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შექმნის შესახებ

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და შეიქმნას მათ ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.

ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გაუქმების და მათ ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შექმნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 ივნისი. - №117 (137). – 1 გვ.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Გ. Გ. ᲒᲝᲒᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაინიშნოს გრიგოლ გრიგოლის ძე გოგავა საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.**

**ბრძანებულება : გ. გ. გოგავას საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენ-ერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 ივნისი - №117 (137). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ე. დ. ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძე საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.**

**ბრძანებულება : ე. დ. ჯაველიძის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 ივნისი - №117 (137). – 1 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის გაუქმების შესახებ

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკაში აღარ არსებობს კომუნისტური რეჟიმი, შეიცვალა საკუთრებისა და ეკონომიკური ურთიერთობის ფორმები, მიზანშეუწონელია საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის არსებობა. ამასთან დაკავშირებით ვადგენ:

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის გაუქმების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 ივნისი - №117 (137). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანზორ მიხეილის ძე ჭლიკაძე საქართველოს რესპუბლიკის სოფლის,

ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.**

**ბრძანებულება : ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 ივნისი - №117 (137). – 1 გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ-ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

# Რ. Დ. ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲘᲡ Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაინიშნოს რომან დავითის ძე კასრაძე ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 14 ივნისი.**

**ბრძანებულება : რ. დ. კასრაძის ქ. ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 ივნისი - №117 (137). – 1 გვ.**

# შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან

15 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეხვდა ამერიკელ და შოტლანდიელ მედიკოსთა ჯგუფს, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ ასოციაცია „უტას" მოწვევით. პრეზიდენტთან მიღებაზე იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების დიდი აკადემიის წევრი და კორპორაცია „ვაიტეკის" პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალან ჯონსონი, კანზას-სიტის სისხლის საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი ბატონი ვილიამ დანგ მაიერი, კორპორაცია „ვაიტეკის" წარმომადგენელი შოტლანდიაში პროფესორი ჯონ ვაიტი.

პრეზიდენტსა და უცხოელ სტუმრებს შორის გაიმართა საქმიანი საუბარი. ბატონმა გამსახურდიამ ილაპარაკა რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე. მან იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთის სამყარო მხარს დაუჭერს საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

გაეცნენ რა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას, სტუმრებმა დახმარება აღუთქვეს პრეზიდენტს საბანკო, სამედიცინო და ეკონომიკის სფეროებში.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს კეთილგანწყობისათვის და აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობა დაეხმარება რესპუბლიკას, თავი დააღწიოს მწვავე კრიზისს.

**საქართველოს რესპუბლიკის**
**უზენაესი საბჭოს პრესცენტრი**

**საქინფორმი.**

**შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 18 ივნისი - №118 (138). – 1 გვ.**

# გულთბილი შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სომხეთის უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმიანობის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები ბაგრატ ასატრიანი და მერუჟან ტერ-გულანიანი. ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ, როგორც საქართველოს სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების პირველი ყრილობის სტუმრები.

გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი საქართველოს და სომხეთის კულტურული ურთიერთობის, იმ ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში ისტორიული კავშირურთიერთობის გაღრმავების გზების შესახებ, რომელშიც აღმოჩნდნენ ჩვენი ორივე რესპუბლიკა სრული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენს ორივე ხალხს, ითქვა შეხვედრაზე, თავიანთ ისტორიაში ყოველთვის გამოუნახავთ ოპტიმალური გამოსავალი ურთულესი კრიზისული სიტუაციებიდან. ასე იქნება ამჯერადაც.

სტუმრებმა დიდი შეფასება მისცეს ბატონ ზვიად გამსახურდიას ინიციატივას, რომელმაც აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელმძღვანელებს შესთავაზა თავისი შუამავლის როლი ამ ხალხებს შორის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

საუბრის დროს ითქვა, რომ მიზანშეწონილი და მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ასეთი შეხვედრა უახლოეს ხანს მოწყობილიყო.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბატონ ზვიად გამსახურდიას გულთბილი მიღებისათვის, უსურვეს მას დიდი წარმატებები საქართველოს, მისი ხალხის საკეთილდღეოდ

დასახული დიდი მიზნების მიღწევაში.

საუბარში მონაწილეობდა გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორი ვან ბაიბურთი.

**საქინფორმი.**

**გულთბილი შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 22 ივნისი - №121 (141). – 1 გვ.**

# გზას ვულოცავთ კეთილ საქმეებს

შეიქმნა სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება

- „შნორაკალუციუნ!“ („გმადლობთ!“) - ასე დაამთავრა სომხურ ენაზე ტაშის გრიალში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავისი სიტყვა საქართველოს სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე, მანამდე კი წაიკითხა ნაწყვეტი ოვანეს თუმანიანის ლექსიდან „საქართველოს პოეტებს“, რომელიც ქართულად თარგმნა იოსებ გრიშაშვილმა. ნაწყვეტში ლაპარაკია იმაზე, რომ სომხებმა და ქართველებმა საერთო ძალებით უნდა ააგონ მეგობრობისა და სიყვარულის ტაძარი და რომ ყოველი ქართველი და სომეხი მოვალეა თითო აგური მაინც დადოს, რათა ეს შენობა უფრო მკვიდრი და ლამაზი იყოს.

- ბატონმა ზვიად გამსახურდიამ თქვა, რომ მისთვის ახლობელი და გასაგებია სომხური ენა, არ სჭირდება თარჯიმნები, რადგან თბილისის ისეთ რაიონში იზრდებოდა, სადაც სომხური ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი ცხოვრობდა: ისინი მათი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ, ყველაზე ახლობელ მეგობართა შორის მან დაასახელა პროფესორების გიგოლოვის, მაგაკიანის, უშიკიანის და სხვათა გვარები.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სომხეთის ისტორიის, მისი ხალხის, მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის დიდ სიყვარულს არაერთხელ ჩაუყვანია მამამისი - კონსტანტინე გამსახურდია სომხეთის ქალაქებში, და იგი მამასთან ერთად ყოფილა არა მარტო ერევანში, არამედ სომხეთის ისეთ ქალაქებშიც, როგორიც არის ზვარტნოცი, გარნი, ეჩმიაძინი და სხვები.

ბატონმა გამსახურდიამ სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ქართული და სომხური ენების გენეტიკურ ნათესაობას, აღნიშნა, რომ მათ აქვთ საერთო ფესვები, და იყო დრო, როცა ისინი ერთიან ენას წარმოადგენდნენ, ამას ამტკიცებდნენ თავიანთ შრომებში უდიდესი მეცნიერები - ამერ-

იკაში მცხოვრები კირილე თუმანოვი, აგრეთვე გრიგოლ კაპანციანი, ნიკო მარი. საბჭოთა მეცნიერებამ, რომელიც სიცრუის გზას დაადგა, ყოველი ღონე იხმარა, რომ დავიწყებისთვის მიეცა ეს ისტორიული ფაქტი. ახლანდელი იმპერიული რეჟიმი კი ძალღონეს არ იშურებს, ოღონდ როგორმე მტრობა დათესოს ორ მოძმე ხალხს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოუწოდა საქართველოში მცხოვრებ ყველა სომეხს არ წამოეგონ პროვოკაციებს, გამოიჩინონ სიბრძნე და კეთილგონიერება, უნდობლობა გამოუცხადონ ყველას, ვინც ანგარებიანი მიზნებით ცდილობს ვითარების დაძაბვას, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტურის მეოხებით აღვივებს ეროვნული ომების ხანძარს.

მან აღნიშნა ის მანკიერი გზა, რომელსაც ადგებიან სომხური ეროვნების ცალკეული პირები, თავიანთი მოქმედებით ხელს რომ უშლიან ძმური ურთიერთობის განმტკიცებას, ასეთ პირებს - ისინი კი, საბედნიეროდ ცოტანი არიან, - საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ, რადგან მათ ვნების მეტი არაფერი მოაქვთ. საქართველოს პრეზიდენტმა უსურვა ახალ საზოგადოებას ხელი შეუწყოს ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას, ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფასა და ჰარმონიზაციას ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე.

ყრილობაზე გამოვიდნენ საქართველოს სახტელერადიოს დეპარტამენტის სომხური გადაცემების მთავარი რედაქტორი გრაჩია ვარდანიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარე ბენიკ სეირანიანი, პოეტი და მთარგმნელი, ეღიშე ჩარენცის სახელობის პრემიის ლაურეატი გივი შაჰნაზარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბორის ლომსაძე, საქართველოს და სომხეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები - მეცნიერები, კულტურის, პედაგოგიკის, ჟურნალისტიკის მოღვაწეები შეეხნენ საზოგადოების წინაშე დასახულ დიდ და მნიშვნელოვან ამოცანებს, რომლის მთავარი მიზანია განახორციელოს კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობა, ორგანიზებული

მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო აქციებში, მწვავე პრობლემების გადაჭრაში, ხელი შეუწყოს სომხეთის რესპუბლიკასთან, აგრეთვე საზღვარგარეთის სომხურ დიასპორასთან საქართველოს რესპუბლიკის ორმხრივი კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.

ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისში ჩამოსული სომხური დელეგაციის წარმომადგენლები - სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმიანობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე მერუჟან ტერ-გულანიანი და ჯანმრთელობის დაცვისა დ სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბაგრატ ასატრიანი.

თბილისის სურბგევორქის სომხური ეკლესიის მღვდელმა ნორაირმა დალოცა საზოგადოება.

მიიღეს საზოგადოების პროგრამა და წესდება, არჩეულია მთავარი საბჭო. საქართველოს სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს გაზეთ „ვრასტანის" რედაქტორი ვან ბაიბურთი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე.

**რემ დავიდოვი,**
**საქინფორმის კორ.**

**გზას ვულოცავთ კეთილ საქმეებს. / ზ. გამსახურდიას სიტყვა სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების დამუძნებელ ყრილობაზე // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 22 ივნისი - №121 (141). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## პრეზიდენტის პრესის სამსახურის შექმნის შესახებ

შეიქმნას პრეზიდენტის პრესის სამსახური და მის ხელმძღვანელად დაინიშნოს არჩილ არჩილის ძე ჭირაქაძე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 24 ივნისი**

**ბრძანებულება : პრეზიდენტის პრესის სამსახურის შექმნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 25 ივნისი - №122 (142). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## შოთა ნიკოლოზის ძე ქიტიაშვილის გურჯაანის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს შოთა ნიკოლოზის ძე ქიტიაშვილი გურ-ჯაანის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 25 ივნისი

ბრძანებულება : შოთა ნიკოლოზის ძე ქიტიაშვილის გურჯაანის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 26 ივნისი - №123 (143). – 1 გვ.

# ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ
# ᲑᲐᲢᲝᲜ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡᲗᲐᲜ

24 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა ამერიკის ახალგაზ-რდობის და ოჯახების მსოფლიო ქრისტიანული კავშირის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში არიან ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენ-ლები. აგრეთვე მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მოღვაწენი. გაიმართა გულთბილი, საქმიანი საუბარი. დელ-ეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, კერძოდ ჯორჯიის შტატის მცხოვრებთა მნიშ-ვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს მთავრობის თავ-მჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე.

**საქინფორმი.**

**შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან // საქართველოს რესპუბ-ლიკა. – 1991. – 26 ივნისი - №123 (143). – 1 გვ.**

# მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ მ. სნეგურს

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი სტიქიური უბედურების გამო, რომელმაც ადამიანთა სიცოცხლე იმსხვერპლა.

მთელი საქართველო იზიარებს გულისტკივილსა და მწუხარებას დაღუპულთა გამო და მზად არის გაგიწიოთ შესაძლებისდაგვარი დახმარება.

**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 8 ივლისი**

**მიმართვა : მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ მ. სნეგურს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 9 ივლისი - №133 (153). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია მოსკოვში

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, აშშ საელჩოს მიწვევით, მოსკოვში იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჩვენს წარმომადგენლობაში

გამართა პრესკონფერენცია.

ნიშანდობლივია, რომ იმავ დღეს მოსკოვში აკრედიტებული ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე მიიწვია სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრმა ვალენტინ პავლოვმა პუშკინის მოედანზე სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის ახალი ადგილსამყოფელის გახსნის გამო; სასტუმრო „ოქტიაბრსკაიაში" თავისი პრესკონფერენცია გამართა ყაზახსტანის პრეზიდენტმა ნურსულტან ნაზარბაევმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს წარმომადგენლობის დარბაზი სავსე იყო ჟურნალისტებით.

ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენციისადმი ინტერესი დიდი იყო. მოსულთა უმეტესობას საზღვარგარეთელი ჟურნალისტები წარმოადგენდნენ. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დარბაზს მიმართა კითხვით, თუ რომელ ენაზე გაეცა პასუხი - რუსულად თუ ინგლისურად? დარბაზმა ერთხმად ინგლისური არჩია, მაგრამ პრესკონფერენციის დროს პრეზიდენტი შეკითხვებზე რუსულ ენაზეც უპასუხებდა.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც პრაქტიკულად თვითონ წარმართავდა პრესკონფერენციას, დარბაზს შესთავაზა გულახდილი საუბარი, რითაც დარბაზში სრულმა ურთიერთნდობამ დაისადგურა. პრეზიდენტი უპასუხებდა ნებისმიერ შეკითხვას და ამ გულახდილობას მაღალი შეფასება მისცეს ჟურნალისტებმა.

კითხვაზე, არიან თუ არა საქართველოს მთავრობაში კომუნისტები, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უპასუხა,

რომ არის რამდენიმე მინისტრი კომუნისტი და არის მთავრობის თავმჯდომარის ერთი მოადგილეც. ამასთან დაუმატა, რომ არავინ არ თხოვს მათ დადონ თავიანთი პარტიული ბილეთები.

იყო ასეთი კითხვაც: არის თუ არა იმის საშიშროება, რომ ცენტრმა მიმართოს სამხედრო აქციებს თბილისში? ამ კითხვაზე პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ასეთი საშიშროება ყოველთვის არსებობს, მითუმეტეს მაშინ, თუ ცენტრში სამხედრო გადატრიალება მოხდება და ისეთი ბნელი ძალები გაიმარჯვებენ, როგორიცაა დეპუტატთა ჯგუფი „სოიუზი“. ასეთი რამ მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, ამჟამად კი, პრეზიდენტის აზრით, ეს ნაკლებად არის მოსალოდნელი. მაგრამ, მეორე მხრივ, განაგრძო პრეზიდენტმა, სიფრთხილეს გვიკარნახებს ასეთი დოკუმენტი (ბატონმა ზ. გამსახურდიამ ჟურნალისტებს გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 30 ივნისის განკარგულების პირი): მასში ჯარებს პირდაპირ აქვთ ნაბრძანები, რომ მოახდინონ საქართველოს ყველა სასურსათო საწყობის, ყველა სახელმწიფო რეზერვის კონფისკაცია და გადასცენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს და ჯარებს, და ამას სჩადიან საქართველოს მიმართ, რომელიც საშინლად დაზარალდა მიწისძვრების შედეგად, ნახევარი დანგრეულია და 160 ათასი ადამიანი უსახლკაროდ და უსურსათოდ არის დარჩენილი; ამ ბრძანების რეალიზაციას შეიარაღებული კონფლიქტიც შეიძლება მოჰყვეს; სავსებით შესაძლებელია, რომ ფიქრობენ ისეთივე კონფლიქტების პროვოცირებას, როგორიც ბალტიისპირეთში იყო. პრეზიდენტის აზრით, ამით შესაძლოა სამხედრო მოქმედებაც კი დაიწყოს.

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა პრეზიდენტს სთხოვა თავისი დამოკიდებულება გამოეხატა სსრკ დეპუტატის ვალერიან ადვაძისადმი, რომელიც ვითომდა გადაყენებულია მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან. ამ კითხვაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გარკვევით უპასუხა: მოხდა ორი ინსტიტუტის შეერთება და ვ. ადვაძე აღარ აირჩიეს დირექტორად. ადრე დირექტორის თანამდებობაზე იგი კომპარტიის,

შევარდნაძის, პატიაშვილის მიერ იყო დანიშნული. ადვაძე რიგითი ეკონომისტია, მარქსისტული პოლიტეკონომიის ისტორიკოსი. ასეთი ისტორიკოსები ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება, ისევე, როგორც არ გვჭირდება მარქსისტული პოლიტეკონომია. მისთვის იგი არც ახლა და არც მომავალში არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა და აღარც წარმოადგენს, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობაზე“ და ე. შევარდნაძის დღევანდელ მოღვაწეობაზე. „ახლა ამბობენ, რომ შევარდნაძემ დიდი ევოლუცია განიცადა. მაგრამ მე მსურს საქმით დავრწმუნდე ამაში, - შენიშნა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. - როდესაც შევარდნაძე გამოამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას სკკპ-სადმი და თავისი როლისადმი სკკპ-ში, როდესავ იგი ყველაფერს მოყვება, როგორც აღსარებაზე, სახალხოდ, ისტორიის წინაშე, თუ რა მოიმოქმედა მან სკკპ-ში და რა მოიმოქმედა საქართველოში, უპირველესად - საქართველოში, როდესაც აქ იგი სკკპ ემისრად იყო, აი მაშინ დავიჯერებ შევარდნაძისას. სანამ იგი დუმს თავისი წარსულის შესახებ, არაფერს ამბობს სკკპ შესახებ და ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ ახლა მას სურს იბრძოლოს დემოკრატიისათვის, - ეს ბოლომდე სარწმუნი არ არის. ჯერ მოგვიყევით, რაც ჩაიდინეთ და დაგმეთ ეს წარსული, ისე მაინც, როგორც ხრუშჩოვმა დაგმო. მე, მაგალითად, ხრუშჩოვისა უფრო მჯერა, ვიდრე სხვა ლიდერების, რადგან ხრუშჩოვი აღსარებაზე მივიდა. ჩემის აზრით, ეს მოქმედება პატივისცემას იმსახურებს“.

სრულად მოგაწვდით ბატონ ზვიად გამსახურდიას პასუხს ლატვიის გაზეთ „დიენას“ შეკითხვაზე ბალტიისპირეთის ქვეყნებისადმი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

- ბალტიის ქვეყნებთან იმთავითვე შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა. ჩვენ გვქონდა კონტაქტები ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის მოძრაობასთან. მაგრამ არის ძალები, რომლებიც ხელს უშლიან ამ პროცესს. აი, მაგალითად, თქვენმა გაზეთმა ამასწინათ გამოაქვეყნა ისეთი ჭორი ჩემს

შესახებ, რომ სხვა ჩემს ადგილზე, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ხმას არ გაგცემდათ.

გაზეთმა დაბეჭდა, თითქოს გამსახურდიას განეცხადებინოს, რომ სოლჟენიცინი და სახაროვი სუკის აგენტები არიან. რაღაც ჭორი უცებ დაბეჭდეთ გაზეთში. ასე არ შეიძლება. ამით ხომ ხელს უშლით ნორმალურ კონტაქტებს საქართველოსა და ლატვიას შორის. ჩვენ უფრო მეტად უნდა გავუწიოთ ანგარიში ერთმანეთს, შევამოწმოთ მოარული ხმები და არ დავბეჭდოთ აშკარა ჭორი და ცილისწამება. ჩვენ ერთი და იგივე ბედი გვაქვს, ამიტომ ერთმანეთს ანგარიში უნდა გავუწიოთ.

„როსიისკაია გაზეტას" თხოვნას - ეპასუხა, თუ რამდენად სწორია ცნობა იმის თაობაზე, რომ საქართველო აპირებს ჩრდილო ატლანტიკის პაქტში შესვლას, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უპასუხა, რომ ეს უბრალოდ სასაცილოა. - იცით, საიდან მოდის ეს? - განაგრძო მან. - მიტინგზე, რომელიც ჩვენთან, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან გაიმართა, ვილაც პროვოკატორები გამოდიოდნენ და ყვიროდნენ, რომ საჭიროა ახლავე გავყაროთ საბჭოთა ჯარები და შევიდეთ ნატოში. ეს ძალიან აძლევს ხელს ბნელ ძალებსა და ცენტრს. მათ შეუძლიათ თქვან: აი, საქართველო შედის ნატოში, მოდით, გადავარჩინოთ საქართველო, გავაგზავნოთ იქ ჯარები. ეს პროვოკატორები ყველაფერს აკეთებენ რაიმე შეტაკების პროვოცირებისათვის საქართველოში.

**ვიტალი წერეთელი**
**(„სვობოდნაია გრუზია").**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია მოსკოვში // რესპუბლიკა. – 1991. – 9 ივლისი. - № 24/57. – 1 გვ.**

# რატომ გაიღვიძა ბალკანეთის ვულკანმა
# მოვლენათა ქრონიკა: შეადარეთ

1990 წლის 9 აპრილი- თავისუფალი არჩევნები სლოვენიაში. იმარჯვებს დემოსის მემარჯვენე ცენტრისტული კოალიცია, რომლის პროგრამაშია რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მიღწევა.

22 აპრილი - ხორვატიაში გამართულ არჩევნებში იმარჯვებს ხორვატიის დემოკრატიული თანამეგობრობის მემარჯვენე-ცენტრისტული პარტია.

23 დეკემბერი - პლებისციტი სლოვენიაში. მოქალაქეებმა მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის იდეას.

1991 წლის 2 მარტი - ხორვატიის სპეცდანიშნულების რაზმებს იერიში მიაქვთ ხელისუფლებისა და მილიციის ორგანოების შენობაზე ქალაქ პაკრაცში, სადაც უპირატესად სერბი მოსახლეობა ცხოვრობს.

31 მარტი - სროლა კრაინაში, არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

2 მაისი - სისხლიანი შეტაკება ბოროვო-სელოში სერბებს შორის. ხორვატიის მილიციასა და სერბებს შორის. 15 მოკლული, 20 დაჭრილი.

25 ივნისი - ხორვატია და სლოვენია აცხადებენ თავიანთ დამოუკიდებლობას.

27 ივნისი - იწყება ბრძოლები სლოვენიაში მას შემდეგ, რაც იუგოსლავიის სახალხო არმიის ნაწილებმა მიიღეს ბრძანება უზრუნველყონ იუგოსლავიის „საშინაო და საგარეო საზღვრების უშიშროება“.

1989 წლის 9 აპრილი - თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა მიტინგის სისხლიანი დარბევა.

1989 წლის ოქტომბერი - აზერბაიჯანის უზენაესი საბჭო მომიტინგეთა ზეგავლენით იღებს კანონს სუვერენიტეტის შესახებ.

1990 წლის 20 იანვარი - ჯარების შეყვანა ბაქოში. 131 მოკლული.

1990 წლის გაზაფხული-შემოდგომა - ლატვიაში, ლიტ-

ვაში, ესტონეთში, მოლდოვაში, სომხეთსა და საქართველო-
ში თავისუფალი არჩევნების შედეგად იმარჯვებს არაკომუ-
ნისტური ოპოზიცია.

1990 წლის თებერვალი-მარტი - ბალტიისპირეთის რე-
სპუბლიკების უზენაესი საბჭოების სესიებზე მიღებულია
დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ.

1991 წლის 2 იანვარი - რიგაში შინაგანი ჯარები ლიტ-
ვის კომპარტიის ცენტრლური კომიტეტის თხოვნით ხელთ
იგდებს ბეჭდვითი სიტყვის სახლს.

1991 წლის 18 იანვარი - ტანკები ვილნიუსის ქუჩებში,
მედესანტეებს იერიში მიაქვთ ტელეცენტრზე, ტელეგრაფ-
სა და რადიოზე.

1991 წლის იანვარ-თებერვალი - ჯარისკაცები რიგის
ქუჩებში. შეტაკებანი განსაკუთრებული დანიშნულების
მილიციის რაზმებთან.

1991 წლის მაისი-ივნისი - განსაკუთრებული დან-
იშნულების მილიციის რაზმების ომი ლატვიისა და ლიტვის
მებაჟეებთან.

## რას ფიქრობენ...

**ზ. გამსახურდია:**

სისხლიანი კონფლიქტი უმთავრესად გამოიწვია კო-
მუნისტური იდეალებისადმი ფედერაციის რეაქციული
მთავრობის ერთგულებამ. ნებისმიერი კონფლიქტები, მათ
შორის ეროვნებათშორისიც, არ უნდა გადაიზარდოს შეი-
არაღებულ შეტაკებად.

უპრიანია თუ არა ანალოგიები?

ვფიქრობ, საქართველოს „ბალკანიზაცია“ და შეტაკე-
ბანი საკავშირო ჯარებთან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ,
თუ კრემლში რეაქციული გადატრიალება მოხდება.

**ვ. ლანდსბერგისი:**

იუგოსლავიაში უარს ამბობენ კომუნისტურ სისტემაზე

და ამავე დროს ხდება ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია.

ცდილობენ დააშინონ ევროპა, რომ ევროპის ქვეყნების დანაწევრებას პატარ-პატარა, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოებად მოჰყვება საზღვრების გადასინჯვა და, როგორც შედეგი, ომი. პრობლემა ევროპის შემადგენელ სახელმწიფოთა მასშტაბები კი არა, პრინციპებია, რომლებიც საფუძვლად უდევს თვით სახელმწიფოებსა და ევროპას.

ჩემი აზრით, შედეგი ერთია. ეს არის სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა. ხოლო შემდგომი პროცესია იუგოსლავიის დანარჩენი ნაწილის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევა. მათ შეუძლიათ შექმნან კონფედერაციული კავშირურთიერთობა. ამავე დროს თავისუფალი და დემოკრატიული გარდაქმნის პირობებში იუგოსლავიის ნაწილებს შეუძლიათ მეზობელ ქვეყნებთან - იმავე სლოვენიასა და ხორვატიასთან - ერთად იფიქრონ ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობაზე. მაშინაც კი, თუ ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციის ყველა წევრი მოინდომებს გარკვეული დროით გახდეს ცალკე სახელმწიფო, ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავ ევროპისათვის.

**ლ. ტერ-პეტროსიანი:**

ერის თვითგამორკვევის უფლება - ეს არის აბსოლუტი. და თუ ხალხმა გადაწყვიტა თვითონ განაგოს საკუთარი ბედი, არაფერს, მათ შორის ძალმომრეობასაც არ ძალუძს უკან შემოაბრუნოს ეს პროცესი, რაც დაამტკიცა სლოვენიამ, რასაც დაამტკიცებენ საბჭოთა რესპუბლიკები.

**„კომსომოლსკაია პრავდა“**
**1991 წლის 6 ივლისი**

**რატომ გაიღვიძა ბალკანეთის ვულკანმა : რას ფიქრობენ... / გამსახურდია ზ., ლანდსბერგისი ვ., ტერ-პეტროსიანი ლ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 11 ივლისი. - № 135 (155).- 3 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## ი.ზ. ბარათაშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს იოსებ ზურაბის ძე ბარათაშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 9 ივლისი

ბრძანებულება : ი.ზ. ბარათაშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 13 ივლისი. - №136-137 (157). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ლ.Გ. ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაინიშნოს ლავრენტი გრიგოლის ძე მანაგაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი.

ბრძანებულება : ლ.გ. მანაგაძის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 13 ივლისი. - №136-137 (157). – 1გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## გ. ვ. რამიშვილის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გურამ ვალერიანის ძე რამიშვილი ილია ჭავჭავაძის სახელობის
უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი**

**ბრძანებულება : გ. ვ. რამიშვილის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 13 ივლისი. - №136-137 (157). – 1გვ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

### Რ. Გ. ᲡᲘᲠᲐᲫᲘᲡ
### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაინიშნოს რევაზ გიორგის ძე სირაძე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი

**ბრძანებულება : რ. გ. სირაძის თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 13 ივლისი. - №136-137 (157). – 1გვ.**

# აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის

# ხელშეკრულება

ესწრაფვიან რა თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, აცხადებენ რა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უზენაესობას, რაც საუკუნეთა მანძილზე აკავშირებს აზებაიჯანელ და ქართველ ხალხებს, ამჟღავნებენ რა მტკიცე ნებას ააგონ ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, აზერბაიჯანისა და საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელები შეთანხმდნენ:

1. აზერბაიჯანი და საქართველო ცნობენ სახელმწიფო სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ამ ხელშეკრულების სუბიექტთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

2. აზერბაიჯანი და საქართველო ვალდებულებას კისრულობენ ყველა წამოჭრილი უთანხმოება და სადავო საკითხი გადაწყვიტონ მხოლოდ და მხოლოდ უშუალო კონსულტაციების და მოლაპარაკებათა გზით, იბრძოლონ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისათვის.

3. აზერბაიჯანი და საქართველო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად აცხადებენ დიპლომატიური მისიების გაცვლის შესახებ, შემდგომში სათანადო დაწესებულებათა გახსნით.

4. აზერბაიჯანი და საქართველო აცხადებენ ერთმანეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ყველაზე უფრო ხელსაყრელ რეჟიმს.

5. რესპუბლიკელებს განზრახული აქვთ ყოველნაირად განავითარონ და გააღრმაონ კავშირები მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში.

6. ხელშეკრულება ძალაში შედის თითოეული მხარის

კანონმდებლობის შესაბამისად რატიფიკაციის შემდეგ.

7. ხელშეკრულება შედგენილია აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე და თანაბარი ძალა აქვთ.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**აიაზ მუთალიბოვი.**
**თბილისი, 1991 წლის 12 ივლისი.**

ხელშეკრულება : აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ / გამსახურდია ზ., მუთალიბოვი ა. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. - 13 ივლისი. - №136-137 (157). – 1გვ.

ხელშეკრულება : აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ / გამსახურდია ზ., მუთალიბოვი ა. // რესპუბლიკა. – 1991. - 16 ივლისი. - №25/58. – 10 გვ.

# ზვიად გამსახურდია:

„იუნესკომ“ მცხეთა გამოაცხადა მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქად, ამდენად, იგი მარტო მცხეთელების და საქართველოსი კი არა, მთელი კაცობრიობის მონაპოვარია.

დიდი ილია ბრძანებდა, „იგი ქალაქი აწ სამიკიტნოდ გადაქცეულა“-ო და განა იგივე არ გრძელდება დღეს? ეს ჩვენი ისტორიული ვატიკანი რესტორნებითა და კოოპერატივებით არის გარსშემორტყმული. რა უნდა ამ წმინდა ქალაქში ამდენ სამრეწველო ობიექტს, ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ დაწესებულებას. არც ანტიოქიას, არც სვეტიცხოველს არა აქვს თავისი დაცვითი ზონა. ქალაქი ნაგავში ზის და ის ადამიანები, რომლებსაც ხელმძღვანელობის პრეტენზიები აქვთ, არაფერს აკეთებენ მოსახლეობისა და ქალაქის საკეთილდღეოდ.

არქიტექტორ გია შაიშმელაშვილის პროექტი იტევს უზარმაზარ შესაძლებლობებს იმისას, რომ მცხეთა რამდენიმე წლის შემდეგ გადაიქცეს უნიკალურ ქალაქად, უპასუხოს მსოფლიო სტანდარტებს იმ დონეზე, რომ კმაყოფილნი ვიყოთ ჩვენც და ჩვენთან მოსული სტუმარიც...“

**ქალაქ-მუზეუმ მცხეთის რეკონსტრუქციის შესახებ / გამსახურდია ზ. // რესპუბლიკა. – 1991. – 16 ივლისი. - №25/58. – 12 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## ვ. ი. ინასარიძის ახალქალაქის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვლადიმერ იორდანის ძე ინასარიძე ახალქალაქის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 15 ივლისი**

**ბრძანებულება : ვ. ი. ინასარიძის ახალქალაქის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 16 ივლისი. - №138 (158). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## რ. ა. ქონიაძის ხულოს რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს რევაზ ალექსანდრეს ძე ქონიაძე ხულოს რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 15 ივლისი

**ბრძანებულება : რ. ა. ქონიაძის ხულოს რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 16 ივლისი. - №138 (158). – 1გვ.**

# „ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ...“

ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ და დღევანდელი საქართველოსადმი მიძღვნილი მასალები თურქეთის გაზეთ „თურქიეს“ ფურცლებზე.

თურქეთის რესპუბლიკის ყოველდღიურმა პოლიტიკურმა გაზეთმა „თურქიემ“ მიმდინარე წლის 19, 20, 21 და 22 ივნისის ნომრებში თითო სრული გვერდი დაუთმო ამ გაზეთის ევროპის დეპარტამენტის რედაქტორის ბილალ ქოჩაკისა და ეკონომიკური მიმომხილველის ენგინ შენოლის რეპორტაჟს საქართველოდან. გაზეთ „თურქიეს“ 19 ივნისის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია დიდი ფერადი ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილია ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ თურქ ჟურნალისტებთან. აქვეა გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის 7 ივნისის ნომრის სატიტულო ფურცლის ფოტოასლი, ხოლო ქუდად მსხვილი შრიფტით აკრეფილი სიტყვები საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუდან - „გადაწყვეტილი გვაქვს საბჭოთა კავშირიდან გასვლა“, „ჩვენ რუსების წინააღმდეგ კი არა, კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ ვიბრძვით“...

თურქი ჟურნალისტები მადლიერებით აღნიშნავდნენ, რომ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, - საქართველოს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, - უცხოეთის საინფორმაციო საშუალებათაგან პირველებს ინტერვიუ სწორედ „თურქიეს“ ჟურნალისტებს მისცა. მთელი საათნახევარი დაუთმო მათ. გაზეთის ფერად გვერდზე ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდი ფოტოა სათაურით „საქართველოს ლეგენდარული პრეზიდენტი“. აქვეა მისი ბიოგრაფიული მონაცემები. იბეჭდება ცნობები საქართველოს შესახებ, - საკმაოდ ობიექტური და კეთილგანწყობილი შეფასებებია, აგრეთვე ბილალ ქოჩაკის ნარკვევი „საბჭოთა კავშირის მომავალი და საქართველო“. გაზეთის 19 და 20 ივნისის ნომერში იბეჭდება საუბარი ბატონ მურმან ომანიძესთან, ხოლო 22 ივნისის ნომერში - ინტერვიუ ბატონ გია ხონელიძესთან. გაზეთის

ყველა გამოშვებაში მრავლადაა ფერადი ფოტო, რომელიც თურქ მკითხველს სრულ ინფორმაციას აწვდის საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელობაზე. გთავაზობთ ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს გაზეთ „თურქიე"-დან.

„ჩვენ რუსების წინააღმდეგ კი არა, კომუნისტური სისტემის წინაღმდეგ ვიბრძვით!"

„საუბრები დემოკრატიის შესახებ საქართველოში".

„საქართველოს ხელმძღვანელი გამსახურდია ოზალთან შეხვედრის თაობაზე".

„თურქეთისაგან დახმარებას ველით"...

აი, ასეთი ანშლაგებით იბეჭდებოდა თურქი ჟურნალისტების ინტერვიუ ბატონ ზვიად გამსახურდიასთან.

როგორც ჩვენმა ანკარელმა კოლეგებმა გადმოგვცეს, ინტერვიუმ დიდი ინტერესი გამოიწვია თურქეთის საზოგადოებრიობაში. „თურქიე" ხომ ამ ქვეყნის წამყვან ყოველდღიურ პოლიტიკურ გაზეთად ითვლება.

**საბჭოთა კავშირის პოლიტიკა**

**კითხვა: - ცივი ომის ეპოქა მსოფლიოში დამთავრდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიზაციისაკენ. საბჭოთა კავშირშიც შეიმჩნევა ტრადიციული სტრუქტურების უარყოფა. პატივცემულო პრეზიდენტო, თქვენ ამ პროცესს როგორ აფასებთ?**

პასუხი: - ძალზე გვახარებს აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები და მხარს ვუჭერთ მათ, მაგრამ თვით საბჭოთა კავშირში იგივე გრძნობას ვერ განვიცდით. საბჭოთა კავშირი გარე სამყაროსთან უფრო რეალისტურ პოლიტიკას ატარებს და უცხო ქვეყნების წინააღმდეგ ცივი ომი მან შეწყვიტა. საბჭოთა კავშირმა ჩეხეთ-სლოვაკეთიდან, აღმოსავლეთ გერმანიიდან და პოლონეთიდან ჯარები კი გამოიყვანა, მაგრამ ისინი ჩვენთან, რესპუბლიკაში განალაგა. საბჭოთა ხელმძღვანელობა იმპერიის შენარჩუნებას ცდილობს და ამისთვის ყოველგვარ ხრიკზე მიდის. საბჭოთა კავშირის ცენტრალური მთავრობა სამხედრო ძალას ეყ-

რდნობა და რესპუბლიკებზე ზემოქმედებისათვის იყენებს ამ ფაქტორს. იგი სამხედრო ძალის მეშვეობით დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების საქმეებში ერევა. საბჭოთა კავშირმა უცხო ქვეყნების მიმართ ცივი ომი კი შეწყვიტა, მაგრამ აგრძელებს მას ქვეყნის შიგნით და ხშირად ცხელ ომად აქცევს ხოლმე. ამის მაგალითია ლიტვაში, აზერბაიჯანსა და საქართველოში მომხდარი მოვლენები. მოსკოვი საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებულ ომს აწარმოებს. საქართველოს ჩრდილო ნაწილში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოლქში, ცენტრი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინაღმდეგ ნამდვილ ომს აგრძელებს. ბრეჟნევის პოლიტიკის არსი იყო დასავლეთის სოციალისტური ქვეყნების შენარჩუნება იარაღის მუქარით, ხოლო გორბაჩოვი დღეს იგივე პოლიტიკას ქვეყნის შიგნით, რესპუბლიკების წინააღმდეგ იყენებს. საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკა ასეთია. ცენტრალური მთავრობის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ მოაშთო ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ლტოლვა დემოკრატისაკენ.

**კითხვა: – პატივცემულო პრეზიდენტო, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საბჭოთა კავშირში შესაძლებელია ყველაფერი უკან დაბრუნდეს?**

პასუხი: – დიახ, ასეთი საშიშროება არსებობს. საბჭოთა პარლამენტში არის ერთი ჯგუფი „სოიუზი“. ეს ჯგუფი საბჭოთა კავშირის უკან დაბრუნებისათვის იბრძვის. იგი დემოკრატიის სისხლში ჩახრჩობის მომხრეა.

**კომუნისტური სისტემა**

**კითხვა: – თქვენ ცნობილი ბრძანდებით, როგორც კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი. ამის გამო იყავით დაპატიმრებული და გადასახლებული. ამ რეჟიმის მიერ შექმნილ ეპოქაში ცხოვრობდით. თქვენი აზრით, ბატონო გამსახურდია, კომუნიზმი რა არის?**

პასუხი: – კომუნიზმი მთელი კაცობრიობისათვის, მთელი მსოფლიოსათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. კომუნიზმი დემოკრატიის, დამოუკიდებლობის მტერია და ადამიანურ გრძნობებსაც სპობს. ეს ანტიკულტურული და ანტიადამი-

ანური მოძღვრება, სამწუხაროდ, დღეს საბჭოთა კავშირში დიდ სირთულეებს ქმნის. ეს მოძღვრება დღეს დემოკრატიისა და გარდაქმნის ნიღბით იმოსება. იგი ისევ ცოცხლობს.

**ახალი ნიღაბი**

**კითხვა: - პატივცემულო პრეზიდენტო, გორბაჩოვის წამოწყებული, მსოფლიოში გახმაურებული „პერესტროიკის" პოლიტიკა თქვენ მიგაჩნიათ, რომ ნიღაბია?**

პასუხი: - დიახ, დიახ... ნამდვილად ასეა. კომუნისტურ იდეებსა და ტოტალიტარულ რეჟიმებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ბოლო ეღება. ამიტომაა, რომ კომუნისტური სისტემის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით „პერესტროიკისა" და „გლასნოსტის" სახით ახალი ნიღაბი, ახალი ლოზუნგი გამოიგონეს. საბჭოთა კავშირი შოვინისტური და ხალხთა ჩაგვრის პოლიტიკას კვლავაც აგრძელებს. კომუნიზმი რუსული შოვინიზმის ნიღაბია. „გლასნოსტი" საჯაროობაა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია გორბაჩოვისათვის ჩვენნაირი რესპუბლიკებისათვის საინფორმაციო ომი გამოეცხადებინა. ჩვენ რუსი ხალხის წინააღმდეგ კი არა, კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ ვიბრძვით.

**გორბაჩოვი და ელცინი**

**კითხვა: - ბატონო პრეზიდენტო, როგორ აფასებთ გორბაჩოვისა და ელცინის მდგომარეობას. გავრცელებულია აზრი, რომ თითქოს ელცინი გორბაჩოვის მიმდევარია. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

პასუხი: - ამაზე პასუხის გაცემა ძალზე რთულია. ჯერ უნდა გაირკვეს ელცინის პოლიტიკური პოზიცია, მისი პოლიტიკის მიმართულება. ჯერ ნათელი არაა. გორბაჩოვის პოლიტიკა კი ლენინის, სტალინისა და ბრეჟნევის იმპერიული პოლიტიკის იდენტურია, ოღონდ „პერესტროიკას" და „გლასნოსტს" ეფარება. გორბაჩოვი საბჭოთა კავშირში შემავალ რეპუბლიკებთან ახალი სამოკავშირეო ხელშკრულების დადებით მათ თვალებს უხვევს.

**კითხვა: - საბჭოთა რესპუბლიკებიდან ცხრა სამოკავ-**

**შირეო ხელშეკრულებას ხელს აწერს და ცნობილი იქნები-ან „საბჭოთა სუვერენული რესპუბლიკების კავშირის" სახელით. მათ საპირისპიროდ საქართველო, ბალტიის რესპუბლიკები, სომხეთი და მოლდოვა შეიკრიბნენ და „ეროვნული ფრონტის და მოძრაობის ასამბლეა" დააარსეს. ამ ექვს რესპუბლიკას შორის ურთიერთობის საერთო გად-აწყვეტილება თუ არის მიღებული და რას გულისხმობს იგი?**

პასუხი: - ეროვნული მოძრაობის კავშირის ლიდერე-ბი ერთმანეთში შეთანხმდნენ თუ როგორ იმოქმედონ ცენ-ტრის მიმართ. ამას გარდა, ერთმანეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გზები დასახეს. ამ ექვსი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრაც უნდა შედგეს. მათ ურთიერთშორის ეკონომიკური და პოლიტიკური თა-ნამშრომლობის კოორდინაცია უნდა მოახდინონ. გარდა ამისა, საერთო პარლამენტის შექმნაც შეუძლიათ. ეს რეს-პუბლიკები ერთიანი ძალით იმოქმედებენ, შეიქმნება მათი უფლებების დამცველი ორგანიზაცია.

**კითხვა: - ეს ექვსი რესპუბლიკა მოსკოვის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანდება?**

პასუხი: - არა, ეს კავშირი მოსკოვთან საბრძოლველად არ იქმნება. უბრალოდ, თავდაცვის მიზნით ერთიანდებიან: კერძოდ, მოკოვის მხრიდან აგრესიისაგან თავდასაცავად.

**კითხვა: - როგორ შეიძლება განვითარდეს შემდგომი მოვლენები?**

პასუხი: - დღევანდელი მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დახმარებას გაუწევს მსოფლიო ამ ექვს რესპუბლიკას, როგორი სტატუსით სცნობს მათ. მსოფლიოს ქვეყნებს, ერიდებიან რა მოსკოვთან ურთიერთობის გაფუ-ჭებას, ჩვენი ცნობა არ სურთ. თუ ისინი არ გვცნობენ, ჩვენი მდგომარეობა ძალზე მძიმე იქნება. ჩვენთვის მნიშვნელო-ვანია საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა. საბჭოთა კა-ვშირი თუ არ სცნობს ჩვენს უფლებებს დამოუკიდებლობა-ზე, ბრძოლას გავაგრძლებთ. სხვა ცხრა რესპუბლიკასთან ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა გვექნება. მუსლიმანურ რესპუბლიკებთან ძალზე კარგი ურთიერთობები გვაქვს. მე ყველაზე მეტად საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯან-

ელები მიჭერენ მხარს. ქართველების შემდეგ ყველაზე მეტი ხმა აზერბაიჯანელებმა მომცეს.

**კითხვა: - გორბაჩოვს შვიდი განვითარებული ქვეყნის დახმარება სწადია. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური კრიზისის დონე ძალზე დიდია?**

პასუხი: - საბჭოთა ეკონომიკა მეტად მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ ამის მიუხედავად, საბჭოთა მთავრობა ისევ გამალებულ შეიარაღებაზე ფიქრობს; სამხედრო ძალის მეშვეობით მსოფლიოზე ბატონობა სურს. საბჭოთა კავშირს, მიღებული მატერიალური დახმარების ხარჯზე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება სურს, ამავე დროს, ცდილობს საკუთარი სამხედრო ძალის გაძლიერებას.

**კითხვა: - ინარჩუნებს თუ არა საბჭოთა არმია და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტი საკუთარ ტრადიციულ ძლიერებას?**

პასუხი: - რა თქმა უნდა, უშიშროების სამსახური დღეს ვერ ერევა სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ, ტრადიციულად, იგი კვლავ ძლიერი რჩება.

**გვსურს გავიდეთ მსოფლიო ასპარეზზე...**

**კითხვა: - როგორი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შექმნას ფიქრობთ საქართველოში?**

პასუხი: - რა თქმა უნდა, დემოკრატიული წყობისა და სისტემის შექმნა გვსურს, საქართველოში დღეს პრეზიდენტის მმართველობაა. გარდა ამის, რესპუბლიკას ჰყავს თავისი 250-წევრიანი პარლამენტი. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღესდღეობით ჩვენში მრავალპარტიული სისტემა მოქმედებს. არსებობს 30 პარტია. პარლამენტში წარმოდგენილია 10 პარტია. ერთ-ერთი მათგანია კომუნისტური პარტია. ახლა კომუნისტური ბლოკის რაოდენობა ძალზე შემცირდა და იგი არავითარ პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენს. ჩვენი ამოცანაა, სავაჭრო ეკონომიკის დამკვიდრება და გასვლა თანამედროვე მსოფლიოში.

**კითხვა: - რომელი ქვეყნის მმართველობის მოდელი**

**გაქვთ აღებული?**

პასუხი: - ფრანგული მოდელი. ჩვენი კონსტიტუციის დამუშავებისას საფრანგეთის კონსტიტუციით ვხელმძღვანელობდით. მე, პარლამენტში 155 ადგილის მქონე, „მრგვალი მაგიდის“ ბლოკის ლიდერიც გახლავართ.

**თურქეთის მხრიდან დახმარებას ველით**

**კითხვა: - დემოკრატიისა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, კარის მეზობელ თურქეთისაგან რას ელით? თურქეთი საქართველოსათვის დასავლეთისაკენ გასასვლელი კარი გახდება თუ არა?**

პასუხი: - ჩვენ თურქეთის უახლოესი მეზობელი ქვეყანა ვართ, ვიცით ამ ორი ქვეყნის ისტორიული სიახლოვე, ძალიან კარგი მეზობლები ვართ. თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა აუცილებლად კარგი უნდა იყოს. იმპერიულ ძალებს თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობისათვის ხელის შეშლა სურთ. უწყვეტლივ დეზინფორმაციას ავრცელებენ ჩვენზე, როგორც აქ, ასევე თურქეთში. ჩვენ თურქეთი ევროპულ სახელმწიფოდ მიგვაჩნია, ჰელსინკის ხელშეკრულების ხელისმომწერ ქვეყნად. მას დასავლეთის ქვეყნებთან ჩვენს ურთიერთობებში ყველაზე კარგ, საიმედო პარტნიორად ვთვლით. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისას გვინდა ვისარგებლოთ თურქეთის გამოცდილებით. საქართველოში მოვიწვევთ თურქ ექსპერტებს. თურქი სპეციალისტების გამოყენება გვსურს. ამას წინათ თბილისს გვეწვია თურქეთის ელჩი მოსკოვში. ჩვენი მომავალი ურთიერთობის განვითარების შესახებ პატივცემულ ელჩთან კონკრეტული მოლაპარაკება გავმართეთ. თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ყველა მიმართულებით, ყველა დონეზე უნდა განვითარდეს. გვინდა ვისარგებლოთ თურქეთის საბანკო სისტემის, ექსპორტისა და იმპორტის გამოცდილებით, განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციის დარგში. თურქეთის დახმარებას ველით საქართველოში ბაზისის შესაქმნელად. შეგვიძლია შევქმნათ ერთობლივი საწარმოები, ფაბრიკები.

**კითხვა: - თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გად-ასვლისათვის საჭირო კადრები თუ გყავთ, ან ბაზისი თუ გაქვთ?**

პასუხი: - საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა ეკონო-მიკის ნაწილია. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გა-დასვლა გაგვიჭირდება, სანამ ცენტრს მთლიანად არ გამ-ოვეყოფით. ამ გზაზე თურქეთის მხრიდან ყველაზე დიდი დახმარება იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემი სიყვარული გამოვხატო თურქი ხალხისადმი, ვუსურვო მათ წარმატებები და აყვავება. მჯერა, რომ თურქი ხალხი დახმარებას გაგვიწევს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში.

**„მიმართვა ოზალისადმი"**

**კითხვა: - როგორ აფასებთ თურქეთის პრეზიდენტის თურგუთ ოზალის მიერ წამოყენებულ „შავი ზღვის რეგიო-ნის ეკონომიკური თანამშრომლობის" პროექტს?**

პასუხი: - ჩვენ თურქეთის მიერ წამოყენებულ შავიზ-ღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტს დიდი ინტერესით შევხვდით, ძალიან მოგვწონს, გვინდა, რომ ამ პროექტის განხორციელებაში საქართველომ აქტი-ური როლი ითამაშოს. ამ საკითხზე თურქეთთან მოლაპარ-აკების დასაწყებად მზადა ვართ. შავი ზღვის დაბინძურება თურქეთისა და საქართველოსათვის შეიძლება ტრაგიკუ-ლად იქცეს. მიწვეული ვართ შვეიცარიაში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტით დაინტერესე-ბული ქვეყნების კონფერენციაზე. ბატონი ოზალი თუ დაეს-წრება ამ შეხვედრას, სიამოვნებით შევხვდებოდი მას.

**ყურანი დაიბეჭდება**

**კითხვა: - საქართველოს აჭარის რეგიონში მუსლიმანი ქართველები ცხოვრობენ, ჩვენთან შეხვედრისას შემოგვ-ჩივლეს, მუსლიმანური სახელების დარქმევა და ყურანის გამოცემა აკრძალული გვაქვსო. თქვენ ახლა დემოკრატი-ული სახელმწიფოს სახელის დამკვიდრება გადაგიწყვეტი-**

**ათ. აპირებთ თუ არა მუსლიმან ქართველთა სურვილების გათვალისწინებას?**

პასუხი: - აჭარაში ამჟამად 14 მეჩეთია, მუსლიმანური სახელების დარქმევაც აკრძალული არ არის. ამ საკითხში არავინ ერევა. კომუნისტური მმართველობის დროს კი, მაგრამ ახლა არავითარი პრობლემა არა აქვთ. არც ექნებათ. ყველა მსურველს შეუძლია ბავშვს მუსლიმანური სახელი დაარქვას, არც ყურანი აუკრძლავს ვინმეს. ყურანი ქართულად არსებობს და მალე ახალსაც დავბეჭდავთ.

**კითხვა: - აშშ-სთან ურთიერთობას როგორ განახორციელებთ?**

პასუხი: - აშშ-სთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, დგას საკითხი პრეზიდენტ ბუშთან ჩემი მომავალი შეხვედრის შესახებ. ამერიკის კონგრესის წევრები საქართველოს ეწვევიან. ამერიკის კონგრესში ხშირად იხილება საქართველოს საკითხი და კონგრესის წევრები მეგობრულად არიან ჩვენდამი განწყობილი.

**კითხვა: - აშშ-დან მატერიალურ დახმარებას თუ იღებთ?**

პასუხი: - ამჟამად უმნიშვნელოს, მაგრამ ვაპირებთ სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას.

**კითხვა: - აშშ-სთან, რომელიც სუპერსახელმწიფოა?**

პასუხი: - ბუნებრივია, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის მხარდაჭერას.

**კითხვა: - რას ფიქრობთ ამერიკის განვითარებული კაპიტალისტური სისტემის შესახებ?**

პასუხი: - კაპიტალისტურ სისტემას ავაღორძინებთ, ოღონდ სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის შენარჩუნებით.

**ჩვენ საკუთარ არმიას ვქმნით**

**კითხვა: - საბჭოთა არმიიდან გასვლის შემდეგ ნატოში თუ შეხვალთ?**

პასუხი: - ამჯერად ამაზე ვერ გიპასუხებთ, მომავალი გვიჩვენებს.

**კითხვა: - ევროპულ გაერთიანებასთან ურთიერთობაზე რას ფიქრობთ?**

პასუხი: - ევროპულ გაერთიანებაში შესვლა ჩვენი ყველაზე დიდი მიზანია. ევროპულ გაერთიანებასა და ევროპის ქვეყნებთან უახლოესი ურთიერთობის დამყარება გვსურს. ამის თაობაზე გარკვეული იმედები გვაქვს.

**კითხვა: - საქართველო თავს როგორ დაიცავს, შეიარაღებულ ძალებს შექმნით?**

პასუხი: - ჩვენ საკუთარ შეიარაღებულ ძალებს უკვე ვქმნით. მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან, არმიებთან მეგობრულ ურთიერთობებს დავამყარებთ.

**კითხვა: - საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცებს თუ აგზავნით?**

პასუხი: - საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის ამკრძალავი კანონი მივიღეთ. ისე, რომ ჩვენი ახალგაზრდები იქ არ იმსახურებენ.

**ინტერვიუ : „გადაწყვეტილი გვაქვს საბჭოთა კავშირიდან გასვლა / გამსახურდია ზ. // რესპუბლიკა. – 1991. – 16 ივლისი. - № 25/58. – 8,9 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## თ. დ. ასანიძის  ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ დავითის ძე ასანიძე ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 17 ივლისი**

**ბრძანებულება : თ. დ. ასანიძის  ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 18 ივლისი. - №139 (159). – 2გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესების რეგულირების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში დღეისათვის შექმნილი რთული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას მოითხოვს.

სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის განსახლების პრობლემებმა, შიდამიგრაციული და საერთო იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესები გააფართოვა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს მათი საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე შესწავლისა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი მიღების აუცილებლობას. მოსახლეობის განსახლების პრობლემები, არსებულ ეკონომიკურ სიძნელეებთან ერთად, მძიმე ტვირთად დააწვა რესპუბლიკას.

დღეს, როცა მოგვარებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ახალი სოფლების მშენებლობის საკითხები, თავი იჩინა ახალმა პრობლემებმაც. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ბევრი ქართული ოჯახი გამოთქვამს სამშობლოში იმიგრაციის სურვილს, მათი ნაწილი ჩამოდის რიგ რეგიონებში. გამოჩნდნენ ემიგრაციის მსურველი ოჯახებიც და მათ მექანიკურ, მოუწესრიგებელ მოძრაობას არასასურველი შედეგები მოსდევს, რაც საგრძნობლად აუარესებს საქართველოს ისედაც რთულ დემოგრაფიულ მდგომარეობას.

ამ მხრივ, დარღვევებია მთელი რიგი რაიონების პრეფექტურების მუშაობაში. მათი უყურადღებობისა და უკონტროლობის შედეგად რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების სახლები (ბინები) იყიდება და ფორმ-

დება არსებული კანონმდებლობის უხეში დარღვევით. წინასწარი მონაცემებით, მარტო თეთრი წყაროს რაიონში 100-ზე მეტმა თბილისელმა სააგარაკოდ შეიძინა აღნიშნული კატეგორიის საცხოვრებელი სახლები.

ამას ემატება ისიც, რომ 1987-1989 წლებში მომხდარი სტიქიური უბედურებებისაგან დაზარალებული ოჯახებისთვის რიგ რეგიონებში ჯერაც არ დამთავრებულა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ცალკეულ შემთხვევებში ოჯახების გარკვეული ნაწილი, სხვადასხვა მიზეზით, უარს ამბობს ბინებში შესახლებაზე.

წლების განმავლობაში დაგროვილი და გადაუჭრელი პრობლემების გადასაწყვეტად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რესპუბლიკაში სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის აშენებული, სუბიექტური მიზეზებით აუთვისებელი და რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შესყიდვით საგანგებო საცხოვრებელი ფონდის შექმნა. მისი შემდგომი მიზნობრივი გამოყენება და მომავალში ამ საქმეში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი რთული, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის განსახლების პრობლემების გადასაწყვეტად, შიდამიგრაციული და საერთო იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესების რეგულირების მიზნით:

1. საქართველოს რესპულიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურების ქმედითი დახმარებით სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებით შექმნას საგანგებო საცხოვრებელი ფონდი და მოახდინოს შესყიდული სახლების (ბინების) მიზნობრივი განაწილება.

2. საგანგებო საცხოვრებელი ფონდი პირველ რიგში გამოყენებულ იქნეს რესპუბლიკაში იმიგრაციის მსურველი და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების დასაკმაყოფილებლად, ასევე ცალკეული ქალაქ-

ისა და რაიონის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს რესპუბლიკაში ემიგრაციის შედეგად მიტოვებული და რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების სახლების (ბინების) შესყიდვის წესი და შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე წარმოადგინონ პროექტი არსებულ კანონმდებლობაში შესაძლო ცვლილებების შესახებ.

4. საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა და საკრებულოებმა უზრუნველყონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების საცხოვრებელი სახლების ღირებულების შესახებ ცნობების მოწოდება და ხელი შეუწყონ სამინისტროსთან არსებულ სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო ფონდს გამოთავისუფლებული სახლების შესყიდვის საქმეში.

5. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო ფონდს გამოისყიდოს უკანასკნელ ხანს საქართველოდან ემიგრირებული ოჯახების სახლები თეთრი წყაროს და სხვა რეგიონებში იმ მოქალაქეთაგან, რომლებმაც საჯაგარაკოდ შეიძინეს აღნიშნული სახლები და არ გადაეწერნენ იქ ოჯახებით მუდმივ საცხოვრებლად. აღნიშნულის განხორციელებაში სახელმწიფო ფონდს ქმედითად დაეხმარონ საქართველოს რესპუბლიკის ქალქაებისა და რაიონების პრეფექტურები, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა.

6. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ ყველაფერი იღონონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის

გარეშე რესპუბლიკის გარეთ ემიგრაციის მსურველი ოჯახების სახლების (ბინების) გასხვისების ფაქტების აღსაკვეთად.

7. ხულოს, შუახევის, ლენტეხისა და მესტიის რაიონების პრეფექტებმა 1991 წლის 1 სექტემბრამდე შეამოწმონ 1987-1989 წლების სტიქიური უბედურებებით დაზარალებულ და ჩასასახლებულ ოჯახთა სიები, დაასაბუთონ კომლთა დაყოფისა და ჩასახლების აუცილებლობა და შუამდგომლობა მათი ჩასახლების თაობაზე წარუდგინონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს.

8. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთან და 1989 წელს სტიქიით დაზარალებული რაიონების პრეფექტებთან ერთად 1991 წლის 1 სექტემბრამდე გადაამოწმონ დაზარალებული ოჯახების განსახლების რეალური მდგომარეობა და ერთობლივად იზრუნონ მათი დაბინავებისათვის; დააზუსტონ დაზარალებული ოჯახების რაოდენობა, რომლებიც უარს აცხადებენ ასაშენებელ თუ აშენებულ სახლებში ცხოვრებაზე. აღნიშნული კატეგორიის ოჯახებს საჭიროების შემთხვევაში სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან მიეცეთ გრძელვადიანი სესხები. აშენებული და აუთვისებელი მშენებლობის პროცესში მყოფი სახლები შემდგომი გამოყენებისათვის გადაიცეს საგანგებო საცხოვრებელი ფონდის განკარგულებაში.

9. 1991 წლის 29 აპრილისა და 15 ივნისის მიწისძვრით დაზარალებული საჩხერის, ჭიათურისა და სხვა რაიონების პრეფექტებმა დასაბუთება ოჯახების სხვა ადგილებში მუდმივად ან დროებით განსახლების აუცილებლობის შესახებ წარუდგინონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს და მასთან ერთად განახორციელონ მათი ორგანიზებული განსახლება.

10. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების პრეფექტების აქტიური დახმარე-

ბით მოახდინოს რესპუბლიკაში იმიგრაციის მსურველთა აღრიცხვა, მათი სახლების (ბინების) გაცვლა და გაფორმება.

11. შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთვის აღნიშნული საკითხების მოწესრიგებაში დახმარების მიზნით ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა შექმნან კომისიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველებისათვის, ემიგრირებულებისა და სტიქიით დაზარალებულებისათვის აშენებული და შეუსახლებელი სახლების (ბინების) აღრიცხვას, ინვენტარიზაციასა და შეფასებას.

12. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ქმედითად დაეხმაროს „სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო ფონდს" და უწინარესად ფონდის მოთხოვნების შესაბამისად გადაწყვიტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფისა და მისი სატრანსპორტო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხი.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 16 ივლისი**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესების რეგულირების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 18 ივლისი. - №139 (159). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის

# განცხადება

16 ივლისს საკდესის არხებით გავრცელდა საკდესის კორესპონდენტის ა. კოჩეტკოვის ინფორმაცია სათაურით „გამსახურდია ბრალს სდებს აზერბაიჯანს“.

სინამდვილეში არავითარი ბრალდება აზერბაიჯანის მიმართ არ გამოთქმულა. პრეზიდენტ მუთალიბოვის თბილისში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა გამსახურდიამ მას გადასცა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ორი სუვერენული სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ კულტურული ავტონომია აზერბაიჯანელებისა საქართველოში და ქართველებისა - აზერბაიჯანში. იგივე ითქვა აზერბაიჯანისა და საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან პრეზიდენტ მუთალიბოვის შეხვედრების დროს. აგრეთვე პრესკონფერენციაზე, რომელიც გაიმართა პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ.

მანიპულირებს რა ციტატებით პრეზიდენტ გამსახურდიას წერილიდან და ამახინჯებს მის აზრს, ბატონი კოჩეტკოვი ამით ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს მხარე აზერბაიჯანის ახლანდელ ხელმძღვანელობას აკისრებდეს პასუხისმგებლობას წერილში აღნიშნული სერიოზული პრობლემების არსებობისათვის. ამისათვის საკდესის კორესპონდენტი იმასაც კი არ ერიდება, რომ პრეზიდენტის წერილში წარსულ დროში მოყვანილი ფაქტებისა და მოვლენების უმრავლესობა აწმყოში გადმოიტანოს .

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ყველა ეს პრობლემა მრავალი ათეული წლის წინათ წარმოიშვა, წითელი არმიის ნაწილების მიერ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის და კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მთელი ამ წლების მანძილზე სსრ კავშირის

ხელმძღვანელობის იმ პოლიტიკის შედეგად, რომლის მიზანი იყო ეროვნულ წინააღმდეგობათა ინსპირაცია და გაღვივება, რაც განსაკუთრებით მტკივნეულად იგრძნობოდა და დღესაც იგრძნობა კავკასიაში. საქართველოს მხარე არავითარ შემთხვევაში არ აპირებს დაადანაშაულოს აზერბაიჯანის ახლანდელი ხელმძღვანელობა, და მით უმეტეს აზერბაიჯანელი ხალხი, წერილში აღძრული პრობლემების არსებობის გამო.

ჩვენი აზრით, ტოტალიტარული რეჟიმისაგან მემკვიდრეობად მიღებული პრობლემების გადაწყვეტა არ ნიშნავს ერთმანეთის დადანაშაულებას, როგორც ცდილობს ამის წარმოდგენას კორესპონდენტი კოჩეტკოვი.

საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტის შეხვედრები და მათ შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულების დადება მთელ რეგიონში მტკიცე მშვიდობის დამყარების, ზემოაღნიშნული პრობლემების მოწესრიგებისა და სტაბილურობის შესანიშნავი დასაწყისია.

საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა, რომლებიც დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ადგანან და ისწრაფვიან თავიდან აიცილონ მათს საშინაო საქმეებში ჩრევა, ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გარანტიაა, რომლებზეც ლაპარაკია პრეზიდენტ გამსახურდიას წერილში.

**საქართველოს რესპუბლიკის**
**პრეზიდენტის პრესსამსახური.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 19 ივლისი. - №140 (160). – 1გვ.**

# საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურისაგან

საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ 1991 წლის 21 ივლისს, დაახლოებით 22 საათზე ქალაქის ცენტრის სანაპიროს რაიონში გამოჩნდა საბჭოთა არმიის 60-ზე მეტი ჯარისკაცი. მათმა ქცევამ და ეკიპირებამ მიიპყრო მოქალაქეთა ყურადღება, ზოგიერთ მათგანს ეცვა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტის ფორმა, ზოგიერთს კი - მედესანტეთა ზოლებიანი პერანგი, რამდენიმე წელს ზემოთ სრულიად შიშველი იყო. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ რკინის წკეპლებით, მასიური არმიული ღვედებით და გარბოდნენ რა სანაპიროს გასწვრივ, ბენზინით გასამართავ სადგურთნ იერიში მიიტანეს ავტომანქანებზე, საიდანაც გამოათრიეს ადამიანები და ცემდნენ მათ შეძახილებით: „აი თქვენ თავისუფალი საქართველო“, „აი თქვენ რუსებისაგან“.

საბჭოთა მეომრებმა რბევა მოაწყვეს ქალაქის უნივერმალთან და რესტორან „არაგვთან“. მილიციის მოსვლისთანავე ჯარისკაცები სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას და მიიმალნენ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ყაზარმებში. ამ რბევის შედეგად დაჩეჩქვილია ათეულობით ავტომანქანა, ხოლო რვა კაცი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი, ჰოსპიტალიზებულია. თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ხელმძღვანელობამ უარყო ზემოთაღნიშნულ რბევაში კურსანტთა რაიმე მონაწილეობა., მაგრამ მეორე დღეს საქართველოს საგამომძიებლო ორგანოების მიერ სამხედრო პროკურატურასთან ერთად მოწყობილი ამოცნობის დროს, დაზარალებულებმა ამოიცნეს ერთი კურსანტი, რომლის გვარია კრასნიკოვი. გამოძიება გრძელდება.

ე.წ. დაუმორჩილებელი რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილთა ჯარისკაცების მსგავსი გამოხდომები, გაიძულებთ გააკეთოთ შესაბამისი დასკვნები ლიტვაში ჯარისკაცთა ანალოგიურ ქმედებაზე. საბაჟო პოსტებზე, ლიტვა-ლატვიის საზღვარზე მომხდარ ინციდენტებზე, რაც ამტკიცებს, რომ ეს ქმედებანი დაგე-

გმილი და მიმართულია იქითკენ, რომ პროვოკაციულად გამოიწვიონ დიდი და მასშტაბური შეჯახებანი საბჭოთა არმიასა და მოსახლეობას შორის.

**საქართველოს რესპუბლიკის**
**პრეზიდენტის პრეს-სამსახური.**
**თბილისი. 1991 წლის 23 ივლისი.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრეს-სამსახურისაგან // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 24 ივლისი. - №143(163). – 1გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ე. Ლ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაინიშნოს ედმონდ ლავროსის ძე კალანდაძე საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 22 ივლისი**

**ბრძანებულება : ე. ლ. კალანდაძის კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 16 ივლისი. - №145 (165). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
# ბრძანებულება

დასავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრისგან ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი ქართული ოჯახების დასაბინავებლად ყველა საცხოვრებელი ფონდის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით სამცხე-ჯავახეთში) ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის და ახალციხის რაიონები) უცილებლად მიმაჩნია დროებითი საგანგებო შტაბის შექმნა. ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

1. იმის გამო, რომ 1991 წლის 29 აპრილს დასავლეთ საქართველოში მიწისძვრის შედეგად დაინგრა საცხოვრებელი ბინებისა და ნაგებობათა 90% და უსახლკაროდ დარჩა მრავალი ათასი ადამიანი,  ამასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკა იმყოფება კრემლის მიერ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბლოკადაში და რესპუბლიკას არ გააჩნია სახლების მშენებლობის საშუალება, უსახლკაროდ დარჩენილი ქართული ოჯახების ოპერატიულად დასაბინავებლად საცხოვრებელი ფონდების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით სამცხე-ჯავახეთში (ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონებში) შეიქმნას დროებითი საგანგებო შტაბი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისაგან სახლებისა და პირუტყვის შეძენას, შესყიდულ სახლებში მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ჩასახლებას, მათ ჩაწერას, და შრომითი მოწყობის საკითხებს.

2. სამცხე-ჯავახეთში (ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონებში) მოსახლეობისაგან სახლების შესყიდვას აწარმოებს მხოლოდ დროებითი საგანგებო შტაბი.

3. ამ რაიონების ტექნიკურ ინვენტარიზაციის ბიუროებს და სანოტარო კანტორებს აეკრძალოს სხვა ორგანიზაციებისა და პიროვნებების მიერ შესყიდული სახლების გაფორმება-დაკანონება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ აღძრული იქნება სისხლის სამართლის საქმე.

4. დაევალოს შინაგან საქმეთა, საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის, იუსტიციის სამინ-

ისტროებს, რესპუბლიკის პროკურატურას სახლების შესყიდვისა და მოსახლეობის ჩასახლების კანონიერების დაცვის მიზნით მიავლინოს თავისი წარმომადგენლები დროებითი საგანგებო შტაბის განკარგულებაში.

5. დაევალოს ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის კოლმეურნეობებისა და მეურნეობების ხელმძღვანელობას დროებითი საგანგებო შტაბის მიერ წარმოდგენილი ოჯახების სამუშაოთი დაკმაყოფილება.

6. დაევალოს ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის შინაგან საქმეთა განყოფილებებს დაუყოვნებლივ მოაგვარონ საგანგებო დროებითი შტაბის მიერ წარმოდგენილი სტიქიით დაზარალებული ოჯახების ჩაწერის საკითხები და კონტროლი დააწესონ მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას:

ა. უზრუნველყოს დროებითი საგანგებო შტაბი ბინების შესყიდვისათვის საჭირო თანხებით;

ბ. დროებით საგანგებო შტაბს გამოუყოს შტაბის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივან-მემანქანის და მძღოლის საშტატო ერთეულები

გ. სახლების შესყიდვისა და ოჯახების ჩასახლების ოპერატიული ორგანიზებისათვის დროებით საგანგებო შტაბს გამოუყოს 2 ავტომანქანა.

8. დაევალოს ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონების პრეფექტურებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ დროებით საგანგებო შტაბს აღნიშნულ საქმიანობაში.

9. სამცხე-ჯავახეთის დროებითი საგანგებო შტაბი ემორჩილება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 26 ივლისი.**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 27 ივლისი. - №146-147 (167). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## მ. ბ. სანიკიძის ბოლნისის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მალხაზ ბიჭიკოს ძე სანიკიძე ბოლნისის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 22 ივლისი

ბრძანებულება : მ. ბ. სანიკიძის ბოლნისის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 27 ივლისი. - №146-147 (167). – 1გვ.

# „ხალხის მოთმინება უსასრულო არ არის...“

ხალხის ხმა შემოვიდა 24 ივლისს მთავრობის კაბინეტის სხდომაზე. ხალხის მოსაზრება და სურვილი, თხოვნა და წინადადება, რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის განდობილი, გაზიარებული. ზღვარზე მისული ხალხის, რომელიც სასწაულს არ ელოდა, მდგომარეობის გაუმჯობესებას - კი, რაიც ჯერ არ ჩანს.

პრეზიდენტის კომანტარებში, რომელიც რეფრენად მიყვებოდა მთავრობის სხდომაზე საკითხების განხილვას, მისეულ დასკნებში გამოჩნდა საერთო საფიქრალიც, წუხილიც, გაზიარებული ტკივილიც და, რაც მთავარია, პასუხიც კითხვაზე: რა უნდა გავაკეთოთ.

მოკლე დასკვნით სიტყვაში 5 საათიანი სხდომის მანძილზე გზადაგზა მონიშნული, კონკრეტულ, უალტერნატივო მოთხოვნად ჩამოყალიბდება. ალტერნატივა საქართველოს ხვალინდელი დღეა. პრეზიდენტი მთავრობის წევრებისაგან მოქმედებას, შედეგიან მუშაობას მოითხოვს, ეფექტიანს...

რამდენიმე მაგალითი ნათქვამის გასაშიფრად.

წლევანდელი მოსავალი მარტო ე.წ. „სამეურნეო ღონისძიება“ არ არის, პოლიტიკური საკითხი უფროა და, საერთოდ, მეურნეობრიობისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირს რამდენჯერმე გაუსვამს ხაზს პრეზიდენტი ამ სხდომაზეც და შემდეგაც, მეორე დღეს - უზენაესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას.

ამიტომაა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი წლევანდელი შემოდგომა ჩვენთვის. „კარტოფილის, ხილ-ბოსტნეულის 1991 წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღების, დამზადებისა და ზამთრის მარაგად შენახვის ორგანიზაციის შესახებ“ ტრადიციული საკითხი, რომელიც სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ შეიტანა განსახილველად, სულ სხვა კუთხით წარმოდგება წლეულს.

სკრუპულოზურადაა ყველაფერი გათვლილი: ვინ, როდის და რა უნდა გააკეთოს, რა სახის პროდუქცია სად, რამდენი უნდა შევინახოთ ზამთრისთვის, საიდან შემოვზიდოთ

და ა.შ. უკვე ყველაფერი არის, გარდა იმისა, რაც უნდა იყოს, ანუ მოსავლის. მოსავალი კი ისაა, რაც დაზინავებულია. დავაზინავებთ?

მთავრობის თავმჯდომარის ბატონ თენგიზ სიგუას რეპლიკაში სწორედ ეს კითხვა გაისმა დაეჭვებული, რადგან პროექტით შარშანდელზე 2,5-ჯერ მეტის ჩაწყობაა ნავარაუდევი. როგორ? ჩვენს ქაოტურ სოფლის მეურნეობას არა თუ ამდენის მოცემა არ შეუძლია, არამედ შარშანდელზე ნაკლები იქნება უთუოდ მოსავალი.

პასუხმა, რომელიც მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო, ვერ გაფანტა ეს ეჭვი, თუმცა ყველა ზომას ვიხმართ, რომ შევასრულოთო".

არა და ახლა ისეთი დრო დგება, ყველა ჩვენი შიდა რეზერვი, შესაძლებლობა მაქსიმალურად უდა გამოვიყენოთ, გარკვეულწილად ავტონომიურად არსებობა უნდა შევძლოთ.

ეს პრობლემა წამოაყენა სხდომაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, გარკვეული სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაფართოების საკითხს რომ შეეხო.

- შაქრის შემოტანის პერსპექტივა უნუგეშო ხდება, - თქვა მან. - კუბიდან შაქარი აღარ შემოვა, დიდი სირთულეებია უკრაინიდან ამ პროდუქციის მიღებაში. ასეთ პირობებში ჩვენ უნდა ვიფიქროთ შაქრის ჭარხლის წარმოების გადიდებაზე. რამდენადაც შევძლებთ მაქსიმალურად უნდა გავზარდოთ ფართობიც, მოსავლიანობაც. ამის გამოცდილება ჩვენს ხალხს აქვს.

ცნობისთვის: ომის პერიოდში 100 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი მოგვყავდა საქართველოში, 10 ათასი ტონა მზადდებიდა შაქარი. შემდეგ 70-იან წლებში კუბიდან შემოტანილი შაქრის ლერწმის დამუშავებაზე გადავედით, 50 ათას ტონა შაქარს ვამზადებდით; ამის გამო შაქრის ჭარხლის ფართობებიც შევამცირეთ და შაქრის ჭარხლის მოსავალიც 35-40 ათას ტონამდე დაეცა, წარმოება კი - ოთხ ათას ტონამდე. მოვიხმარდით 300 ათას ტონას.

დავიწყებული ტრადიციის აღდგენის საკითხი დასვა

რესპუბლიკის პრეზიდენტმა და სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრს ანზორ ჭლიკაძეს დაავალა სათანადო პროექტის მთავრობისათვის წარდგენა.

სოფლის მეურნეობის საკითხები განსაკუთრებით აქცენტირებული იყო ამ სხდომაზე.

განიხილეს და მიიღეს ხილ-ბოსტნეულის კონსერვების რესპუბლიკის გარეთ სახელშეკრულებო ფასებით რეალიზაციის პროექტი: ფასები გაიზრდება. თავისთავად ეს კარგია, რესპუბლიკა მეტ მოგებას მიიღებს, მაგრამ გლეხის, ამ პროდუქციის მომყვანის პირადი ბიუჯეტი ადექვატურად გაიზრდება?

ეს საკითხი წამოსწია ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, როდესაც კახეთის რეგიონების მოსახლეობის თხოვნა გაუზიარა მთავრობის წევრებს სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე და, პირველ რიგში, ყურძენზე შესასყიდი ფასების გაზრდის შესახებ. პრეზიდენტმა ამ საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება ითხოვა, მაშინ გლეხიც მოგებული იქნება.

მეფრინველეობის, მეცხოველეობის პროდუქციით, განსაკუთრებით - რძით, რძის პროდუქტებით თბილისის მომარაგების საკითხი მწვავედ წამოჭრა მთავრობის სხდომაზე რესპუბლიკის პრეზიდენტმა. მოსახლეობა სამართლიანად უკმაყოფილოა. დაპირების მიუხედავად მდგომარეობა არ სწორდება. - პირიქით, - ხაზი გაუსვა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, - არის საბოტაჟის ფაქტები, კვლავ კორუმპირებულია ეს დარგი. მოსახლეობა ამას გრძნობს, რადგან ნეგატიური ნარჩენითი მოვლენები უშუალოდ ხალხზე მოქმედებს უარყოფითად.

მან მოსთხოვა ბატონ ანზორ ჭლიკაძეს საჯაროდ გამოვიდეს მოხსენებით იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა, რითი გაუმჯობესდა მდგომარეობა დარგის ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, რა კონკრეტული პერსპექტივა ჩანს და როდის იქნება იგი რეალიზებული. ხალხს უნდა ჰქონდეს კონტროლის შესაძლებლობა - ვინ როგორ ასრულებს მოცემულ პირობას.

ფენოლოგის დღიურებს ჰგავდა ოფიციალური ინსტანციების სხდომების დღის წესრიგები მართლაც. მოსავლის

უდანაკარგოდ აღება? მალე შემოდგომა დადგება. საქვაბეების გამართვა და მაზუთის შემოზიდვა? ზამთარი მოგვდგომია კარს და ა.შ.

ზამთრამდე ჯერ ცოტა შორსაა. თუმცა ვისთვის როგორ. რაჭისთვის, მაგალითად, - არც ისე. მშენებლებისთვის კი, რომლებიც აქ საქმიანობენ, უკვე დაიწყო კრიტიკული პერიოდი.

მთავრობის დადგენილებით მშენებლობა პრაქტიკულად ყველგან შეწყდა. მთელი რესურსები მიწისძვრით დაზარალებულ ზონაში გადაისროლეს, ღია ცის ქვეშ რომ არ დარჩნენ თავსუბედურებადამტყდარი ონელები, საჩხერელები, ამბროლაურელები, სხვები.

ნებისმიერ საჭირო აქციას თანმდევი უარყოფითი მოვლენებიც ახლავს, მით უფრო - იძულებით აქციას. თბილისის პრეფექტმა ირაკლი ანდრიაძემ მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი დედაქალაქში ბინათმშენებლობის ნაწილობრივ აღდგენის თობაზე - მთელი მასალები მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში მიდისო.

- არაფერი არ მიდის ადგილებზე ჩვენდა სამარცხვინოდ. იყიდება ბაზებში, იყიდება გზაში. ონის რაიონის ცენტრში თუ შენდება რამე, სოფლებში საერთოდ არაფერი ჩაუტანიათ. არის ფაქტები, როდესაც მოაგარაკეებს აუშენეს სახლები, „გავლენიან" ხალხს, იქ მაცხოვრებელი გლეხები კი ოჯახებით კარვებში ცხოვრობენ უკეთეს შემთხვევაში, - თქვა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. მან დედაქალაქის პრეფექტის და არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის გურამ მირიანაშვილის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თბილისში კვლავ გრძელდება ლოჯიების მიშენება, რომ გადაწყვეტილება აკრძალვის შესახებ არ მოქმედებს, რომ საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება რეგიონის სეისმური აქტივობის გამო მოსახლეობისათვის დამღუპველი, ამ მოდად ქცეული გატაცებისათვის ზღვარის დასადებად. მეორეც არის: მრავალწლიანი ნარგავების აჩეხვა, რისთვისაც არავინ არავის პასუხს არ თხოვს, სრული განუკითხაობაა.

ამასთან რეზონირებდა რესპუბლიკის პრეზიდენტის

წინადადება, რომელიც სვანეთში მისი ყოფნის, აქ შექმნილი რთული სიტუაციის ანალიზისა და ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით შემუშავდა (გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება ამ წინადადებას, რადგან იგი არა მარტო ბუნების დაცვის ღონისძიებაა, არამედ ამ კუთხის თვითმყოფადობის გადასარჩენადაა გამიზნული): მთავრობის შემდეგ სხდომაზე განხილულ იქნას საკითხი სვანეთის ეროვნულ ნაკრძალად და სოფელ უშგულის სოფელ-მუზეუმად გამოცხადების შესახებ.

იქნებ ახლა მაინც!..

მთავრობის სხდომაზე ბატონმა პრინციპულად დააყენა ერთობლივი საწარმოების, კომერციული მაღაზიების, საგადასახადო ინსპექციის, ბანკების ფუნქციონირების კარდინალურად გაუმჯობესების საკითხები.

* * *

შემაჯამებელ სიტყვაში ბატონმა ზვიად გამსახურდიამ თქვა:

- მე გადავწყვიტე დავესწრო ხოლმე მთავრობის სხდომებს იმის გამო, რომ დავაკავშიროთ სოციალურ-ეკონომიკური მუშობა პოლიტიკურ საკითხებთან, რადგან უდიდესი ურთიერთკავშირი არსებობს მათ შორის.

მდგომარეობა რესპუბლიკაში, როგორც ხედავთ, არის ძალიან სერიოზული და რატომღაც, ამას ძირითადად ბლოკადას აბრალებენ. მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს სულ ასე არ არის. ბლოკადა ერთი ფაქტორია.

თუ გაქვთ კონკრეტული, ფაქტობრივი მასალები ბლოკადის შესახებ, დავაფიქსიროთ ისინი. ამას, სხვათაშორის, დიდი მნიშვნელობა აქვს ისევ სამინისტროთა და უწყებათა ინტერესებიდან გამომდინარე. მოგვაწოდეთ ასეთი მაგალითები საბოტაჟისა, ჩვენთვის განკუთვნილი პროდუქციის მეკობრულად დატაცებისა. იმას ნუ მოვთხოვთ ცენტრს, საბჭოთა კავშირს, რასაც უწინ გვაწვდიდა. ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა და ლოგიკურია, რომ აღარ გვაძლევს. მაგრამ აი, რაც ჩვენ გვერგება, კანონიერად, ვთქვათ, ბარტერული გაცვლით ან ხელშეკრულებებით და

სხვა, ასეთი პროდუქციის შეჩერება რომ ხდება, ძარცვა რომ ხდება, აი, ასეთი ფაქტები დააფიქსირეთ, მოგვაწოდეთ. ეს დიდ შედეგს გამოიღებს, რადგან მოგვცემს საშუალებას მსოფლიოს დავუმტკიცოთ, რომ საბჭოთა კავშირი ჩვენს ბლოკადას ეწევა. ეს ძალიან სერიოზული ამოცანაა და ნუ დააკნინებთ მის მნიშვნელობას, ყველამ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოთ.

მაგრამ, როგორც ვატყობ, მარტო ამ ბლოკადის შედეგი არ არის კრიზისი, ბიუჯეტის კატასტროფული დეფიციტი, სამომხმარებლო საგნების, საკვები პროდუქტების დეფიციტი და კატასტროფული შემცირება, რაც რესპუბლიკაში შეიმჩნევა. აქ არის აშკარად ანარქია, აქ არის აშკარად უკონტროლობა, აქ არის აშკარად კორუფცია და ისევ და ისევ - საბოტაჟი.

მე ახლა პირადად არ დავდებ ბრალს, ხელს არავის დავადებ, მაგრამ ვაცხადებ, რომ ხალხი ამას უსასრულოდ არ მოითმენს, და თუ ყოველივე ასევე გაგრძელდა, ხალხი აუცილებლად დააყენებს საკითხს მთავრობის გადადგომის შესახებ. ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოთ და აქედანვე უნდა მიიღოთ ყველა ზომა, რომ ასე არ მოხდეს, ისევ თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარე.

ვიმეორებ, რომ ხალხის მოთმინება უსასრულო არ არის. გარდა ამისა, იგი ყველაფერს თვალნათლივ ხედავს. არ გეგონთ, რომ ხალხი ბრმა არის, მან კარგად იცის, რაც ხდება ყველა უწყებაში, ყველა ბაზაში, კარგადაა ყველაფერზე ინფორმირებული.

მე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ მდგომარეობის გამოსწორებაზე პასუხისმგებელი იქნება თითოეული თქვენგანი. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მეც იძულებული გავხდები დავეთანხმო ხალხის ამ მოთხოვნას.

ძალიან გთხოვთ, რომ ამიერიდან დიდი პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით მოეკიდოთ ამ საკითხებს. უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრაზე ვიზრუნოთ გაერთიანებული ძალებით და შემდეგ - ყოველგვარი იმ ნაკლოვანებისა და ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ - რაც ხდება.

ძალიან რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ. ასეთი დიდი უბედურებები დაგვატყდა თავს, მოდის ზამთარი, მიწისძვრით დაზარალებულ რეგიონებში კი სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაა, სამარცხვინო. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ჩვენი ძალები აქეთ წარგვემართა და ამ ხალხს მოვხმარებოდით, ფაქტობრივად, არავითარი რეალური დახმარება არ გაგვიწევია. ამას ყველაფერს ხალხი ხედავს, ყველაფერი ეს გროვდება: მაღაზიები ცარიელია, ხალხი გაჭირვებაშია.

ასე რომ, მეგობრებო, იფიქრეთ ამაზეც.

ყველაფერს ბლოკადას ნუ დავაბრალებთ: მართალია, ამის ფაქტები არის, მაგრამ ჩვენ შიდა ძალებით შეგვიძლია ამ სიძნელეების დაძლევა. გარდა ამისა, საქართველო ისეთი გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა, რომ ჩვენ შეგვიძლია გარკვეული საშუალებებით, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობით, მთელი რიგი სხვა გზებით ამ ბლოკადის წინააალმდეგ ვიბრძოლოთ. ჩვენ შეგვიძლია ბლოკადის ფონდებიც შევქმნათ, მეგობრებო. ლიტვა ქმნის, მაგალითად, ბლოკადის ფონდებს და იმ ფონდებით თავის ბიუჯეტს ეხმარება. მივბაძოთ ჩვენც, შევქმნათ ჩვენი ფონდები ბლოკადის, კრიზისის დასაძლევად. წინააღმდეგ შემთხვევაში კრიზისი გარდაუვალია.

აი, ეს არის ჩემი სათქმელი თქვენთვის.

**კომენტარები მთავრობის სხდომაზე: „ხალხის მოთმინება უსასრულო არ არის...“ / გამსახურდია ზ. // რესპუბლიკა. - 1991. – 30 ივლისი. - №27/60. – 3 გვ.**

# ხელშეკრულება
# სომხეთის რესპუბლიკასა და
# საქართველოს რესპუბლიკას შორის
# სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის
# ძირითადი პრინციპების შესახებ

სომხეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა, შემდგომ ხელშეკრულების დამდებ მაღალ მხარეებად წოდებულნი, ეყრდნობიან ქართველ და სომეხ ხალხებს შორის მრავალსაუკუნოვან მეგობრულ კავშირებს, ცნობენ თითოეული მხარის ხელშეუვალ უფლებას ჰქონდეს სახელმწიფო დამოუკიდებლობა, განზრახული აქვთ განავითარონ ურთიერთობა ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე, აღიარებენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტს, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, ისწრაფვიან ხელი შეუწყონ რეგიონში მშვიდობის დამყარებასა და სტაბილურობას, შეთანხმდნენ:

**მუხლი 1.**

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ცნობენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

**მუხლი 2.**

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ურთიერთშორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება და სადავო საკითხი გადაწყვიტონ მხოლოდ და მხოლოდ უშუალო კონსულტაციებისა და მოლაპარაკების გზით.

**მუხლი 3.**

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად აცხადებენ, რომ გაცვლიან დიპლომატიურ მისიებს. მათი გაცვლის წესი და სტატუსი მოწესრიგებული იქნება სპეციალური შეთანხმებით.

**მუხლი 4.**

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადე-

ბენ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ყველაზე ურთიერთხელსაყრელ რეჟიმს.

**მუხლი 5.**

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ყოველმხრივ განავითარებენ და გააღრმავებენ კავშირსა და თანამშრომლობას მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ეკოლოგიის და ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სფეროებში.

**მუხლი 6.**

ხელშეკრულების დამდებ მაღალ მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ უახლოეს დროში დაიწყოს მოლაპარაკება ორ სახელმწიფოს შორის ყოველმხრივი ხელშეკრულების მომზადებისა და დადების შესახებ.

**მუხლი 7.**

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებული უნდა იქნეს და ძალაში შევიდეს სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება ქ. ერევანში.

ხელშეკრულება ხელმოწერილია ქ. თბილისში 1991 წლის 27 ივლისს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და სომხურ ენებზე, ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

**სომხეთის რესპუბლიკის**
**უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ლევონ ტერ-პეტროსიანი**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი, 1991 წლის 27 ივლისი**

**ხელშეკრულება : სომხეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ / გამსახურდია ზ., ტერ-პეტროსიანი ლ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 30 ივლისი. - №148 (168). – 1გვ.**

**ხელშეკრულება : სომხეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ / გამსახურდია ზ., ტერ-პეტროსიანი ლ. // რესპუბლიკა. - 1991. – 30 ივლისი. - №27/60. – 2 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ვ. მ. გაბელიას მარნეულის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

**გათავისუფლდეს** ვალერი მიხეილის ძე გაბელია ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტის მოვალეობისგან და დაინიშნოს მარნეულის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 30 ივლისი.**

ბრძანებულება : ვ. მ. გაბელიას მარნეულის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 1 აგვისტო. - №150 (170). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ი. Ი. ᲛᲐᲖᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** იროდი იოსების ძე მაზანაშვილი თელავის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.**

**ბრძანებულება : ი. ი. მაზანაშვილის თელავის რაიონის პრეფექტად დან-იშვნის შესახებ // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 6 აგვისტო. - №153 (173). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის შესახებ

გასული წლის შემოდგომასა და მიმდინარე წლის გაზაფხულზე სათანადო მოცულობით და ხარისხით მთელი რიგი აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩაუტარებლობასთან დაკავშირებით არ განხორციელდა იჯარის შესახებ მოქმედი დებულების მოთხოვნები. კერძოდ, მწარმოებლებთან ხელშეკრულებათა გაფორმების შესახებ და სხვ., ამას დაერთო ცენტრის მიერ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში მიზანმიმართული შეფერხებები და ინსპირირებული ვითარების დესტაბილიზაცია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. შედეგად რესპუბლიკაში შეიქმნა ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთის შეუსრულებლობის რეალური საშიშროება, რაც თავის მხრივ ქმნის უკიდურესად მძიმე სიტუაციას მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებითა და გადამმუშავებელი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფაში. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის სურსათით მომარაგების მკვეთრი გაუარესება.

ზემოაღნიშნულის თავიდან აცილების, მოწეული მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ:

ჩამოაყალიბოს 1991 წლის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბი, რომლის ძირითად ამოცანად განსაზღვროს რესპუბლიკის მასშტაბით მოსავლის აღების მიმდინარეობისადმი ხელმძღვანელობა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამინისტროს, უწყებისა

და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შესაძლებლობათა გამოყენება დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად;

უმოკლეს ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისა და რეალიზაციის ფასების შესახებ.

შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო რესურსებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მაქსიმალური მოქცევის მიზნით მწარმოებელთა შესაბამისი მატერიალური წახალისების, მათ შორის, საბაზრო ფონდის ხარჯზე, ღონისძიებათა სისტემა:

მოსავლის აღება-დაბინავების სამუშაოები უპირატესად უზრუნველყოს ტექნიკით, საწვავ-საცხები მასალებითა და სხვა მატერიალური რესურსებით.

2. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა მოსავლის უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის მიზნით ჩამოაყალიბონ ანალოგიური ადგილობრივი შტაბები.

3. ადგილობრივმა შტაბებმა უზრუნველყონ რესპუბლიკური შტაბის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე „1991 წლის სახელმწიფო შეკვეთის დამატებით მარცვლის დამზადების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 31 ივლისის №609 და „1991 წლის მოსავლის, კარტოფილის, ხილბოსტნეულის უდანაკარგოდ აღების, დამზადებისა და ზამთრის მარაგში შენახვის ორგანიზაციის შესახებ“; 1991 წლის 29 ივლისის №603 დადგენილებათა მოთხოვნილების რეალიზაცია.

სამუშაოთა მიმდინარეობის მთელ პერიოდში საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შემუშავება და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კოლექტივებისა და მოსახლეობისათვის მათი გაცნობა.

4. პრეფექტურების, საკრებულოების, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების უმთავრეს ამოცანად ჩაითვალოს შტაბების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.

5. ადგილობრივი შტაბების წევრებმა, სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

წარმომადგენლებმა დაიყვანონ თითოეულ მოსახლემდე, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობის მოსავლისათვის ბრძოლა ემსახურება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უზენაეს მიზანს, რომ მოწეული მოსავლის თითოეული მარცვალი, თითოეული კილოგრამი ეროვნული საკუთრებაა და მისი ხელყოფა ეროვნული სიმდიდრის ხელყოფის ტოლფასია.

6. რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა არ დაუშვან მოსავლის განიავება, რეაგირების გარეშე არ დატოვონ ეროვნული საკუთრების ხელყოფის არც ერთი ფაქტი.

7. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ოპერატიულად მიაწოდონ მასალები მოსახლეობას მოსავლის აღების მიმდინარეობის, რესპუბლიკური და ადგილობრივი შტაბების, სამართალდამცავი ორგანოების, საზოგადოებრივ მეურნეობათა კოლექტივების მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ; მოსავლის განიავებისა და დატაცების თითოეული შემთხვევა გახადონ მოსახლეობის მკაცრი მსჯელობის საგანი; ხელი შეუწყონ ეროვნული საკუთრების ხელყოფისადმი შეურიგებელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

8. მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაზე, დაბინავებასა და დაცვაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებს, საკრებულოთა გამგებლებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს.

9. კონტროლი ამ ბრძანებულების შესრულებაზე დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი, 1991 წლის 5 აგვისტო.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 7 აგვისტო. - № 154 (174). – 1** გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## იშვიათი, გაქრობის პირას მისული, შემცირებადი აბორიგენული მცენარეების გენოფონდის გამრავლების, დაცვისა და გამოყენების შესახებ

საქართველოს კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსების ფონდის გაჩანაგების იმპერიული 200-წლოვანი პოლიტიკის მიუხედავად ამ რესურსების უმნიშვნელო რაოდენობა შემორჩენილია სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე ცალკეულ ენთუზიასტთა მოღვაწეობით.

მცენარეთა გენეტიკური რესურსების ფუნდამენტური გამოკვლევეის შედეგად (საქართველო-გერმანია) შექმნილია კულტურულ და მონათესავე ველურ მცენარეთა უმდიდრესი გენოფონდი, რომელიც ამჟამად გერმანიის გენეტიკურ ბანკში ინახება, რადგან საქართველოში ვერ უზრუნველყვეს მათი დაცვა-შენახვის პირობები.

ყოველივე ამის გამო:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივ კომისიას აბორიგენულ მცენარეთა გამრავლების, დაცვისა და გამოყენების თაობაზე მოამზადოს სათანადო კანონპროექტი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეიმუშაოს ტრადიციული გენოფონდის აღდგენა-გამრავლების ღონისძიებანი. ამ მიზნით უზრუნველყოს გერმანიის ქ. გატერსლებენიდან საქართველოს კულტურული ფლორის გენოფონდის ჩამოტანა-გამრავლება.

3. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის, სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, საქა-

რთველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას უმოკლეს დროში შეიმუშაონ საქართველოს მცენარეთა გენეტიკური რესურსების აღდგენა-გამრავლების სახელმწიფო პროგრამა.

4. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების პრეფექტებს, ხელი შეუწყონ აბორიგენულ, ტრადიციულ მცენარეთა სახეობების გამრავლება-გაშენების სამუშაოთა განხორციელებას.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი, 1991 წლის 31ივლისი**

**ბრძანებულება : იშვიათი, გაქრობის პირას მისული, შემცირებადი აბორიგენული მცენარეების გენოფონდის გამრავლების, დაცვისა და გამოყენების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 7 აგვისტო. - № 54 (174). – 1გვ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ი. Ო. ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲫᲘᲡ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ირაკლი ონისიმეს ძე ანდრიაძე ქ. თბილისის მერად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 12 აგვისტო.**

**ბრძანებულება : ი. ო. ანდრიაძის ქ. თბილისის მერად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 აგვისტო. - №161 (181). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კომისარიატების შესახებ

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი და მისდამი დაქვემდებარებული რაიონული და საქალაქო სამხედრო კომისარიატები სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ. მათი დანიშნულებაა წვევამდელთა მომზადება და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, თადარიგის სამხედო ვალდებულთა აღრიცხვა, სამობილიზაციო რეზერვების შექმნა, მომზადება და სხვა. კომისარიატები ემსახურებიან საბჭოთა არმიას და მათი საქმიანობა ხორციელდება სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროდან მიღებული გეგმებისა და დავალებების მიხედვით.

ამიტომ ამჟამად არსებული ე.წ. „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატები" არც ფორმით და არც შინაარსით არ შეესაბამება საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის დღევანდელ ინტერესებს. საქართველოში განლაგებული საბჭოთა არმიის, კერძოდ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ორგანოები მთლიანად სსრკ თავდაცვის სამინისტროს განკარგულებებსა და ბრძანებებს ემორჩილებიან.

„შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის რიგებში 1991 წელს წვევამდელთა გაწვევის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 იანვრის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 27 მარტის №239 და 26 ივნისის №505 დადგენილებების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებთან და ქ. თბილისის რაიონების

საკრებულოებთან შეიქმნა წვევამდელთა გამწვევი კომისიები და სამხედრო სექტორები, რომლებიც არსებული სამხედრო კომისარიატების ფუნქციებს ასრულებენ.

ამრიგად, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კომისარიატებს აღარ ექნებათ წვევამდელთა მომზადებისა და გაწვევის ფუნქცია. მათი საქმიანობა მხოლოდ იმ წვევამდელთა გაწვევით შემოიფარგლება, რომლებსაც საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის სურვილი აქვთ. ფაქტობრივად ამ კომისარიატებში მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს პენსიონერთა მომსახურების განყოფილება მოქმედებს.

ყურადსაღებია სამხედრო ვალდებულებათა სააღრიცხვო ანკეტების, პირადი ბარათების, სამობილიზაციო საბუთებისა და გეგმების გადატანის ფაქტები სამხედრო კომისიარიატებიდან სამხედრო ნაწილებში იმ მიზნით, რომ ეს დოკუმენტები საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ინტერესებს არ მომსახურებოდა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე და „სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედების შეჩერების თობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 15 ნოემბრის კანონიდან და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების 1991 წლის 9 აპრილის აქტიდან გამომდინარე **ვადგენ**:

1. იმის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაწესებულებაა და არ ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციას, დასახელება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი“ მცდარად ჩაითვალოს.

ამის შესაბამისად შეიცვალოს წარწერები აღნიშნული სამხედრო კომისარიატებისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ბეჭდებსა და რეკვიზიტებზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ერთი თვის ვადაში გადაწყვიტოს მომავალში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სსრ კავშირის თავდაცვის

სამინისტროს სამხედო კომისარიატებისთვის შენობებისა და მატერიალური სახსრების გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 10 აგვისტო.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კომისარიატების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 15 აგვისტო. - №161 (181). – 1გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ე. Ი. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაინიშნოს ენვერ ისრაფილის ძე წულუკიძე ქობულეთის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 17 აგვისტო.**

**ბრძანებულება : ე. ი. წულუკიძის ქობულეთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // რესპუბლიკა. – 1991. – 20 აგვისტო. - №29/62. – 2 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ვ. ლ. იზორიას ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ვალერიან ლეონტის ძე იზორია ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 20 აგვისტო.

ბრძანებულება : ვ. ლ. იზორიას ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 21 აგვისტო. - №163 (183). – 1გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## თ. ი. სიგუას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 17 აგვისტო.

ბრძანებულება : თ. ი. სიგუას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 21 აგვისტო. - №163 (183). – 1გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** ოთარ ვალერიანის ძე ქვილითაია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 17 აგვისტო.

ბრძანებულება : ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 21 აგვისტო. - №163 (183). – 1გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებს - ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი.

2. გაუქმდეს თავდაცვის სამთავრობო კომისია.

3. გაუქმდეს შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის ხელმძღვანელობა დაეკისროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის ძირითად ამოცანად განისაზღვროს:

ორგანიზებულ და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა;

საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევების, მასობრივი არეულობების აღკვეთა;

მასობრივი (სპორტული, სანახაობითი და სხვ.) ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა;

თავისუფლების აღკვეთის ადგილების დაცვა;

საბადრაგო სამსახურის შესრულება;

6. შინაგანმა ჯარებმა ისარგებლონ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტაბელური იარაღით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 19 აგვისტო.**

ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 21 აგვისტო. - №163 (183). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ Მ. Მ. ᲝᲛᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან მელიტონის ძე ომანიძე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 16 აგვისტო.

ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მ. მ. ომანიძის საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 21 აგვისტო. - №163 (183). – 1გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ

უკანასკნელ ხანს აღინიშნება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის დიდი რაოდენობით გატანის შემთხვევები, რაც ხშირად რაიონებისა და ქალაქის პრეფექტებისა და საკრებულოების ხელშეწყობით ხდება.

ამასთან დაკავშირებით ვადგენ:

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შექმნას სპეციალური კომისია რესპუბლიკიდან გასატანი საქონლის ნუსხის დასადგენად.

2. რაიონებისა და ქალაქების პრეფექტებმა და საკრებულოებმა არ გასცენ აკრძალულ ნედლეულსა, სასურსათო და სამრეწველო საქონელზე რესპუბლიკიდან გატანის ნებართვა.

3. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკაცრი კონტროლი დააწესოს რესპუბლიკის სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტრასებით ტვირთების გადაზიდვაზე და დარღვევების შემთხვევების შესახებ მოახსენოს რესპუბლიკის მთავრობას.

4. რესპუბლიკიდან საქონლის გატანის ლიცენზიებს გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**

**თბილისი. 1991 წლის 16 აგვისტო.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 21 აგვისტო. - №163 (183). – 1გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ბ. Პ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 21 აგვისტო.

**ბრძანებულება : ბ. პ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 22 აგვისტო. - №164 (184). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ბ. დ. გულუას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ბაკურ დავითის ძე გულუა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 19 აგვისტო.

ბრძანებულება : ბ. დ. გულუას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 22 აგვისტო. - №164 (184). – 1გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## სამცხე-ჯავახეთის დროებითი საგანგებო შტაბის უფროსად კ. გ. მელაძის დანიშვნის შესახებ

1. დასავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი ქართული ოჯახის დასაბინავებლად, არსებული საცხოვრებელი ფონდის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით 1991 წლის 26 ივლისის დადგენილების შესაბამისად შექმნილი სამცხე-ჯავახეთის (ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის რაიონები) დროებითი საგანგებო შტაბის უფროსად დაინიშნოს კიაზო გიორგის ძე მელაძე, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოციაცია „ჯავახეთის" ვიცე-პრეზიდენტი.

2. დაევალოს სამცხე-ჯავახეთის დროებითი საგანგებო შტაბის უფროსს კიაზო გიორგის ძე მელაძეს წარმოადგინოს შტაბის შემადგენლობა.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 21 აგვისტო.**

**ბრძანებულება : სამცხე-ჯავახეთის დროებითი საგანგებო შტაბის უფროსად კ. გ. მელაძის დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 23 აგვისტო. - №165 (185). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## გ. გ. ქურასბედიანის ლენტეხის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** გულბარზ გრიგოლის ძე ქურასბედიანი ლენტეხის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 21 აგვისტო.

ბრძანებულება : გ. გ. ქურასბედიანის ლენტეხის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 23 აგვისტო. - №165 (185). – 1გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## დროებითი საგანგებო შტაბის მუშაობის უზრუნველყოფისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ

დასავლეთ საქართველოში მომხდარი მიწისძვრის გამო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ოპერატიულად დასაბინავებლად, საცხოვრებელი ფონდების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით და დაზარალებული ოჯახების ჩასახლების, მათი ჩაწერის და შრომითი მოწყობის საკითხების მოსაგვარებლად განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. გამოიყოს დროებითი საგანგებო შტაბის სამუშაო ადგილები:

ნინოწმინდის რაიონში - სოფელი გორელოვკა;

ახალქალაქის რაიონში - ახალქალაქის რაიკომის შენობაში აჭარაში სტიქიით დაზარალებულთა ჩასახლების შტაბის 1 ოთახი;

ახალციხეში - რაიკომის შენობაში 1 ოთახი.

2. ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის შინაგან საქმეთა განყოფილებებმა გამოყონ ორ-ორი თანამშრომელი დროებითი საგანგებო შტაბის უსაფრთხოების უზრუნველასაყოფად.

3. საქართველოს რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების კომიტეტმა უზრუნველყოს საწვავით დროებითი საგანგებო შტაბი ახალციხის ნავთობპროდუქტების ბაზიდან.

4. იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს დროებითი საგანგებო შტაბი ნოტარიუსით.

5. ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის კავშირგაბმულობის განყოფილებებმა უზრუნველყონ დროებითი საგანგებო შტაბის ოთახები სატელეფონო კავშირით.

6. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დროებით საგანგებო შტაბს გამოუყოს 2 ავტომანქანა „გაზ-24“ და „ნივა“.

7. ახალციხის ბანკს დაევალოს მოახდინოს დროებითი საგანგებო შტაბის მიერ შესყიდული სახლებისთვის ანგარიშსწორება.

8. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სახლების შესყიდვის დროს მოუხსნას დროებით საგანგებო შტაბს სახელმწიფო საბაჟო გადასახადი.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 21 აგვისტო.**

**ბრძანებულება : დროებითი საგანგებო შტაბის მუშაობის უზრუნველყოფისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 23 აგვისტო. -№165 (185). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## თ. კიტოვანის შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** თენგიზ კიტოვანი შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან, ხოლო ეს თანამდებობა გაუქმდეს. გვარდიის ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 23 აგვისტო.**

**ბრძანებულება : თ. კიტოვანის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 24 აგვისტო. - №166 (186). – 1გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Თ. Ვ. ᲜᲘᲜᲣᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** თამაზ ვახტანგის ძე ნინუა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 23 აგვისტო.

ბრძანებულება : თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 24 აგვისტო. - №166 (186). – 1გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანება

ვინაიდან შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი პრეზიდენტის დაქვემდებარებაში, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება ეროვნული გვარდია, **ვბრძანებ**:

1. მოეხსნას გვარდიას განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი.
2. დღეიდან ყველა გვარდიელი, რომელიც განლაგებულია რკონის ხეობაში, დაუბრუნდეს ყაზარმებს თავისი რაიონებისა და ქალაქების მიხედვით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.**

**ბრძანება : გვარდიისთვის განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსის მოხსნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## ნ. ს. ამაღლობელის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** ნოდარ სარდიონის ძე ამაღლობელი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულება : ნ. ს. ამაღლობელის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Თ. Ვ. ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულება : თ. ვ. გამყრელიძის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნის შესახებ/ გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ნ. Გ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**გათავისუფლდეს** ნინო გიორგის ასული მირიანაშვილი კასპის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულება : ნ. გ. მირიანაშვილის კასპის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

**შეიქმნას** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც დაექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

შინაგანი ჯარი - ეროვნული გვარდია დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.**

# ესტონეთის რესპუბლიკის
# უზენაეს საბჭოს

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთელი ქართველი ხალხი მიესალმება ესტონელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, ულოცავს მას ესტონეთის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 21 აგვისტოს ესტონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცნობს ესტონეთის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად. მზად არის ნებისმიერ დროს დაიწყოს მოლაპარაკება ესტონეთის ხელისუფლებასთან ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო**
**თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.**

**მილოცვა : ესტონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.**

**ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარეს
ბატონ არნოლდ რიუიტელს**

**ესტონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს
ბატონ ედგარ სავისაარს**

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და ხალხის სახელით გულწრფელად გილოცავთ რუსეთის მიერ ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობას.

ვუსურვებთ ესტონეთის ხალხს წარმატებას და ბედნიერებას კვლავ მოპოვებული თავისუფლების მადლიან ნიადაგზე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 25 აგვისტო.**

**მილოცვა : რუსეთის მიერ ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.**

# ლატვიის რესპუბლიკის
# უზენაეს საბჭოს

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთელი ქართველი ხალხი მიესალმება ლატვიის ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, ულოცავს მას ლატვიის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 21 აგვისტოს ლატვიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცნობს ლატვიის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად. მზად არის ნებისმიერ დროს დაიწყოს მოლაპარაკება ლატვიის ხელისუფლებასთან ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო**
**თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.**

**მილოცვა : ლატვიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## რ. ა. ქონიაძის ხულოს რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** რევაზ ალექსანდრეს ძე ქონიაძე ხულოს რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.**

ბრძანებულება : რ. ა. ქონიაძის ხულოს რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Თ. Მ. ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲮᲣᲚᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** თემურ მემედის ძე ქათამაძე ხულოს რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 24 აგვისტო.

ბრძანებულება : თ. მ. ქათამაძის ხულოს რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Თ. Დ. ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲘᲡ Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** თენგიზ დავითის ძე ასანიძე ქ. ბათუმის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 24 აგვისტო.

ბრძანებულება : თ. დ. ასანიძის ქ. ბათუმის პრეფექტად დანიშვნის შესახ-
ებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო.
- №167 (187). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ბ. Პ. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ
## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ
## ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ
## ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულება : ბ. პ. გუგუშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.

# უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ულოცავს უკრაინელ ხალხს უკრაინის პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას. ამ აქტით კიდევ ერთხელ დადასტურდა უკრაინელი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ. გამოვთქვამთ იმედს, რომ უახლოეს ხანში ორ სუვერენულ სახელმწიფოს - საქართველოსა და უკრაინას შორის დამყარდება დიპლომატიური ურთიერთობა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ხალხებს შორის არსებულ მეგობრულ ტრადიციებს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.**
**თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.**

**მილოცვა : უკრაინის პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებასთან დაკავშირებით // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის - ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონებისა და შენაერთების მეთაურთა დანიშვნის წესის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის - ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონებისა და შენაერთების მეთაურები ინიშნებიან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 26 აგვისტო.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის - ეროვნული გვარდიის ბატალიონების, ლეგიონებისა და შენაერთების მეთაურთა დანიშვნის წესის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 27 აგვისტო. - №167 (187). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ზ. ი. ხარისჩარიშვილის ახალციხის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ზურაბ ივანეს ძე ხარისჩარიშვილი ახალციხის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 27 აგვისტო.

ბრძანებულება : ზ.ი. ხარისჩარიშვილის ახალციხის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 28 აგვისტო. - №168 (188). – 2 გვ.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ქ. ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲯᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐ ᲯᲐᲕᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**გაგრძელდეს** საგანგებო წესები ქ. ცხინვალში, ჯავის რაიონსა და დაბა ჯავის ტერიტორიაზე 1991 წლის 28 აგვისტოდან ერთი თვის ვადით.

კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00-დან 07.00 საათამდე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 27 აგვისტო.**

**ბრძანებულება : ქ. ცხინვალის ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე საგანგებო წესების გაგრძელების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 28 აგვისტო. - №168 (188). – 2 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## თ. დ. კალაძის ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** თამაზ დავითის ძე კალაძე ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება : თ. დ. კალაძის ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რეს-პუბლიკა. – 1991. – 30 აგვისტო. - №169 (189). – 1 გვ.

# ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვიტაუტას ლანდსბერგისს

საქართველოს რესპუბლიკის ხალხისა და ხელმძღვანელობის სახელით მივესალმები იმ დიდმნიშვნელოვან წვლილს, რომელიც ლიტვამ იმპერიის ხალხთა განთავისუფლებაში შეიტანა.

საქართველოს რესპუბლიკა ლიტვას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად ცნობს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 27 აგვისტო.**

**მილოცვა : ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვიტაუტას ლანდსბერგისს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 30 აგვისტო. - №169 (189). – 1 გვ.**

## მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ მირჩე სნეგურს

საქართველოს რესპუბლიკის ხალხისა და ხელმძღვანელობის სახელით გულითადად გილოცავთ მოლდოვის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

საქართველოს ხალხს ყოველთვის ეხსომება, რომ მოლდოვამ ერთ-ერთმა პირველმა ცნო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა და მეგობრობისა და სოლიდარობის ხელი გაუწოდა მას.

მზად ვართ, რომ უახლოეს დროში ჩვენს სახელმწიფოებს შორის დავამყაროთ დიპლომატიური ურთიერთობა.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 27 აგვისტო.**

მილოცვა : მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ მირჩე სნეგურს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 30 აგვისტო. - №169 (189). – 1 გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ვ. Ზ. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲣᲦᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ვახტანგ ზულიამის ძე ჭანტურია ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია
თბილისი. 1991 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება : ვ. ზ. ჭანტურიას ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. – 1991. – 30 აგვისტო. - №169 (189). – 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## გ. ა. ბურჯანაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესმდივნად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** გიორგი ალექსანდრეს ძე ბურჯანაძე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესმდივნად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**
**თბილისი. 1991 წლის 3 სექტემბერი**

ბრძანებულება : გ. ა. ბურჯანაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესმდივნად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 4 სექტემბერი. - №173 (193). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ნ. Შ. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲐᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ნუკრი შოთას ძე ბალდავაძე ქ. თბილისის ვაკის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 4 სექტემბერი.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 29 ოქტომბერი.**

**ბრძანებულება : გ. დ. თოფურიას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რე-სპუბლიკა. - 1991. – 30 ოქტომბერი. - №211 (231). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## წმინდა ნინოს ტაძართან და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებული სასულიერო სასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. **მიენიჭოთ** ბოდბის ეპარქიის წმ. ნინოს ტაძართან არსებულ დედათა სასულიერო სასწავლებელს და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებულ მამათა სასულიერო სასწავლებელს საშუალო სპეციალური სასწავლებლისა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის სტატუსი და აყვანილ იქნენ შესაბამის ჩამონათვალში.

2. **ნება დაერთოს** წმ. ნინოს ტაძართან და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებულ სასულიერო სასწავლებლებს, მიმდინარე წლიდან აწარმოონ მოსწავლეთა მიღება.

3. **დაევალოს** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს: - 10 დღის ვადაში ბოდბის ეპარქიასთან შეთანხმებით განსაზღვროს წმ. ნინოს ტაძართან და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებულ სასულიერო სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი და სპეცილობები;

- უზრუნველყოს სასულიერო სასწავლებლები სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 30 ოქტომბერი.**

**ბრძანებულება : წმინდა ნინოს ტაძართან და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებული სასულიერო სასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 31 ოქტომბერი. - №212 (232). – 1გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ვ. Თ. ᲮᲣᲡᲙᲘᲕᲐᲫᲘᲡ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ვლადიმერ თამაზის ძე ხუსკივაძე ზესტაფონის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 30 ოქტომბერი.

**ბრძანებულება : ვ. თ. ხუსკივაძის ზესტაფონის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 31 ოქტომბერი. - №212 (232). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

# ნ. ა. მოლოდინაშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ნუგზარ არჩილის ძე მოლოდინაშვილი საქართველოს რესპუბლიკის

პრეზიდენტის მრჩევლად შიდაპოლიტიკურ საკითხებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 1 ნოემბერი.

ბრძანებულება : ნ. ა. მოლოდინაშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 2 ნოემბერი. - №214-215 (235). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Რ. Ლ. ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲘᲡ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ლევანის ძე გვენცაძე თბილისის სამხედრო კომენდანტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 2 ნოემბერი.

ბრძანებულება : რ. ლ. გვენცაძის ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 5 ნოემბერი. - №216 (236). – 1გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## შ. ს. მიდელაურის თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** შოთა სიმონის ძე მიდელაური თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 6 ნოემბერი.**

ბრძანებულება : შ. ს. მიდელაურის თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 7 ნოემბერი. - №219 (239). – 1გვ.

# ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ!

„ლიტერატურული საქართველო“ ყოველთვის იყო ჩვენი კულტურის ერთ-ერთი ფლაგმანი, ერის ინტელექტუალური ცხოვრების მემატიანე. მის ფურცლებზე იბეჭდებოდნენ საუკეთესო ქართველი მწერლები, მეცნიერები, პუბლიცისტები, შუქდებოდა ერის საჭირბოროტო პრობლემები. მაგრამ, ამასთანავე, გაზეთი კომუნისტურ რეჟიმს არაერთხელ გამოუყენებია ქართველი ხალხის საუკეთესო ძალთა დასათრგუნად, ლიტერატურული და ნაციონალური დეზინფორმაციისათვის. ეს ფაქტია და გვერდს ვერ ავუვლით. „ლიტერატურული საქართველო“ ბოლო წლებში აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. ამან განაპირობა მისი პოპულარობა და ტირაჟის არნახული გაზრდა. ვიმედოვნებ, იგი კვლავაც შეიტანს თავის წვლილს საქართველოს აღორძინების, ქართული კულტურის განახლების საქმეში. ამიტომაც არც მომავალში მოაკლდება ხალხის სიყვარული და მხარდაჭერა.

ვულოცავ „ლიტერატურულ საქართველოს“ არსებობის 60 წლისთავს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**5. XI. 1991 წელი.**

**მილოცვა : „ლიტერატურული საქართველოს“ 60 წლისთავისადმი / გამსახურდია ზ. // ლიტერატურული საქართველო - 1991. – 8 ნოემბერი. - №45 (2824). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

**გარდაიქმნას** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტი სახელმწიფო კონტროლის კომიტეტად და უშუალოდ დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 26 აგვისტოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტი მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 7 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტად გარდაქმნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 9 ნოემბერი. - №220 (240). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკაში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ

რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით **ვადგენ**:

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა და სხვა ქონება.

2. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 7 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკაში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამიისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 9 ნოემბერი. - №220 (240). – 1გვ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲓᲘᲡᲚᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ, ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ, ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გათვალისწინებით იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დაცვა, მისი ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ნებიმიერი აგრესიის მოგერიების უზრუნველყოფა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარება მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას და რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნა-ფორმირება მნიშვნელოვანწილად მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა ხარჯზე, **ვადგენ**:

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის კუთვნილი იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ქონება.
2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებთან ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 11 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 12 ნოემბერი. - №221 (241). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ლ. ბ. გირგვლიანის დმანისის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** ლერი ბესარიონის ძე გირგვლიანი დმანისის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 11 ნოემბერი.

ბრძანებულება : ლ. ბ. გირგვლიანის დმანისის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 12 ნოემბერი. - №221 (241). – 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## ე. ე. ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ენვერ ეფრემის ძე ნიჟარაძე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 9 ნოემბერი.

ბრძანებულება : ე. ე. ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 12 ნოემბერი. - №221 (241). – 1გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ა. Ი. ᲢᲐᲢᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ალექსი იოსების ძე ტატუაშვილი დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 11 ნოემბერი.

ბრძანებულება : ა. ი. ტატუაშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 12 ნოემბერი. - №221 (241). – 1გვ.

# ᲧᲐᲠᲐᲩᲐᲔᲕᲡᲙᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲧᲐᲠᲐᲩᲐᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ „ᲯᲐᲛᲐᲒᲐᲗᲡ“

ძმებო ყარაჩაელებო!

თქვენი ხალხისათვის ამ სამგლოვიარო დღეს, სამძიმარსა და გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ. ქართველი ხალხისათვის სრულიადაც არ არის სულ ერთი თქვენი მრავალტანჯული, შრომისმოყვარე და ვაჟკაცი ხალხის ბედი. ჩვენი ისტორია სავსეა ურთიერთგაგების, ძმობის, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის მხარდაჭერის შესანიშნავი მაგალითებით. ჩვენი წინაპრები იმდენად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს, რომ შექმნეს ძმადნაფიცობის დიდებული და განუმეორებელი ინსტიტუტი, როცა ყარაჩაელ ბავშვებს აღსაზრდელად აბარებდნენ თქვენი მეზობლების ოჯახებს – ქართველ მთიელებს ქართული ენისა და კულტურის შესასწავლად, ქართული ადათ-წესებით აღსაზრდელად, სამაგიეროდ კი ქართველი ბავშვები სრულწლოვანებამდე ცხოვრობდნენ ყარაჩაელთა ოჯახებში, იზრდებოდნენ თქვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციების მაგალითით. უფროს თაობაში ახლაც ცხოვრობენ და თავს კარგად გრძნობენ ქართველები, თავიანთი მშობლების ყონაღთა აღზრდილები, და ქართულ ოჯახებში აღზრდილი ყარაჩაელები. ერთმანეთის ენების, ფოლკლორის, ადათ-წესების ცოდნა, ერთმანეთის პატივისცემა დაეხმარა ჩვენს ხალხებს ძნელბედობის ჟამს. ხოლო როცა 1944 წლის 7 ნოემბერს ყარაჩაელებს თავს დაატყდათ უბედურება და მათი ოჯახები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ სამშობლო, წინაპართა კერები, ქართველთა მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა: იყო მაგალითები, როცა ქართველებმა ნებაყოფლობით გაიზიარეს თავიანთი ძმადნაფიცების ხვედრი და მათთან ერთად გადასახლებაში აღმოჩნდნენ.

პატივცემულო მეგობრებო! ქართველი ხალხი, ესწრაფვის რა სრულ დამოუკიდებლობას, წმინდად ინახავს მათ ხსოვნას, ვინც მსხვერპლად შეეწირა გენოციდის და-

ნაშაულებრივ პოლიტიკას, საბჭოთა იმპერია რომ ახორციელებს. თავს ვხრით მათი ხსოვნის წინაშე.

ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ამაყ და ვაჟკაც ყარაჩაელ ხალხს.

საქართველო თქვენთან არის და მხარს უჭერს თქვენს საუკეთესო მისწრაფებებს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**საქართველოს რესპუბლიკის**
**უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**აკაკი ასათიანი.**
**1991 წლის 9 ნოემბერი**

**მიმართვა : ყარაჩაევსკი, საბჭოების სახლი, ყარაჩაელი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას „ჯამაგათს“ / გამსახურდია ზ., ასათიანი ა. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. - 12 ნოემბერი. - №220 (240). – 1**გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ა. გ. რეხვიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** აკაკი გრიგოლის ძე რეხვიაშვილი საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 9 ნოემბერი.

ბრძანებულება : ა. გ. რეხვიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 13 ნოემბერი. - №222 (242). – 1გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## ო. ა. ასლანიშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ოთარ არსენის ძე ასლანიშვილი დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 13 ნოემბერი.

ბრძანებულება : ო. ა. ასლანიშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 14 ნოემბერი. - №223-224 (244). – 2გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ა. ი. ტატუაშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** ალექსი იოსების ძე ტატუაშვილი დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 13 ნოემბერი.

ბრძანებულება : ა. ი. ტატუაშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 14 ნოემბერი. - №223-224 (244). – 2 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის ვ. თ. ქობალიასთვის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსს მაიორ ვახტანგ თედორეს ძე ქობალიას მიენიჭოს პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 15 ნოემბერი.

**ბრძანებულება : ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის ვ. თ. ქობალიასთვის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 16 ნოემბერი. - №225 (245). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზების და სხვა სამხედრო ქონების შესახებ

გათვალისწინებით იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დაცვა, მისი ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ნებისმიერი აგრესიის მოგერიება, საზღვრების დაცვა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარება მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას და რომ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის და სასაზღვრო ჯარების შექმნა-ფორმირება მნიშვნელოვანწილად მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა ხარჯზე, **ვადგენ**:

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის და სასაზღვრო ჯარების კუთვნილი იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებანი, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ქონება.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის შესაბამის ორგანოებთან ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქა-

რთველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 29 ოქტომბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზების და სხვა სამხედრო ქონების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 16 ნოემბერი. - №225 (245). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ქვემოჩამოთვლილი პირები თავდაცვის სამინისტროს შემდეგ თანამდებობებზე:

1. პოლკოვნიკი შოთა მიხეილის ძე ბაიაძე - საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსად.
2. გენერალ-მაიორი პანტელეიმონ ივანეს ძე გიორგაძე - სასაზღვრო ჯარების სამმართველოს უფროსად.
3. პირველი რანგის კაპიტანი ალექსანდრე დავითის ძე ჯავახიშვილი - სამხედრო საზღვაო ძალების სამმართველოს უფროსად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 29 ოქტომბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 16 ნოემბერი. - №225 (245). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებასა და შეზღუდვებზე ზედამხედველობის შტაბის შექმნის შესახებ

1. საქართველოში ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებასა და შეზღუდვებზე კონტროლის დაწესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეიქმნას შტაბი შემდეგი შემადგენლობით:

**თავმჯდომარე:**

**ვლადიმერ რევაზის ძე ხუციშვილი -** გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ელექტროენერგიის დანაკარგების ანალიზისა და კოორდინაციის სამახურის ინჟინერი.

**თავმჯდომარის მოადგილე:**

**რომან სვიმონის ძე დვალი -** გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ელექტროენერგიის დანაკარგების ანალიზისა და კოორდინაციის სამახურის უფროსის მოადგილე.

**წევრები:**

**ბეჟან იოსების ძე ხუციშვილი -** „თელასის" სარელეო დაცვის სამსახურის უფროსი.

**ბონდო სერგოს ძე ნოზაძე -** გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" მარნეულის ელქსელების მთავარი ინჟინრის მოადგილე.

**გია ვახტანგის ძე მოდებაძე -** გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" თელავის ელქსელების სარელეო დაცვის და ავტომატიკის სამსახურის უფროსი.

**გიორგი ვლადიმერის ძე კალანდაძე -** გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" ცენტრალური სარელეო სამსახურის წამყვანი ინჟინერი.

**გიორგი ნოდარის ძე კილაძე** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ ჰიდროტექნიკური სამსახურის ინჟინერი.

**გურამ კალისტრატეს ძე ბერიტაშვილი** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ ქუთაისის ელქსელების მთავარი ინჟინრის მოადგილე.

**დავით ერმილეს ძე ჩილაჩავა** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ ზუგდიდის ელქსელის ქ. ზუგდიდის სარეალიზაციო უბნის უფროსი.

**დავით მალხაზის ძე იმნაძე** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ თბოტექნიკური დანადგარების ექსპლუატაციის სამსახურის ინჟინერი.

**ვახტანგ არსენის ძე დარჯანია** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ აფხაზეთის ელქსელის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

**იაგო შოთას ძე ჭიაბრიშვილი** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ ენერგოზედამხედველობის დირექტორის მოადგილე.

**ნოდარ ამირანის ძე ჭიჭინაძე** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ კომუნალური ქსელების სამსახურის უფროსის მოადგილე.

**ნუგზარ შამშეს ძე ლეჟავა** - საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.

**ნუგზარ გრიგოლის ძე მამალაძე** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ ენერგოზედამხედველობის აჭარის საოლქო განყოფილების უფროსის მოადგილე.

**ოლეგ ალექსანდრეს ძე გოგუა** - საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს ტექნიკური ინსპექციის ინსპექტორი.

**რომანოზ ანთიმოზის ძე ესვანჯია** - საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.

რომან ვალერიანის ძე გურგენიძე - საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.

**სოსო შალვას ძე თიკარაძე** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის“ ცენტრალური სარელეო სამსახურის უფროსი.

**ჯაბა გრიგოლის ძე ქვრივიშვილი** - გაერთიანება „საქენ-

ერგოექსპლუატაციის" ცენტრალური ელქსელების დირექტორი.

**ჯემალ ალექსანდრეს ძე ჩიხლაძე** - გაერთიანება „საქენერგოექსპლუატაციის" შიდა ქართლის ელქსელის სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი.

2. **დაევალოს** ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებასა და შეზღუდვებზე ზედამხედველობის შტაბს:

კონტროლი გაუწიოს ელექტროენერგიის რაციონალურად ხარჯვისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული შეზღუდვების გრაფიკების დაცვას;

მოაწყოს რეიდები ენერგომომხმარებელთა მიერ დარღვევათა გამოსავლენად;

კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროსთან შექმნილი შტაბის მუშაობას და მკაცრი კონტროლი დააწესოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიერ 1991-1992 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის წარმოებასა და მოხმარების ოპტიმალურ რეგულირებაზე. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისა და მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფაზე, ოპერატიულად განიხილოს დარღვევათა ყოველი ფაქტი და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

3. ქ. თბილისის მერმა, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა, სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ შტაბის მუშაობას, დაუყოვნებლივ შეასრულონ მისი ყველა მოთხოვნა ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენებისა და შეზღუდვებთან დაკავშირებით: ამასთან, ოპერატიულად გადაწყვიტონ შტაბის მიერ დასმული ყველა საკითხი.

4. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, გაერთიანებებმა, ორგანიზაციებმა და სხვა კერძო თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განუხრელად დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 1991-1992 წლების შემოდგომა-

ზამთრის პერიოდისათვის ელექტროენერგიის მოხმარების ლიმიტები და მოსალოდნელი შეზღუდვის გრაფიკები.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 14 ნოემბერი.**

ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებასა და შეზღუდვებზე ზედამხედველობის შტაბის შექმნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 19 ნოემბერი. - №226 (246). – 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** თამაზ ვახტანგის ძე ნინუა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 16 ნოემბერი.

ბრძანებულება : თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 19 ნოემბერი. - №226 (246). – 1 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## გ. პ. თავზარაშვილის ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** გივი პავლეს ძე თავზარაშვილი ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 18 ნოემბერი.

**ბრძანებულება : გ. პ. თავზარაშვილის ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 19 ნოემბერი. - №226 (246). – 1გვ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. **გაუქმდეს** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და მის ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 16 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 19 ნოემბერი. - №226 (246). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

1. გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად.

2. დაინიშნოს აკაკი გრიგოლის ძე რეხვიაშვილი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 16 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 19 ნოემბერი. -№226 (246). – 1გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## თ. ე. ყურავას ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** თემურ ერასტის ძე ყურავა ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 18 ნოემბერი.

ბრძანებულება : თ. ე. ყურავას ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 19 ნოემბერი. - №226 (246). – 1გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების რესპუბლიკის სხვა რეგიონებში ჩასახლების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ

**შეიქმნას** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების რესპუბლიკის სხვა რეგიონებში ჩასახლების საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**იოსებ ბარათაშვილი** - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

**გურამ მირიანაშვილი** - საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრი;

**თამაზ გუგუშვილი** - საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი;

**რევაზ ქონიაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ვლადიმერ გუგუშვილი** - საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის დირექტორი;

**ანზორ გოგიტიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი;

**რევაზ ტყემალაძე** - საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (კომისიის მდივანი);

**დემირ ნოზაძე** - საქართველოს რეპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

**თემურ ქათამაძე -** ხულოს რაიონის პრეფექტი.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 19 ნოემბერი.**

ბრძანებულება : აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების რესპუბლიკის სხვა რეგიონებში ჩასახლების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 20 ნოემბერი. - №227 (247). – 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 19 ნოემბერი.

ბრძანებულება : ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 20 ნოემბერი. -№227 (247). – 1 გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Შ. Ა. ᲬᲘᲜᲬᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი შაქრო ალექსანდრეს ძე წინწკალაძე დმანისის რაიონში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 19 ნოემბერი.

**ბრძანებულება : შ. ა. წინწკალაძის დმანისის რაიონში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 20 ნოემბერი. -№227 (247). – 1 გვ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ვ. Ბ. ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ვაჟა ბორისის ძე აბაკელია საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 21 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალ-ურ პროკურორად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 22 ნოემბერი. - №228 (248). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ე. ე. ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ენვერ ეფრემის ძე ნიჟარაძე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.

ბრძანებულება : ე. ე. ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 23 ნოემბერი. - №229 (249). – 1 გვ.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ Ბ. Თ. ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს ბესიკ თენგიზის ძე ქუთათელაძეს **მიენიჭოს** პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ბ. თ. ქუთათელაძისათვის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 23 ნოემბერი. - №229 (249). – 1 გვ.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ბ. Თ. ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲟᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ბესიკ თენგიზის ძე ქუთათელაძე საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახურში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.

**ბრძანებულება : ბ. თ. ქუთათელაძის საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახურში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 23 ნოემბერი. - №229 (249). – 1 გვ.**

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ა. მუტალიბოვს

**ვუცხადებ** გულწრფელ თანაგრძნობას ყარაბაღის ტერიტორიაზე ტრაგიკულად დაღუპულ ვერტმფრენის ეკიპაჟისა და მგზავრების ახლობლებს.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.**

**სამძიმარი : აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ა. მუტალიბოვს / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 23 ნოემბერი. - №229 (249). – 1 გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ზ. Პ. ᲙᲝᲞᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** ზურაბ პეტრეს ძე კოპალიანი საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : ზ. პ. კოპალიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 23 ნოემბერი. - №229 (249). – 1 გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Ი. Ო.  ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲫᲘᲡ Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**გათავისუფლდეს** ირაკლი ონისიმეს ძე ანდრიაძე ქ. თბილისის მერის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 24 ნოემბერი.

ბრძანებულება : ი. ო.  ანდრიაძის ქ. თბილისის მერის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 26 ნოემბერი. - №230-231-232 (252). – 1 გვ.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გამოხატვის და დაცვის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიული კავშირები.

ყოფილმა საბჭოურ მოდელზე აგებულმა პროფესიულმა კავშირებმა არსებობის მანძილზე დაამტკიცა სიცოცხლის უუნარობა თავისი უმოქმედობით და მმართველი პარტიის უსიტყვო მორჩილებით, მშრომელთა ინტერესების იგნორირებით.

რესპუბლიკაში მიმდინარე საბჭოური სტრუქტურების მსხვრევას მხარი აუბა საქართველოს პროფკავშირების 1991 წლის 24 აგვისტოს ყრილობამ, რომლის მიერ შექმნილი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი დგას ეროვნულ პოზიციებზე.

აღნიშნული პროცესების განვითარება ხელს უშლის პროფესიულ კავშირებში დრომოჭმულ საბჭოურ დარგობრივ სტრუქტურას ამოფარებული დესტრუქციული ძალები და მათ მიერ შექმნილი არასტაბილური ვითარება.

პროფესიული კავშირების უფლებათა უზრუნველყოფისა და მათი საქმიანობისათვის პირობების შექმნის მიზნით **ვადგენ**:

1. საქართველოს პროფესიული კავშირების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკური ცენტრი ცნობილ იქნეს მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთადერთ გარანტად, ყოფილი დარგობრივი კომიტეტების ქონების მემკვიდრედ გამოცხადდეს საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, თბილისის მერმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მიუხედავად საკუთრების და უწყებრივი კუთვნილებისა:

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფკავშირების უფლებათა და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფის მკაცრ დაცვას. მოქმედი კანონმდებლობისა და საზოგადოდ აღიარებული საერთაშორისო უფლებების ნორმების შესაბამისად.

სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ნორმატიული აქტების მიღებამდე შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ჩაატარონ წინასწარი კონსულტაციები მშრომელებისათვის უფრო დასაბუთებული და მისაღები გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.

1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას პროფესიული კავშირების მონაწილეობით რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეთანხმებით განიხილონ საკითხი პროფკავშირების კუთვნილი გამაჯანსაღებელი ბანაკების, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების, სანიტარულ-საკურორტო, ტურისტული დაწესებულებების ნაწილის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსება.

1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში ჩატარდეს მოლაპარაკებები 1992 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების (შეთანხმებების) დასადებად ან შეტანილ იქნას ცვლილებები მოქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებებში. გათვალისწინებული იქნას ღონისძიებები სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციის, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის, საბინაო ფონდის პრივატიზირებისას მშრომელთა ინტერესების დაცვის, კვალიფიკაციის ამა-

ღლებისა და გადამზადების, შრომითი კონფლიქტების თავიდან აცილების, მოქალაქეთა ეკოლოგიური უსაფრთხოებს უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაზღვევის, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების და სხვა სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის მონაწილეობით, დადგენილი წესის მიხედვით მოამზადოს 1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოზე განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის პროექტი, წინადადებები საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მიერ სოციალური ანარიცხების ნორმატივების თაობაზე, მშრომელებისა და მათი ოჯახის წევრების სამკურნალო და დასასვენებელი საგზურების შესაძენი თანხების ხარჯების გაზრდისათვის.

რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დააჩქაროს „პროფკავშირული საქმიანობის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა და მიღება.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 26 ნოემბერი. - №230-231-232 (252). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და მისი ეკონომიკის დაცვის მიზნით **ვბრძანებ**:

1. დადგინდეს, რომ ყველა საქმეებზე, რომლებიც სუვერენული რესპუბლიკების (სახელმწიფოების) მოსარჩელეების მოთხოვნით განიხილება საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში, სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რისთვისაც საქართველოს რესპულიკის ეროვნული ბანკის მიერ გამოიყოს სპეციალური ანგარიშები.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ დაიყვანოს წინამდებარე ბრძანებულება სუვერენული რესპუბლიკების (სახელმწიფოების) შესაბამის საარბიტრაჟო ორგანოებამდე.

3. ბრძანებულება ძალაში შედის 1991 წლის 1 დეკემბრიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 22 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 26 ნოემბერი. - №230-231-232 (252). – 1 გვ.**

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება
# მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ

მარნეულის რაიონში ბოლო დღეებში ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის შემთხვევებს, შეფერხებულია სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების და ორგანიზაციების მუშაობა, დარღვეულია საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური რიტმი, გავრცელდა ყაჩაღობის, ძარცვის, ადამიანის გატაცებისა და სხვა მძიმე დანაშულის ფაქტები, რითაც საფრთხე ექმნება მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კანონით დაცულ ინტერესებს.

ამ რეგიონში შექმნილი ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 1214-ე მუხლის 22-პუნქტის საფუძველზე **ვადგენ**:

1. შემოღებულ იქნას საგანგებო წესები მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე 1991 წლის 30 ნოემბრიდან ერთი თვით.

2. მარნეულის რაიონის კომენდანტად დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე სერგოს ძე მიქაბერიძე.

3. მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დასამტკიცებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 29 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 30 ნოემბერი. - №235 (255). – 1 გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121$^{4}$-ე მუხლის 61-ე პუნქტის საფუძველზე **ვადგენ**:

4. გარდაიქმნას საქართველოს რესუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ.

5. ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში გათვალისწინებული გადაწყვეტილება წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შესათანხმებლად.

6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე დაისვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების შესახებ კანონის მიღების თაობაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 29 ნოემბერი.**

**ბრძანებულება : საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 30 ნოემბერი. - №235 (255). – 1 გვ.**

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** თამაზ ვახტანგის ძე ნინუა საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 2 დეკემბერი.

ბრძანებულება : თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 3 დეკემბერი. - №236 (256). – 1 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## ლ. შ. იაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

**გათავისუფლდეს** ლევან შალვას ძე იაშვილი ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია.**
**თბილისი. 1991 წლის 11 დეკემბერი.**

**ბრძანებულება : ლ. შ. იაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 12 დეკემბერი. - №243 (263). – 1გვ.**

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## Მ. Შ. ᲛᲐᲜᲫᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**დაინიშნოს** მიხეილ შალვას ძე მანძულაშვილი ყვარლის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.
თბილისი. 1991 წლის 11 დეკემბერი.

ბრძანებულება : მ. შ. მანძულაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ / გამსახურდია ზ. // საქართველოს რესპუბლიკა. - 1991. – 12 დეკემბერი. - №243 (263). – 1გვ.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## ისტორიის და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის, დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა შესახებ

ისტორიისა და კულტურის ძეგლები საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა, ერის საგანძურია. ისინი ასახავენ თაობათა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას, ხალხის საუკუნოვან ისტორიას, მის ბრძოლას თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის, მოწმობენ ქართველი ერის უდიდეს წვლილზე მსოფლიო ცივილიზაციაში. საზოგადოების თითოეული წევრის პატრიოტული მოვალეობაა გაუფრთხილდეს კულტურულ მემკვიდრეობას, აქტიურად შეუწყოს ხელი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობას და დაცვას.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში შეინიშნება ვანდალიზმის, მატერიალურ ფასეულობათა და კულტურის ძეგლთა, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ნამუშევრების თვითნებური გამოყენებისა და დაზიანების ფაქტები. ეს ფრიად ნეგატიური და საშიში სოციალური სენი თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად იქცა. ადგილი აქვს აგრეთვე კულტურულ ფასეულობათა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის ცდებს. არცთუ იშვიათია ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობათა სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების, შებილწვის, კედლის მხატვრობის დაშლა-დაზიანების შემთხვევები. ამ მხრივ საგანგაში მდგომარეობა იმ რეგიონებშია, სადაც მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა შექმნილი. მრავალი უნიკალური ძეგლი სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს. ადგილობრივ ორგანოებს უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული ისტორიული ძეგლები, რის შედეგადაც ზოგიერთი მათგანი წლების განმავლობაში ნადგურდებოდა.

ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ძეგლთა

დაცვის წარსულის ფასდაუდებელი მიმკვიდრეობის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით **ვადგენ**:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს დაევალოს ძეგლებისა და მონუმენტურ-მხატვრული კომპოზიციების დადგმის, დაზიანებული ძეგლების შეცვლა-შეკეთების შესახებ წინადადებების განხილვა; ამ ძეგლთა სიების დამტკიცება, რომლებიც სახელმწიფოს დაცვას ექვემდებარება; საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ქართული ძეგლების მოვლა-პატრონობის თაობაზე მინისტრთა კაბინეტის წინაშე საკითხის აღძვრა; ძეგლთა კატეგორიების განსაზღვრა.

2. ისტორიისა და კულტურის უძრავი ძეგლების აღება, გადაადგილება და გადაკეთება დაშვებულ იქნეს მხოლოდ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საკოორდინაციო საბჭოს დასკვნის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საგანგებო ნებართვით.

3. აიკრძალოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ თვითნებურად გატანა, საერთაშორისო კულტურული გაცვლის მიზნით ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დროებით გატანა დაიშვას მინისტრთა კაბინეტთან არსებული ძელთა დაცვის საკოორდინაციო საბჭოს მიერ, ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

4. ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის სიიდან ობიექტების ამორიცხვა მოხდეს მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის ძეგლთა დაცვის საკოორდინაციო საბჭოს ნებართვით.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა

კაბინეტის უშუალო დაქვემდებარებაში გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ყოველწლიურად გაითვალისწინოს საჭირო რიცხვის სტუდენტთა მიღება რესტავრატორის სპეციალობაზე, მიიღოს ზომები აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

7. საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ძეგლების ფოტოალბომების, გამოკვლევების, გზამკვლევების, ბუკლეტების, ღია ბარათებისა და ტურისტულ-საექსკურსიო დანიშნულების ლიტერატურის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა.

8. პრეფექტურებმა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა ძეგლების დაცვაზე. ამ მიზნით:

ა) ხელი შეუწყონ ძეგლთა დაცვის ორგანოებს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გამოყენების, გამოვლენის, აღრიცხვისა და რესტავრაციის ღონისძიებათა განხორციელებაში:

